გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 2005 წელი.
№182 (5215)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბრძოლაა სიცოცხლისა, ცხოვრებით და ძალებით ბრძოლის გაცვლა ყველა უკვდავებაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ ჩვენს მკითხველს

## ხმები... კატეგორიულად გაზვიადებულია



**ზაფხულია, აუტანლად ცხელა. ვისაც ოდნავი საშუალება თუ შესაძლებლობა აქვს, ყველა გაერიდა თბილისს. ჩვენს რედაქციაშიც „ცხელი" საშვებულებო პერიოდია. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, ივლისის მიწურულსა და აგვისტოში შაბათობით „შეწყვილებული" ნომრები გამოგვეშვა და მერე სამშაბათსღა გამოვსულიყავით.**

სწორედ ამას მოჰყვა გაუგებრობაც – ჩვენი გაზეთის არაკეთილმოსურნენი ხმებს ავრცელებენ, „საქართველოს რესპუბლიკის" გამოცემა შეწყდა, აღარ გამოდისო. ხოლო როდესაც სამშაბათს ჩვენს ზოგიერთ მკითხველს, ვინც ამბის გასარკვევად მერე რედაქციაშიც დაგვირეკა, „მაცნეს" რამდენიმე საგაზეთო ჯიხურშიც თურმე იგივე გაუმეორეს, ეს ბევრმა დაიჯერა.

არ არის ეს მართალი. ერთი ფრთიანი ფრაზის პერიფრაზირებით თუ ვიტყვით, ხმები ჩვენი გაზეთის „გარდაცვალების" შესახებ, მეტისმეტად გაზვიადებულია.

როგორც მოგახსენეთ, სექტემბრამდე მხოლოდ კვირაობით არ გამოვა „საქართველოს რესპუბლიკა". სხვა დღეებში კი იგი ჩვეულებრივად გაიყიდება საგაზეთო ჯიხურებში, თუ, ცხადია, საკმაო ოდენობით გაიტანეს გასაყიდად.

თუმცა ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით შემდეგ მოგახსენებთ.

**„სრ" რედაქცია.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ძალზე გაჭიანურებული გაცილება

**მხოლოდ 1 აგვისტოს, ნაშუადღევს, რუსეთის პირველმა ავტოკოლონამ მიაღწია ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტამდე, რომელიც რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩრდილოეთ ოსეთის მონაკვეთზე მდებარეობს. თბილისში საკმაო შეშფოთებას გამოთქვამდნენ ავტოკოლონის მოძრაობის გრაფიკის დარღვევის გამო. როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წყარომ გვითხრა, „თვით გაუმართავი სარეისო ავტობუსებიც კი ამ დროის განმავლობაში ამ მარშრუტის გავლას არაერთხელ მოახერხებდნენ".**

საქართველოს მხარემ, რომელსაც სურს თავიდან აიცილოს ყოველგვარი მოულოდნელობები და ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის ვადების შესახებ მაისში მიღწეული მორიგების დარღვევა, გულდასმით ადევნებს თვალყურს მთელ ამ 540-კილომეტრიან მარშრუტზე პირველი რუსული ავტოკოლონის მოძრაობას. კერძოდ, 1 აგვისტოს ბათუმის გარნიზონის კომენდანტმა გოჩა ნინიძემ, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს კოლონის მოძრაობას, აღნიშნა, რომ ქალაქ მცხეთიდან, სადაც რუსეთის ავტოკოლონა ბოლოჯერ უნდა გაჩერებულიყო, სანამ საქართველოს ტერიტორიას დატოვებდა, იგი გამოვიდა დადგენილი გრაფიკის დარღვევით – საათნახევრით ადრე. „გარდა ამისა, – თქვა ნინიძემ, – ავტოკოლონას მოულოდნელად დაემატა კიდევ სამი მანქანა".

იხ. მე-5 გვ.

◎ ინფორმაცია

### საქართველომ ევროპაში ახალი მეგობარი შეიძინა

შვედეთში ვიზიტად მყოფი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ტალბერგის საერთაშორისო ფორუმზე 20-წუთიანი სიტყვით გამოვიდა.

მან საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა იმას, რომ რეფორმები განსაკუთრებით ეფექტურად ძალოვან სტრუქტურებში მიმდინარეობს.

ფორუმზე გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი შვედეთის პრემიერ-მინისტრს იორან ბერსონს შეხვდა.

„ჩვენ შვედეთის სახით ევროკავშირში ძლიერი მეგობარი მოვიპოვეთ, რომელიც საქართველოს ნებისმიერი პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება", – აღნიშნა პრეზიდენტმა შვედეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ.

პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ ევროკავშირი, აშშ და რუსეთი საქართველოს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში უნდა დაეხმარონ.

„მშვიდობიანი და სტაბილური საქართველო თითოეული მათგანის ინტერესებში შედის", – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მედიანიუსი

### ზაფხულის იმედი ზამთარში ცრუვდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ დილით გარდაბნის თბოელექტროსადგური მოინახულა. ზურაბ ნოღაიდელი მესამე და მეოთხე ენერგობლოკებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

როგორც ინტერპრესნიუსისთვის გახდა ცნობილი, მესამე ენერგობლოკის სარემონტო სამუშაოები 20 სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს, მეოთხე ენერგობლოკის – 4 ოქტომბრისთვის.

პრემიერ-მინისტრი მიმდინარე სამუშაოების ტემპით კმაყოფილი დარჩა.

ზურაბ ნოღაიდელმა გუშინვე მეცხრე ენერგობლოკიც დაათვალიერა და სიტუაციაც შეაფასა.

პრემიერ-მინისტრს მასპინძლობას უწევენ გარდაბნის რაიონის გამგებელი დავით ნადაშვილი და ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილი.

გარდაბნის თბოელექტროსადგურში ენერგობლოკების რეაბილიტაციას რუსული კომპანია „ელიტტექნოსტროი" ახორციელებს.

„ელიტტექნოსტროი" სარეაბილიტაციო სამუშაოებს რამდენიმე კონტრაქტორის დახმარებით ატარებს. მესამე და მეოთხე ენერგობლოკების აღდგენაზე „ხარკოვენერგორემონტი", „ხარკოვენერგოსერვისი" და „კავკასენერგომონტაჟი" მუშაობენ.

„თბილსრესის" ენერგობლოკების რეაბილიტაციისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 16 მილიონი ლარია გათვალისწინებული. „ელიტტექნოსტროი" ბიუჯეტიდან თანხას შესრულებული სამუშაოს შემდეგ, ეტაპობრივად მიიღებს.

ინტერპრესნიუსი

◎ ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## რად არ გვეხმაურებით, ბატონებო, სათქმელი არაფერი გაქვთ, თუ...

ანუ მართლაც რატომ ბნელა ქუთაისსა და სრულიად საქართველოში და რატომ არ არის ეს მხოლოდ ენერგოკრიზისის ბრალი

იხ. მე-2 გვ.




◎ პანორამა



ერაყის დასავლეთში დაიღუპა აშშ-ს სამი საზღვაო ქვეითი. ოღონდ, ჯერ ცნობილი არ არის, ისინი ერთად დაიღუპნენ ერთი თავდასხმის დროს, თუ სხვადასხვა შეტაკებაში, განაცხადა ამერიკელთა ჯარის პოდპოლკოვნიკმა სტივ ბოილანმა. ამრიგად, გუშინ ერაყში დაღუპულ ამერიკელ ჯარისკაცთა რიცხვმა 1800-ს გადააჭარბა.

* * *

ლონდონის ცენტრში ავტობუსი აალდა. შემთხვევის ადგილზე, გრეის-ინ-როუდის ქუჩაზე, გა-



მოიძახეს მეხანძრეები და გამნაღმველები. შემოვიდა დაუზუსტებელი მონაცემები ავტობუსში საეჭვო პაკეტის არსებობის შესახებ. ყველაფერი ეს მოხდა იმ სადგურის მახლობლად, სადაც 7 ივლისს ოთხიდან ერთ-ერთი აფეთქება მოხდა.

* * *

ავსტრალიის ყველაზე მაღალ მთაზე – კოსტიუშკოს პიკზე – ტუალეტს დადგამენ. ამით ნაკრძალის დირექციას სურს, გადააჩვიოს ტურისტები მავნე ჩვევას – მოისაქმონ იქ, სადაც მოესურვებათ, რადგან მწვერვალიდან ჩამოცვენილი ქვები შარდით ყარს.

## ასე განსწავლულ მოზარდს როგორღა დაიჭერ?...

იხ. მე-7 გვ.




იხ. მე-5 გვ.

## ჰოლივუდში პუტინის შესახებ „ცისფერ" ჯონსონს გადაიღებენ

◎ პირველი ხუთეული

## ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა მსოფლიოში 100 გავლენიანი ქალისგან შემდგარი სია, სადაც ყველაზე მეტი ამერიკელია. გთავაზობთ სიის პირველ ხუთეულს:







1. კონდოლიზა რაისი – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი.
2. უ ი – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. იულია ტიმოშენკო – უკრაინის პრემიერ-მინისტრი.
4. გლორია აროიო – ფილიპინების პრეზიდენტი.
5. მარგარეტ უაიტმენი – eBay ინტერნეტ-აუქციონის აღმასრულებელი დირექტორი.

*გინდათ, გახდეთ მილიონერი და მილიარდერიც კი? გსურთ, საკუთარი სურვილებისამებრ მართოთ თქვენი, და არა მარტო თქვენი, ცხოვრება?*

*უფრო ხშირად დაარღვიეთ დღის განრიგი, ენდეთ ინტუიციებს, ინსტინქტებს, შეცვალეთ ხოლმე ნაცნობების წრე და იღბლიანი გახდებით...*

იხ. მე-5 გვ.

## ხართ თუ არა იღბლიანი?


არისტოტელ ონასისი


ედიტ პიაფი



რომან აბრამოვიჩი


კოკო შანელი

საქართველოს რესპუბლიკა

№ 182. ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 2005 წელი.

◎ ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# რად არ გვეხმაურებით, ბატონებო, სათქმელი არაფერი გაქვთ, თუ...

## ანუ მართლაც რატომ ბნელა ქუთაისსა და სრულიად საქართველოში და რატომ არ არის ეს მხოლოდ ენერგოკრიზისის ბრალი

**ამჟერად (თუ რატომ ვხმარობთ ასე ხაზგასმით ამ სიტყვას, მკითხველი მომავალ პუბლიკაციებში მიხვდება — ა. შ.) ყოველგვარი შესავლის გარეშე მოგახსენებთ სათქმელს: ჩვენი გაზეთის წლევანდელი 21 მაისის ნომრის I გვერდზე რუბრიკით „დაუდევრობა თუ ანგარება?“ დაიბეჭდა წერილი „ჩვენთვის ხელფეხშემკვრელი ხელშეკრულება, რომელიც სამარცხვინოც არის და დამმონებელიც“.**

**პუბლიკაციიდან უკვე მესამე თვე მიდის, პასუხი კი არ ჩანს. არადა, მასალის სარედაქციო მინაწერით კონკრეტული პიროვნებებისგან ვითხოვდით პასუხს.**

**თუ რისთვის, ამას იმ პუბლიკაციის სარედაქციო მინაწერით გაეცნობით.**




რედაქციისაგან: ჩვენს გაზეთს ამ მწვავე თემაზე წინა წლებშიც მრავალგზის გაუმახვილებია ყურადღება, უმხელია და გაუკრიტიკებია ამგვარი „ხელშეკრულების“ (თუნდაც „ეი-ი-ეს თელასთან“ დადებული) გამფორმებელი ჩვენებური ვაიჩინოვნიკები. ამჟამად ამ საკითხს კვლავ ვუბრუნდებით მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, როგორც აშკარად კაბალური და ჩვენთვის მიუღებელ-შეურაცხმყოფელი, გაუქმდეს. იმის იმედსაც ვიტოვებთ, რომ ამ „ხელშეკრულებაზე“ ხელმომწერი ქართული მხარის წარმომადგენლებიც ოპერატიულად გამოგვეხმაურებიან და მკითხველს აუხსნიან, თუ რად გაფორმდა იგი ამგვარად. პასუხის დაგვიანების შემთხვევაში კვლავაც მივუბრუნდებით ამ საკითხს.

*ხოლო მკითხველისთვის იმის შესახსენებლად, თუ რომელ ხელშეკრულებაზე იყო ლაპარაკი, მოვიტანთ ვრცელ ამონარიდს ხსენებული პუბლიკაციიდან (მასში საუბარი გახლდათ დასავლეთ საქართველოში უცხოური ენერგოგამანაწილებელი კომპანიების მონოპოლიურ მდგომარეობასა და გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან გაფორმებულ კაბალურ ხელშეკრულებაზე — ა. შ.).*

**„ხელშეკრულების ენაა ინგლისური“** — ვკითხულობთ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მართვის ხელშეკრულებაში, რომელიც 2003 წლის 8 მაისითაა დათარიღებული და დღემდე მოქმედია.

დიახ, დიახ! მხოლოდ ინგლისური და არა ქართული და ინგლისური, რასაც ნორმალური დოკუმენტის შედგენისას მხარეთა თანასწორუფლებიანობა მოითხოვს.

მეტიც. აქვე ვკითხულობთ, რომ ხელშეკრულება, მისი მნიშვნელობა, ინტერპრეტაციის წესი და მხარეთა შორის ურთიერთობა ინგლისის, დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით წესრიგდება (?!).

დაბოლოს, ისევ და ისევ ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი კიდევ ერთი ამონარიდი.

**„მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა მოსაგვარებლად გადაეცემა სავალდებულო ძალის მქონე საარბიტრაჟო სასამართლოს კომერციული არბიტრაჟის „UNCITRAL“-ის წესების შესაბამისად განსახილველად. არბიტრაჟი შედგება ლონდონში, ინგლისში. მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება მათთვის იქნება სავალდებულო და უარს ამბობენ უფლებაზე, რომელიმე სხვა წესების და სხვა სასამართლო სისტემის ქვეშ აღძრან საქმე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებადია ნებისმიერი შესაბამისი კომპეტენციის სასამართლოს მიერ“.**

აი, ჩვენთვის უცხო, ამასთან კარგი და საუცხოო კი არა, სამარცხვინო და აშკარად დამმონებელი სამართალი!!!

ვაი, სირცხვილო! რატომ უნდა გვიბედავდნენ ამას? რად და რისთვის ვაძლევთ ვინმეს ამის გაკეთების უფლებას?

ბნელა, ნამდვილად ბნელა ქუთაისსა და სრულიად საქართველოში. ამასთან, ეს წყვდიადი მხოლოდ ენერგეტიკული კრიზისის შედეგი როდია. იგი პირადი გამდიდრების მიზნით ერის ინტერესების გამყიდველთა მიერ ქვეყნისთვის თვალის ახვევით ჩამოწოლილი წყვდიადია და საზოგადოების აქტიური ჩარევის გარეშე მისი დაძლევა შეუძლებელია“.

*აი, სწორედ ამის გამო ვთხოვეთ გამოხმაურება ამგვარი „ხელშეკრულების“ გამფორმებელ ჩვენებურ ვაიჩინოვნიკებს, რომელთა გვარები მაშინ საგანგებოდ არ დაგვისახელებია. თუ ამჟამადაც არ გამოგვეხმაურებიან...*

*თუმცა ახლა რამდენიმე კონკრეტულ გვარსაც დავასახელებთ:*

*პასუხს ველით ქონების მართვის მაშინდელი მინისტრისგან* ***სოლომონ პავლიაშვილისგან,*** *გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის ყოფილი დირექტორისგან* ***დავით ქართველიშვილისა*** *და იმ კონტრაქტორისგან, რომელთა „შემოქმედების“ ნაყოფიც გახლავთ ზემოთ აღნიშნული „ხელშეკრულება“, ქართული ენერგეტიკა იმათ ბრჭყალებში რომ მოაქცია, ვისთვისაც საქართველოს მოსახლეობა მუდამ „ვიღაცა“ იყო და მისი ჭირი არაფრად მიაჩნდა.*

*ველით პასუხს, თორემ მომდევნო პუბლიკაციები ერთობ მწარე და კონკრეტული იქნება, ბატონებო!*

**აზო შელია**

◎ აქტუალური თემა

# მარტო ხელისუფლების კრიტიკა არ კმარა

**როგორც ცნობილია, შუალედური მაჟორიტარული არჩევნები ხუთ საარჩევნო ოლქში — თბილისის ისნის რაიონში, ბათუმში, ქობულეთში, შუახევსა და ტყიბულში 1 ოქტომბერს ჩატარდება. შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეთა განცხადებების მიღება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე დაიწყო. პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი კანდიდატები 21 აგვისტომდე უნდა წარადგინონ, მანამდე კი საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაცია უნდა მოხდეს.**

თითქოს რეგისტრაცია რთული პროცედურა არ არის, მაგრამ რატომღაც ხშირად პარტიები ამ პროცედურისთვის მზად არ არიანხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო წინა არაერთი არჩევნების დროს: ხან მისამართი გამორჩებათ, ხან სახელი, ხან გვარი... იმედია, ამჯერად უფრო მობილიზებული იქნებიან. პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი კანდიდატის სასარგებლოდ თანხმობის მისაღებად ათასი ხელმოწერის შეგროვება მოუწევთ. არც ეს არის მთლად იოლი პროცედურა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხალხს პარტიების მიმართ ნდობა საკმაოდ დაკარგული აქვს.

ოპოზიციის აზრით, ხალხის ნდობა მათ არ დაუკარგავთ და დიდი იმედი აქვთ, რომ ამომრჩევლები წინასწარ არჩევნებზე გამოცხადდებიან. წინასწარი არჩევნები კი არა, შუალედური არჩევნებიც არ არის იმ მასშტაბის ღონისძიება, ამომრჩეველმა მისვლა არ დაიზაროს.

რაც შეეხება წინასწარ არჩევნებს, ანუ პრაიმერს, ოპოზიციამ ამ საკითხში სრულ შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ მიაღწია. „რესპუბლიკელები“ ამ იდეას გაემიჯნენ: მათი აზრით, ამ შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევა უფრო ეფექტურია. არადა, სოციოლოგიურ გამოკითხვას რომელი პარტიაც ატარებს, რატომღაც ყველაზე რეიტინგული საკუთარი პარტია გამოჰყავს. ამდენად, ოპოზიციის განცხადება, რომ სოციოლოგიური გამოკითხვა არ არის გამჭვირვალე პროცესი, მთლად საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. სხვა თუ არაფერი, როცა ვერ ხედავ, ვინ ატარებს და როგორ ატარებს, დაჯერება ძნელია.

**კახა კუკავა, „კონსერვატორების“ ერთ-ერთი ლიდერი:** „ჩვენ ჩვენი არგუმენტები გვაქვს, „რესპუბლიკელებს“ თავიანთი. თუ მოვახერხებთ შეჯერებას, შევჯერდებით, თუ არადა, „რესპუბლიკელებთან“ თანამშრომლობას მაინც გავაგრძელებთ... ყველაზე ნამდვილი სოციოლოგია არის არჩევნები. ეს პროცესი არის ღია და გამჭვირვალე. მიიღებენ თუ არა „რესპუბლიკელები“ პრაიმერში მონაწილეობას, ამის მიუხედავად პრაიმერი შედგება და შეთანხმებას ხელი მოეწერება“.

წინასწარი არჩევნები სექტემბრის მეორე ნახევარში, ოფიციალურად დანიშნულ არჩევნებამდე ორი-სამი კვირით ადრე ჩატარდება. მასში მონაწილეობას როგორც ცნობილია, „კონსერვატორები“, „მემარჯვენეები“, „ლეიბორისტები“ და პარტია „თავისუფლება“ მიიღებს. კულუარული ხმებით, წინასწარ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამაც გამოთქვა, მაგრამ მას რატომღაც უარი უთხრეს.

პრაიმერში მონაწილე ოთხი პარტიიდან ორმა უკვე თავისი კანდიდატები დაასახელა. „კონსერვატორებიდან“ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ: ისნის რაიონში — მერაბ კაჭახიძე, ტყიბულში — შალვა გაბრიაძე, ქობულეთში — ჯიმშერ ჯინჭარაძე, ბათუმში — ჯუმბერ თავართქილაძე.

„მემარჯვენეებმა პრაიმერში საკუთარი კანდიდატი სამ საარჩევნო ოლქში წარადგინეს: ისნის საარჩევნო ოლქში წინასწარი არჩევნებისთვის იბრძოლებს გიორგი მოსიძე, ტყიბულში — ნინო ქვარიანი, ხოლო შუახევში — ედუარდ ნიჟარაძე.

წინასაარჩევნო კამპანია 1 აგვისტოს გაიხსნა. შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილე კანდიდატები ცალ-ცალკე დაიწყებენ კამპანიას, ოპოზიცია კი პრაიმერის შემდეგ ერთობლივ „შეტევას“ გეგმავს. ცხადია, ამ კამპანიის მთავარი მამოძრავებელი ღერძი ხელისუფლების კრიტიკაა, მაგრამ კარგი იქნებოდა, ოპოზიციას ქვეყნის განვითარების საკუთარი ხედვაც გააჩნდეს.

**მზია გელენავა**

◎ სიტუაცია

# ვისი კაცია ლოთი ქობალია?

**ზუგდიდში, მოძრაობა „წინ, საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის დროს მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე ლოთი ქობალია სამართალდამცველებმა გუშინ დაკითხეს.**

ლოთი ქობალიას განცხადებით, კონფლიქტი ინსპირირებული იყო მოძრაობის წევრების თემურ შაშიაშვილის, მიხეილ ქურდიანისა და ირაკლი ბათიაშვილის მიერ და დარბაზში სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მიხეილ ქურდიანმა მას და მის მომხრეებს გარეწარი უწოდა.

ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდლის განცხადებით, იგი სცენაზე ასვლას და მიკროფონთან რამდენიმე კითხვის დასმას გეგმავდა, თუმცა „წინ, საქართველოს“ ლიდერებმა ამის საშუალება არ მისცეს, რის შემდეგაც მდგომარეობა უმართავი გახდა.

ლოთი ქობალია მზად არის, ითანამშრომლოს გამოძიებასთან, თუმცა მოითხოვს, ინციდენტის მთავარი მონაწილეები ზუგდიდში დაიკითხონ.

„წინ, საქართველოს“ ადგილობრივი ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ინციდენტთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართეს.

მათი განცხადებით, კონფლიქტი ხელისუფლების მიერ არის ინსპირირებული და ლოთი ქობალია და მისი მომხრეები ცენტრალური ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდნენ.

მოძრაობა „წინ, საქართველოს“ ლიდერების ზუგდიდელ მოსახლეობასთან შეხვედრა გუშინწინ ჩხუბით დასრულდა. შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც დარბაზში ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე ლოთი ქობალია გამოჩნდა.

**ინტერპრესნიუსი.**

◎ ინფორმაცია

## გიგი უგულავა გვერდიდან არ იშორებს...

**თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის უფროსის კანდიდატურა ქალაქის პრემიერმა თემურ ქურხულმა საკრებულოს უკვე წარუდგინა. ამ თანამდებობაზე გივი ორდენიძეს მამუკა ახვლედიანი შეცვლის.**

**მამუკა ახვლედიანმა თბილისის სასულიერო სემინარია და სასულიერო აკადემია დაამთავრა. მას განათლება ქალაქ კილკიზის საღვთისმეტყველო სასწავლებელსა და სალონიკის არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და ბიზანტოლოგიის ფაკულტეტზეც აქვს მიღებული.**

**რაც შეეხება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის მომავალი უფროსის შრომით გამოცდილებას, იგი საქართველოს საპატრიარქოში საგამომცემლო განყოფილების კალენდრის რედაქციას ხელმძღვანელობდა, მუშაობდა რუსთავის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის რელიგიის ისტორიისა და ღვთისმეტყველების რექტორის თანამდებობაზე და რუსთავის გიმნაზიაში რელიგიისა და კულტურის მასწავლებლად.**

**ბოლო წლებში კი მამუკა ახვლედიანი სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსად, შემდეგ კი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველ მოადგილედ მუშაობდა.**

**მამუკა ახვლედიანის კანდიდატურას თბილისის საკრებულო 4 აგვისტოს სხდომაზე დაამტკიცებს.**

## მომავალი წლიდან საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი ექნება

**მომავალი წლიდან საქართველოს ახალი საბაჟო კოდექსი ექნება.**

**როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ფანცულაიამ განაცხადა, კოდექსის პროექტზე მუშაობა თითქმის დასრულებულია და საჯარო განხილვისთვის პროექტი მალე საბაჟო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება.**

**საბაჟო კოდექსი ევროკომისიის გრანტის დახმარებითა და უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით შეიქმნა. პარლამენტში მისი განხილვა საშემოდგომო სესიაზე დაიწყება.**

**უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კოდექსს ბოლომდე მიიღებს, რათა კოდექსის ამოქმედება პირველი იანვრიდან მოესწროს.**

## ფოთში ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნები გაიმართა



**სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდმა „ივერიამ“ გუშინ დილით ფოთის სამხედრო პორტი დატოვა. მასზე იმყოფებოდა 20 სამხედრო მოსამსახურე. ისინი გავიდნენ ღია ზღვაში, სადაც ამერიკულ სადესანტო ხომალდ „ნეშვილთან“ ერთად ერთობლივი სამხედრო წვრთნები გამართეს.**

**წვრთნების პირობითი მიზანი იყო ხომალდის გადარჩენა. იგი მოიცავდა სადესანტო და სამაშველო ოპერაციებს. ასევე იმიტირებული ცეცხლის ჩაქრობა გემზე ხანძრის გაჩენის ან გემზე წყლის შემოსვლის შემთხვევაში.**

**ქართულ სამხედრო ხომალდ „ივერიასა“ და სადესანტო ხომალდ „ნეშვილის“ ეკიპაჟის წევრებმა ეს მანევრები ღია ზღვაში ერთობლივად განახორციელეს.**

**ფოთში იმყოფებოდა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი, პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა და თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით სიხარულიძე.**

**ხომალდ „ნეშვილის“ ვიზიტის მიზანს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების პირად შემადგენლობასთან ერთად ტრენინგების ჩატარება და ქართული მხარისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს.**

**ქართული მხრიდან ტრენინგებში მონაწილეობას სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდი ბორტი 201 - „ივერიის“ პირადი შემადგენლობა მიიღებს. „ნეშვილი“ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ხომალდია, რომლის სიგრძე 170 მეტრს, ხოლო ჩაძირულობა 7 მეტრს შეადგენს.**

## რუსეთიდან და ყაზახეთიდან ფრინველის ხორცის იმპორტი აიკრძალა



**საქართველომ ყაზახეთიდან ფრინველის ხორცის იმპორტი აკრძალა.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ერთგვარი პრევენციაა საქართველოში „ფრინველის გრიპის“ გავრცელების წინააღმდეგ.**

**როგორც ცნობილია, გასულ კვირას, ყაზახეთსა და რუსეთის ნოვოსიბირსკის ოლქში აღნიშნული დაავადება იქნა აღმოჩენილი. ნოვოსიბირსკის ოლქში, სადაც ინფექციის პირველი კერა გამოვლინდა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა კარანტინის ზონაში მდებარე 13 დასახლებულ პუნქტში 65 ათასი სული შინაური ფრინველი გაანადგუროს.**

**„ფრინველის გრიპის“ შემთხვევები დაფიქსირდა ალტაის მხარეშიც, სადაც უკვე ასეულობით ქათამი გაწყდა. აქ, ასევე ნოვოსიბირსკის ოლქის 13 სოფელში კარანტინია გამოცხადებული.**

**ჯერჯერობით „ფრინველის გრიპით“ ადამიანთა დაავადების შემთხვევები დაფიქსირებული არ არის.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ ღმერთი თავად ჩვენშია

# რად ხდება ამდენი ბოროტება, ამდენი მკვლელობა...

## პროფესორი რამეშ რიჩარდი „შერატონ მეტეხი პალასში“

**სად არის ღმერთი, როდესაც ჩვენს გარშემო ამდენი ბოროტება მძვინვარებს, ამდენი უაზრო მკვლელობა ხდება? — ეს კითხვა აღელვებდა „შერატონ მეტეხი პალასში“ შეკრებილ საზოგადოებას, რომელიც საერთაშორისო ლექტორისა და ფილოსოფოსის, ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორის რამეშ რიჩარდის ლექციის მოსასმენად მოსულიყო.**



შეხვედრა ქრისტიანული საზოგადოება „ვაზის“ თაოსნობით გაიმართა. მისმა მესვეურმა კოტე სარაჯიშვილმა ფილოსოფოსის წარდგენამდე, შესავალი სიტყვა 11 სექტემბრის შემაძრწუნებელი ამბით დაიწყო, როდესაც ბოროტებამ „კაცობრიობის თვალწინ ამერიკის შეერთებული შტატები — ეს ძალმოსილი სახელმწიფო უცებ ბეჭებზე დასცა“.

მისი თქმით, ბოროტება მოგვიმრავლდა და თვით ერთი ერის წარმომადგენლებიც კი „ერთმანეთს გულებს აცლიან“.

ამიტომ საჭიროა ამ ყველაფერზე დაფიქრება, სარკეში ჩახედვა, რათა ჩვენი თავი უკეთ დავინახოთ. „ეს სარკე ღვთის სიტყვაა“, — განაგრძო ბატონმა კოტემ, — ის სიტყვაა, რომელიც მრავალი ათასი წელიწადია, რაც გაისმის მსოფლიოს ყველა ენაზე.

„ვინ, თუ არა ქრისტემ, დაამარცხა სიკვდილი, მან არ გამოიყენა ძალა ძალის წინააღმდეგ. სულ სხვა — ღვთიური გზა — თვითშეწირვის მეთოდი აირჩია. თავად შეეწირა და გამარჯვებული გამოვიდა“...

ბატონი კოტეს სიტყვით, რამეშ რიჩარდმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაცნობიერებული ქრისტიანობით იცხოვრა. იგი წარმოშობით ინდოელია, აღმოსავლურ რელიგიებს და მათ სიბრძნეს ფლობს. ფილოსოფოსი სულიერ საკითხებში რეგულარულად ესაუბრება ადამიანებს მნიშვნელოვან სასიცოცხლო პრობლემებზე, მათ შორის საქმიანი წრეების, მთავრობების, მეცნიერების, პოლიტიკური და რელიგიური სფეროს წარმომადგენლებს. იგი ღვთის სიტყვას — ბიბლიის მნიშვნელობას ათვალსაჩინოებს ფართო საზოგადოების წინაშე ჰარვარდიდან ჰაიტიმდე, პრემიერ-მინისტრებიდან უბრალო ადამიანებამდე, მცირე ჯგუფთა შეკრებიდან ასი ათასიან აუდიტორიამდე.

მან 70-ზე მეტ ქვეყანაში ამცნო ხალხებს ღვთის სიტყვის მნიშვნელობა, „ეს არის ღვთის მარადიული სიტყვა — ჩვენი გულებისადმი თქმული“, — ასკვნის კოტე სარაჯიშვილი.

იმ დღესაც რამეშ რიჩარდმა ისაუბრა ბოროტების იდუმალ სახეზე, რომ მსოფლიოში ყოველდღიურად მრავალი ტერაქტი და მკვლელობა ხდება. ბოროტება ყველგანაა, სადაც სიკეთე არსებობს. ცალკე აღებული ბოროტება არ არსებობს, — ამბობს ფილოსოფოსი. ბოროტება ღმერთს არ შეუქმნია, იგი თავად ადამიანშია და ჩვენ ნიღაბს გვხსნის, ბოროტება გვეუბნება, ვინ ვართ ჩვენ და ბოროტება მხოლოდ სიკეთით დაიძლევა. ამიტომ გვმართებს ამაზე დაფიქრებაო...

საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ XII საუკუნეში რუსთაველმა თქვა, რომ ბოროტს ყოველთვის სიკეთე სძლევსო.

არა მხოლოდ თითოეული ადამიანი, არამედ ყოველი ერი ფიქრობს იმაზე, რა იქნება მომავალში? ქართული საზოგადოებაც დაიღალა უკეთესობის ლოდინით, უკეთესობა მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ჩვენ ირგვლივ არსებულ ბოროტებაზე თითოეული ჩვენგანი რეაგირებას მოახდენს. ღმერთი თავად ჩვენშია და მისი სხივი ძლიერებით აღგვავსებს...

ასე ფიქრობდნენ „შერატონ მეტეხი პალასში“ ლექციაზე მოსული ადამიანები.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ფაქტი

# ორმაგი სირცხვილი

**ორმაგი სირცხვილია, როცა საქართველოში უცხოელს დააყაჩაღებ, ორმაგი სირცხვილია მაშინაც, როცა უცხოეთში საქურდლად წახვალ. ეს სენი მასობრივად ახლა მოგვედო, დამოუკიდებლობის ხანაში, თორემ საბჭოთა პერიოდში იგი იშვიათ ხილს წარმოადგენდა.**

გუშინ საინფორმაციო საშუალებებმა უსიამო ამბავი გაავრცელეს:

29 ივლისს დუბაიში ხუთი ქართველი დააკავეს, მათ შორის ერთ-ერთი დაკავებული — დგებუაძე უშიშროების მაღალჩინოსანია.

როგორც ამბობენ, ვინმე მერაბ გილაძემ იყაჩაღა. პოლიციამ დუბაიში სასტუმრო „სითი სთარის“ დათვალიერება და შემოწმება მოაწყო, რომელშიც გილაძე ცხოვრობდა.

პოლიციამ გილაძესთან ერთად ყველა ქართველი დააკავა, რომლებიც იმ პერიოდში სასტუმროში იმყოფებოდნენ. ესენი არიან გოგიტა კეჟია, დავით თურმანიძე, დავით ბერიძე და უშიშროების მაღალჩინოსანი დგებუაძე.

დუბაიში ქართველები ტურისტული გზით მოხვდნენ. ორი მათგანი სასტუმროში იმყოფებოდა მეუღლეებთან ერთად, მათ ხელი არ ახლეს. დაკავებულები ამაოდ ცდილობენ საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლობასთან დაკავშირებას.

არა, საქართველოს მოქალაქეები არავის მიუტოვებია. ფაქტს გამოეხმაურნენ, მაგრამ...

იორდანიასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში საქართველოს ელჩის ეკატერინე მაიერინგ-მიქაძის ინფორმაციით, 29 ივლისს დუბაიში დაკავებული საქართველოს ხუთი მოქალაქე ეჭვმიტანილია ბინის გაძარცვის მცდელობაში.

მიქაძის განმარტებით, დაკავებულთაგან ერთ-ერთმა უკვე აღიარა დუბაიში ფილიპინელი ქალბატონის სახლის გაძარცვის მცდელობა. სხვა დაკავებულები კატეგორიულად უარყოფენ ამ მოქალაქესთან რაიმე კავშირს, თუმცა ფილიპინელი ქალბატონის ჩვენებით, მისი ბინის ძარცვაში აღნიშნული პირებიც მონაწილეობდნენ.

ეკატერინე მაიერინგ-მიქაძის თქმით, ამჟამად საქართველოს მოქალაქეები წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან. მათ დაენიშნათ ადვოკატი. სიტუაციის გარკვევის მიზნით დუბაიში უკვე იმყოფება საქართველოს კონსული.

ამ კონსულს, ალბათ, სახეზე ალმური გადასდის. აბა, რა იქნება, რა საქმეზე მიადგა პოლიციას?

ამ ბოლო დღეებში ქართველები მასობრივად დააკავეს ლისაბონშიც, ვენაშიც, და აჰა, დუბაიშიც.

რა გვიჭირს, ნელ-ნელა გავდივართ საერთაშორისო ასპარეზზე!

**ბონდო გულიაშვილი**

◎ ალოობა — 2005

# მრუდეყელიანი გუთნის შესახებ

**ჩაგვიელიდა თუ არა, ანიშნებდნენ — დააყენე კომბაინი, ჩამოდი, სტუმრები არიან და შენთან საუბარი სურთო.**

**ვანო ლანჩავაშვილი კი, ვითომც ვერ გვხედავდა, დააგუგუნებდა „ველის ხომალდს“ ოქროსფრად მოღაღანე ყანაში, კვალს გაიტანდა, მინდვრის ბოლოში მობრუნდებოდა და კვლავ ჩვენკენ წამოვიდოდა.**

როგორ არ ჰგავდა იგი ახლო წარსულის იმ კომბაინერებს, დაუქნევდი ხელს თუ არა, მანქანას ხელდახელ დაამუხრუჭებდნენ, გადმოვიდოდნენ, დაგიწყებდნენ საუბარს მოსავალზე, სოფლის მშრომელებზე, ამინდზე, საერთაშორისო საკითხებზე, გულისწყრომით იკითხავდნენ — რატომ არ გააქვთ ამერიკელებს თავიანთი სამხედრო ბაზები გერმანიიდანო, თითქოს საბჭოთა ბაზები გერმანიაში იქაურთათვის უცხო რამ ხილი ყოფილიყო. მერე აუჩქარებლად სიგარეტს გააბოლებდნენ და, ბოლოს, ასვლაც კი ეზარებოდათ კომბაინზე.



საბაზრო ეკონომიკამ ბევრი რამ შეცვალა. ძალიან ბევრი — უკეთესობისკენ. უპირველესად, დროის ყადრი და გაფრთხილება ასწავლა ადამიანებს. ალოობის კამპანიის თანმხლები ბევრი დეკორატიული არაფრისმაქნისი ელემენტი უკუაგდო. დღეს კალოზე აღარც „ლენინის კუთხეა“, აღარც აგიტატორი, ახლა მინდორი და მისი ყველა კუთხე-კუნჭული შრომის რიტმითაა გაჯერებული. ლაპარაკი ცოტა, საქმე — ბევრი.

თუმცა ჩქარობდა, მაგრამ მითხრა, რომ მათი გვარი პაპიდან და პაპისპაპიდან მიწასთანაა შეჭიდებული და ლანჩავაშვილები უპირატესად ღამის მეხრეები იყვნენო!

ახლა ვიღას ახსოვს, თორემ ძველად ღამის მეხრედ ამტან და კუნთმაგარ გლეხს გამოარჩევდნენ ხოლმე. იგი ღამით გუთნის ხარ-კამეჩს აძოვებდა, რომ სისხამ დილით დღის მეხრეებისთვის მაძღარი და დასვენებული საქონელი დაეხვედრებინა. შემდეგ გუთნეულს გაშლიდნენ და...

**შენი ჭირიმე, გუთანო,**
**მაგ შენი მრუდე ყელისა.**

— პაპაჩემიც ასე ჩაიღიღინებდაო, — გვითხრა ვანომ. გამოგვემშვიდობა, კომბაინზე ახტა და ცოტა ხნის შემდეგ „ველის ხომალდი“ გაშლილ ყანაში მიღელავდა.

ქარელის რაიონის ყოფილი ბრეთის მეურნეობის ფართობებზე არენდატორები იღებენ მოსავალს.

— ჯერ საგაზაფხულო ქერს ვაბინავებთ, — მეუბნება ერთ-ერთი მათგანი, ალექსი კუხიანიძე, — ორი-სამი დღის შემდეგ პურის ყანებში შევალთ და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა, აქ რომ 17 ცენტნერს არ აჭარბებს, ერთი-ორად გაიზრდება.

ამ აზრს იზიარებს ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ვაჟა მარჯანიძეც. მისი თქმით, თავთავიანები რაიონში უკვე 500 ჰექტარზეა აღებული და მკის ტემპი ყოველდღიურად იზრდება.

საითაც გაიხედავ, პურის ყანებია და იქ, სადაც ყანებია, კომბაინიც უნდა ტრიალებდეს, სატვირთო ავტომანქანებიც უნდა მუშაობდნენ და თუ სამხრობაა, სადმე ჩრდილში სუფრაც უნდა იშლებოდეს.

ალექსი კუხიანიძემ საამისო დავალება უკვე მისცა თავისიანებს...

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

⊙ პირით საქართველოსკენ

# სამცხე-ჯავახეთს ილია ჭავჭავაძის თვალებით უნდა უყურონ

**ამბობს ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის დირექტორი ნოდარ სარჯველაძე**

**ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი, ეუთოს ეგიდით, სამცხე-ჯავახეთის ექვსივე რაიონში — ნინოწმინდაში, ახალქალაქში, ბორჯომში, ახალციხეში, ადიგენსა და ასპინძაში ახორციელებს სპეციალურ პროექტს ამ რაიონების საჯარო მოხელეებისათვის. ესენი არიან: გამგებლები, გამგეობის თანამშრომლები, საკრებულოს თავმჯდომარეები, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები. პროექტი ორწლიანია და გულისხმობს ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვას რეგიონში და ამ მართვის შესახებ გარკვეული ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებას.**

— პროექტი თებერვალში დავიწყეთ, — გვითხრა ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნოდარ სარჯველაძემ, — მოვამზადეთ ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვის კარგი პროგრამა, რომელიც თავის მხრივ სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს. პირველი მიმართულება ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ყველა პრობლემისადმი მგრძნობიარობისა და ცნობიერების დონის ამაღლებას გულისხმობს. ამ მიზნით პროექტში მონაწილე 216 საჯარო მოხელესთვის სპეციალურ ტრენინგ-სემინარებს ვმართავთ.



მეორე მიმართულებაა სომხებისა და ქართველების, აგრეთვე, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სხვა ეროვნებების ერთობლივი პროექტები. ეს მიმართულება რაიონთაშორის ურთიერთობებსაც გულისხმობს, ვთქვათ, ასპინძელებისა და ნინოწმინდელების ან ბორჯომელებისა და ახალქალაქელების ერთობლივ პროექტებს...

მესამე მიმართულება ერთაშორისი ურთიერთობების ზნეობრივი ასპექტის, ეთიკის კოდექსის შექმნას ემსახურება.

პროექტში მონაწილე 216-მა ადამიანმა ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ სამი თვის განმავლობაში გაიარა სპეციალური წვრთნა. ამ წვრთნის მეოთხებით ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ერთობლივი ძალისხმევით რეგიონის განვითარების საერთო პროექტები შეემუშავებინათ.

ამის შემდეგ ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი თავად ჩავიდა სამცხე-ჯავახეთში. თან გვახლდნენ ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც რძის პროდუქტების წარმოება-რეალიზაციას მისდევენ.

**— ესე იგი პროექტში ჩაერთო ეკონომიკაც?**

— ჩვენი პროექტის მიზანია არა მხოლოდ ქართველი და სომეხი ადამიანების ერთმანეთთან შეხვედრა-დაახლოება, არამედ ახალი ბიზნეს-სტრუქტურის ჩამოყალიბება. დავიწყებთ ქართველი, სომეხი და სხვა ეროვნების მეწარმეების, ფერმერთა საზოგადოებების ჩამოყალიბებას, რომლებიც შემდეგ შეიმუშავებენ ურთიერთობების საერთო კოდექსს.

ანუ ჩვენი ამოსავალია ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს გამთლიანებულ საზოგადოებას, სადაც ყველა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს არა მარტო შანსი აქვს თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, არამედ ამ თვითმყოფადობის განვითარებაც და სრულყოფაც შეუძლია.

იმავდროულად, ჩვენ პრაგმატიკოსებიც ვართ, ანუ ამ ინტეგრაციის პროცესს ვაფუძნებთ ეკონომიკაზე და სხვა სასარგებლო პროექტებზე. მათ ვასწავლით არა მხოლოდ პროექტების წერას, არამედ პრაგმატულ აზროვნებას, ახლებურ ხედვას.

ჩვენ ვქმნით ურთიერთობათა ბადეს, როგორც მეწარმეთა, ასევე ჩვეულებრივ მოქალაქეთა გაერთიანებებს, ასოციაციებს, რომელთაც სარგებლობა მოაქვთ საზოგადოებისთვის.

ჩვენი მიზანია, აგრეთვე, ინფორმირებულობის დონის ამაღლება ეროვნული ტრადიციებისა და თავისებურებების შესახებ. მთავარია ადამიანების ურთიერთგაცნობა და დაახლოება.

**— მაგრამ ენობრივი ბარიერის დაძლევას როგორ ახერხებთ? სამცხე-ჯავახეთში ხომ მოსახლეობის უმრავლესობამ ქართული ენა არ იცის...**

— უნდა გითხრათ, რომ ამ ბოლო დროს სამცხე-ჯავახეთში მომრავლდა ქართული ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობა. ფაქტია, რომ ეს სურვილი ადამიანებს ჩვენი პროექტის განხორციელებისას დაებადათ, მაგრამ, ვფიქრობ, მათ ენის სწავლა ფორსირებულად არ უნდა მოვთხოვოთ. ამ პროცესზე გეგმაზომიერი გადასვლა აუცილებელია ახალქალაქში, სადაც მოსახლეობის 99 პროცენტს სომხები წარმოადგენენ და სამეტყველო ენა სომხურია. ქართული ენის შესწავლის ყველაზე კარგი საშუალება ცოცხალი მეტყველება და ცოცხალი კავშირურთიერთობებია.



მე პირადად,ჯავახეთში მრავალი ოჯახი ვნახე, რომელთაც სურთ ქართული ენის შესწავლა და ამ მიწაზე დამკვიდრება. ისინი ამბობენ, რომ მათი ისტორიული სამშობლო სომხეთია, მაგრამ პირადი სამშობლო — საქართველოა. მათ უნდათ, რომ თავი იგრძნონ საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად. ამიტომ, ვფიქრობ, ის, რაც საქართველოს გაამთლიანებს, სამოქალაქო საზოგადოებაა. სჯობს, თავი შევიკავოთ ეთნიკური მომენტების წინ წამოწევისგან. მოქალაქეობრივი ინტეგრაციის საშუალებით საზოგადოება გამთლიანდება საერთო სულისკვეთებითა და ერთი ენის ფარგლებში, მაგრამ ეს არ გულისხმობს სომხურის უგულებელყოფას, პირიქით, — მათ ხელი უნდა შევუწყოთ საკუთარი ენის სრულყოფისთვის. ვინც საკუთარ ენას და წარსულს პატივს სცემს, მასთან ურთიერთობა უფრო ჯანსაღია ვიდრე იმასთან, ვისაც არც თავისი და არც სხვისი სჯერა.

ენა, ცხადია, უდიდესი ბარიერია, თუმცა მისი დაძლევა შეიძლება. მთავარი პრობლემა მაინც ეკონომიკაა. ეროვნებათაშორის ურთიერთობებში ეკონომიკა არსებით როლს შეასრულებს, მით უფრო, რომ სომხური მხრიდან უდიდესი დაინტერესებაა.

**— სამცხე-ჯავახეთში მომხდარი ბოლოდროინდელი ინციდენტების მიუხედავად, თქვენ მაინც ოპტიმისტურად ხართ განწყობილი?**

— რა თქმა უნდა. ოპტიმიზმი დიდია, ინციდენტები იქნება, რადგან ადამიანებს აქვთ არაჯანსაღი დამოკიდებულებები, არასწორი წარმოდგენები წარსულზეც, აწმყოზეც... მაგრამ ასეთ დროს აუცილებელია ტოლერანტობა. ასეთი საკითხები უნდა მოგვარდეს მშვიდად, ზედმეტი აჟიოტაჟის, „ჩემია, შენიას“ ძახილის გარეშე. პრობლემა თანდათან მოგვარდება, ვინც დასასჯელია, დაისჯება. კანონი უნდა გამკაცრდეს ისტორიული დამახინჯებების მიმართ.

თუ ვინმე ილია ჭავჭავაძის თვალებით უყურებს სამცხე-ჯავახეთს, მათ შორის პირველები ჩვენ ვართ. უნდა მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი და ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი...

**საუბარს შემოუერთდა ბიზნესმენი, შპს „ფუდიმპექს ჯორჯიას“ დირექტორი გოჩა მელქაძე. მისი თქმით, ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის პროექტი და მისი ეკონომიკური მხარე. ისინი უკვე შეხვდნენ ნინოწმინდის და ახალქალაქის მოსახლეობას, გააცნეს მათ ეკონომიკური კონცეფცია. ეს იქნება მცირე მასშტაბის კომერციული პროექტები, რომლის მიხედვითაც მზა პროდუქციას თბილისსა და დიდ ქალაქებში გაასაღებენ. ჯერჯერობით იგულისხმება რძის პროდუქტები.**

**ბიზნესმენის თქმით, სამცხე-ჯავახეთი მდიდარი რეგიონია უზარმაზარი რესურსებით. ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობა ხელს შეუწყობს სომხური მოსახლეობის ინტეგრაციას საქართველოს საზოგადოებაში. აგვისტოში იგეგმება შეხვედრები ნინოწმინდელ, ახალქალაქელ და ასპინძელ ფერმერებთან. გაიხსნება რძის შემგროვებელი პუნქტები, აგრეთვე, რძის გადამმუშავებელი მცირე ზომის მინი-ქარხნები. სამცხე-ჯავახეთი თავისი ხალხით და თავისი პროდუქტით მთლიანად უნდა შემოტრიალდეს საქართველოსკენ. ეს ორმხრივ სასარგებლო საქმეა.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

⊙ ინფორმაცია

## ბიუჯეტი სრულდება, ცხოვრება კი რთულდება

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, იანვარ-ივლისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლისა და გრანტის საპროგნოზო მაჩვენებელი 1 585 700 000 ლარით იყო განსაზღვრული. თუმცა რეალურად ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებელი 114,4 პროცენტით შესრულდა და ბიუჯეტში 180,9 მლნ. ლარით მეტია მობილიზებული. ეს მაჩვენებელი 2004 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 52,7 პროცენტით აღემატება.**

**საგადასახადო შემოსავლების გეგმა 61,8 მლნ. ლარის გადაჭარბებით შესრულდა. კაპიტალური შემოსავლების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 277,5 მლნ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 119,2 პროცენტია.**

**გადაჭარბებით შესრულდა არასაგადასახადო შემოსავლების პარამეტრი. შვიდ თვეში მობილიზებულია 207,8 მლნ. ლარი (გეგმის 147,9 პროცენტი.**

**ნაერთი ბიუჯეტი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ერთობლიობაა.**

## რა უნდოდა სოსო პავლიაშვილს ყარაბაღში?

**„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ საქართველოს ხელისუფლებას „მათი შტატიანი მომღერლის, სოსო პავლიაშვილის“ მიერ მთიან ყარაბაღში კონცერტის გამართვის გამო პროტესტს უცხადებს.**

**ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა გუშინ „ლეიბორისტულის პარტიის“ პრესსამსახურმა, რომლის თანახმად, ვიდრე ყარაბაღის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის არსებული კონფლიქტი სამართლიანად არ მოგვარდება, არც ერთ ქართველს ყარაბაღში კონცერტების გამართვის და ზეიმის მორალური უფლება არ აქვს.**

**“სოსო პავლიაშვილი თავისი ხმით საარჩევნო კამპანიისას ჯერ შევარდნაძეს და მის მმართველ პარტიას -“მოქალაქეთა კავშირს“ ემსახურებოდა, დღეს კი მიხეილ სააკაშვილისა და მმართველი „ნაციონალური მოძრაობის“ მუსიკოსია. სააკაშვილის ხელისუფლებას ვურჩევთ, რომ ამგვარი საშიში შეკვეთებისგან მომავალში მაინც შეიკავოს თავი“,-აღნიშნულია „ლეიბორისტული პარტიის“ განცხადებაში.**

ინტერპრესნიუსი

## ოსი მინისტრი უგზოუკვლოდ დაიკარგა

**ჩრდილოეთ ოსეთის მშენებლობის მინისტრი ალექსანდრე ბაზოევი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ბოლოს ბაზოევი 1 აგვისტოს დილის რვის ნახევარზე ნახეს, როდესაც მან ავტოსადგურიდან მანქანა გამოიყვანა.სამართალდამცავებს ჯერჯერობით უჭირთ იმის თქმა, მოიტაცა თუ არა ვინმემ მინისტრი. აღსანიშნავია, რომ ბაზოევი ჩრდილოეთ ოსეთში ერთ-ერთი უმსხვილესი მეწარმეა.**

## 10 მობილური 70 ტუსაღზე?



**იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №7 საპყრობილეში აღმოჩენილი დარღვევების გამო, ამ საპყრობილის დირექტორის მოადგილე უსაფრთხოებისა და რეჟიმის დარგში გია მაჭარაშვილი და მორიგე ინსპექტორი გია ფანცულაია თანამდებობიდან გათავისუფლდნენ.**

**ამ საკადრო გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ საპყრობილეში ჩატარებული მოულოდნელი ჩხრეკა, რომლის დროსაც, ამოღებულია 10 ცალი მობილური ტელეფონი და სხვადასხვა სახის მჩხვლეტავი და ბასრი საგნები.**

**გარდა ამისა, შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ პატიმართა ნაწილი უმეთვალყურეოდ იყო მიტოვებული.**

**№7 საპყრობილეში ამჟამად 70-მდე პატიმარი იმყოფება.**

## მიწის პრივატიზაცია სამი ფორმით განხორციელდება

**სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ კანონპროექტს პარლამენტი მესამედ საშემოდგომო სესიაზე მოისმენს.**

**აღნიშნული კანონი იჯარით სარგებლობაში არსებული სახელმწიფოს კუთვნილი 465 000 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. იგი სახელმწიფო მინისტრის ეკონომიკური რეფორმების საკითხებში, კახა ბენდუქიძის უშუალო მონაწილეობით მომზადდა და ითვალისწინებს მიწის პრივატიზაციის სამ ფორმას — იჯარის გადასახადის ათმაგი ოდენობის გადახდის შემთხვევაში, მოიჯარე ნაკვეთს პირდაპირი მიყიდვის წესით მიიღებს; პრივატიზება განხორციელდება დახურულ აუქციონზე და უპირატესობა ადგილობრივ მოსახლეობას მიენიჭება; მოიჯარის მიერ გამოსასყიდზე უარის თქმის, ან აუქციონზე მიწის არ გაყიდვის შემთხვევაში, პრივატიზება ღია აუქციონზე ჩატარდება.**

**კანონპროექტი საქართველოს საპატრიარქოს იჯარით სარგებლობაში არსებული მიწების საპატრიარქოსთვის უსასყიდლოდ გადაცემას ითვალისწინებს. აღნიშნული ცვლილება კანონპროექტებში მეორე მოსმენისთვის დეპუტატების შენიშვნების გათვალისწინებით შევიდა.**

**საქართველოში მიწის პრივატიზება 10 წლის წინათ დაიწყო. ამ პერიოდში კერძო საკუთრებაში გაიცა სასოფლო-სამეურნეო მიწების 55 პროცენტი, გასხვისებულია 465 000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც იჯარით სარგებლობაშია.**

მედიანიუსი

⊙ მხარე

## ჩვენი გზები და ხიდები რუსულ ტექნიკას გაუძლებს

**1 აგვისტოს პრეზიდენტის რწმუნებულმა სამცხე-ჯავახეთის მხარეში გოგა ხაჩიძემ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ახალციხის №2 რეგიონალური სამმართველოს უფროსთან გიორგი ხრიკაძესთან ერთად, სპეციალური ბრიფინგი გამართა. მათი განცხადება ახალქალაქის №62 რუსული სამხედრო ბაზიდან ტექნიკის გაყვანასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში გავრცელებულ ინფორმაციას შეეხებოდა, რომლის თანახმადაც, რუსული მხარის მტკიცებით, ტექნიკის გადასაადგილებლად სამცხე-ჯავახეთის გზები და ხიდები მოუწესრიგებელია.**

— საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან და საგზაო სამმართველოსთან ერთად განვიხილეთ ყველა შესაძლო მარშრუტი და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ქართული საზღვრის ჩათვლით სამცხე-ჯავახეთში არ არსებობს ადგილი, სადაც რუსული ტექნიკა გავლას ვერ შეძლებს. მზად ვართ, რუსეთის ბაზის ხელმძღვანელობასთან ერთად რეალურად და ლოგიკურად განვიხილოთ ყველა შესაძლებლობა, რათა რუსული ტექნიკა მშვიდობიანად და ნორმალურ რეჟიმში გავაცილოთ ჩვენი ქვეყნიდან, ამისთვის ჩვენი გზები და ხიდები მზად არის, განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა.

რაც შეეხება რამდენიმე დღის წინათ ნინოწმინდის საზღვარზე დაკავებულ რუსულ ტექნიკას, გიორგი ხრიკაძის განცხადებით „ეს იყო მხოლოდ ვიზუალური დათვალიერება, ჩემი ასვლის შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმომდგენისთანავე, ტექნიკამ დატოვა საბაჟო გამშვები პუნქტი“.

შეხვედრის დასასრულს რწმუნებულმა განაცხადა „ჩვენ ვცდილობთ გვქონდეს სრული კოორდინაცია. ხშირი ურთიერთობები და სატელეფონო კავშირები გვაქვს რუსეთის ბაზის ხელმძღვანელობასთან, პირადად გენერალ აჩალოვთან და არსებობს სათანადო შეთანხმებაც ჩვენს შორის კოორდინირებული მოქმედებისათვის“.

ჟურნალისტის კითხვაზე, რა ვადებში გავა რუსული ბაზები საქართველოდან, მან უპასუხა, რომ ეს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტით არის განსაზღვრული. ჩვენი უპირველესი მოვალეობა კი ტექნიკის ნორმალურ რეჟიმში გაყვანისთვის ყველა აუცილებელი პირობის შექმნაა.

## განძაში ახალი სასწავლო წელი ახალ სკოლაში დაიწყება

**გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ნინოწმინდის რაიონის სოფელ განძაში საშუალო სკოლის მშენებლობა. მისი გახსნა ახალი სასწავლო წლისთვის, სექტემბრისთვის არის ნავარაუდევი.**

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას უშუალოდ პრეზიდენტის რწმუნებული გოგა ხაჩიძე უწევს მეთვალყურეობას. გასულ კვირას სკოლის მშენებლობა სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მოინახულეს. საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსის გოჩა ბერიძის ინფორმაციით, „სკოლაში ძირითადი სამშენებლო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს შენობის გადახურვა, კედლების შელესვა, ჩასმულია კარ-ფანჯრები, დასრულებულია ელექტროგაყვანილობა. დარჩა მხოლოდ იატაკის დაგება და სამღებრო სამუშაოები“.

„ახალ სასწავლო წელს განძელი მოსწავლეები ახალ სკოლაში დაიწყებენ. 1 სექტემბერს სკოლა საზეიმო ვითარებაში გაიხსნება, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრება. განძის სკოლის მშენებლობა ნაწილობრივ პრეზიდენტის ფონდიდან, ნაწილობრივ კი სხვა შემოსავლებით დაფინანსდა, რომლის მონიტორინგსაც პრეზიდენტის რწმუნებული ახორციელებს“ — განაცხადა რწმუნებულის მოადგილემ პაპუნა ხაჩიძემ.

განძის საშუალო სკოლა ცნობილი სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის სახელს ატარებს, რომელიც წარმოშობით სწორედ განძიდან იყო.

## სასპორტო დარბაზი — ადიგენში

**აგვისტოს ბოლოს ადიგენში რეაბილიტირებული სპორტული დარბაზი გაიხსნება. სამშენებლო სამუშაოები პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდიდან დაფინანსდა. რწმუნებულის მოადგილის პაპუნა ხაჩიძის განცხადებით „სპორტული დარბაზის მშენებლობისთვის“ რწმუნებულის ფონდიდან 7000 ლარი უკვე გადარიცხულია. რაიონის გამგებლის მიერ წარმოდგენილი სპორტული დარბაზის მშენებლობის იდეა სამხარეო ადმინისტრაციამ და პირადად პრეზიდენტის რწმუნებულმა პრიორიტეტად მიიჩნიეს და ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენისთანავე დააფინანსეს, თუმცა მშენებლობის დასრულებამდე მის მონიტორინგს განვახორციელებთ“.**

ადიგენის გამგებლის ალექსანდრე სუხიაშვილის ინფორმაციით, დაბა ადიგენში და, საერთოდ, ადიგენის რაიონში არ არსებობს არანაირი კეთილმოწყობილი დახურული ტიპის სასპორტო დარბაზი. რაიონული გამგეობის მეორე ადმინისტრაციულ კორპუსში კი არსებობს ყოფილი სხდომათა დარბაზი, სადაც სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი კეთილმოწყობილ სასპორტო დარბაზად გადაკეთება. ამ სამუშაოების ჩატარება კი მწირი ბიუჯეტის გამო ჩვენს რაიონს არ შეუძლია და დახმარებისთვის რწმუნებულს მივმართეთ, რაც დადებითად გადაწყდა კიდეც. მისივე განცხადებით, ამ დროისათვის უკვე შეძენილია საჭირო სამშენებლო მასალები და დაწყებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ასე რომ, ადიგენის ახალგაზრდობას სასექტემბროდ ახალი სასპორტო დარბაზი ექნება, სადაც კალათბურთის, ფრენბურთის, მინი-ფეხბურთისა და სხვა სპორტული სექცია იმუშავებს.

**პრეზიდენტის რწმუნებულის პრესსამსახური.**

⊙ ფინანსური პოლიცია

# პური და სინათლე ჩვენი არსობისა

**ფინანსური პოლიცია აფრთხილებს საქართველოს მოსახლეობას, რომ „ფათოღლუს“ სამარკო ნიშნით საქართველოში შემოსული პურის ფქვილი ფალსიფიცირებულია და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანოა.**

ამჟამად დალუქულია 535 ტონა „ფათოღლუს“ მარკის ფქვილი. ფალსიფიცირებული ფქვილის ამოსაღებად რეიდები გაგრძელდება.

## სად იკარგება დენი?

**ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველომ შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ საქმიანობის კომპლექსური რევიზია ჩაატარა და დაადგინა, რომ 2004 წლის განმავლობაში საზოგადოების ხელმძღვანელობამ ბიუჯეტი 7 241 275 ლარით აზარალა.**

ამ პერიოდში ფირმამ სამი გენერალური დირექტორი გამოიცვალა, მაგრამ დარღვევები სამივე ხელმძღვანელის მმართველობის პერიოდშია აღმოჩენილი. უფრო ზუსტად კი წლის დამდეგიდან, ფირმას გიორგი თავაძე ხელმძღვანელობდა, მისი მმართველობის პერიოდში დაკარგულია 2 481 389 ლარის ღირებულების ელექტროენერგია. გ. თავაძე რამაზ თურმანიძემ შეცვალა, ამ დროს კი 3 226 716 ლარის ელექტროენერგია დაიკარგა. რუსლან ხოროშვილი კი სექტემბრიდანაც საზოგადოების გენერალური დირექტორია. ამ პერიოდშიც „გაუჩინარდა“ 1 533 120 ლარის ელექტროენერგია. ეს რაც შეეხება დაკარგულ ენერგიას.

გარდა ამისა, „აჭარის ენერგოკომპანიის“ თანამშრომლების სახელფასო დავალიანებამ ამ პერიოდისათვის შეადგინა 446 ათასი ლარი. ამ ერთი წლის განმავლობაში სრულიად უკანონოდ შეძენილია დაახლოებით 50 ათასი ლარის ღირებულების ავტომანქანები. ჩამოწერილია 15 ათასი ლარის მატერიალური ქონება. ასევე ხელმძღვანელი პირები საკუთარი სურვილისამებრ ინიშნავდნენ მაღალ ხელფასებს. ესეც რა თქმა უნდა, უკანონოდ ხდებოდა, მაშინ როცა შპს „აჭარის ენერგოკომპანია“ 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაა.

**„გარდა ჩამოთვლილი დარღვევებისა, საზოგადოებას რუსული კომპანია „ვინსლედინ ჰოლდინგის“ 2,7 მილიონი ლარი მართებს. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სხვა მრავალი დარღვევა“,** — განაცხადა ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გოჩა ჭელიძემ.

ფინანსურ პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ ხელმძღვანელ პირთა მიმართ რამდენიმე მუხლით არის აღძრული.

## ყალბაქციზიანი „იმერეთი“

**ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შპს „მწვერვალი 96“ შეამოწმა და საწარმოს საამქროში, სადაც მზა პროდუქცია ინახება, ყალბაქციზიანი და უაქციზო სასმელები აღმოაჩინა.**

საწარმოს დირექტორი ჟორა ონიანია და შუშხუნა ღვინო „იმერეთს“, „იმერეთი 2000“-ს და არაყ „იმერეთს“ უშვებს. შემოწმების პროცესში გაირკვა, რომ ერთი და იგივე ნომრის მქონე აქციზი რამდენიმე ბოთლზე იყო დაკრული. გარდა ამისა, ბევრ ბოთლს უკვე გამოყენებული აქციზი ჰქონდა მიმაგრებული, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად შეიმჩნეოდა.

**„ამ ეტაპზე იკვეთება ყალბი დოკუმენტის გამოყენება, აღურიცხავი პროდუქცია და სავარაუდოდ, ფალსიფიკაცია. უფრო დეტალურად ამ საკითხს გამოძიება გაარკვევს. ფინანსური პოლიცია პროფილაქტიკურ ღონისძიებას გააგრძელებს და უკანონოდ მარკირებულ ალკოჰოლიან სასმელს გაყიდვიდან საერთოდ ამოიღებს“,** — განაცხადა ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზაზა მეფარიშვილმა.

**მასალები მოგვაწოდა ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.**

## ვიღაცამ ბანკში „ლექსუსი“ დააგირავა

**ივანე მელიქიშვილის განცხადებით, რომლითაც მან ფინანსურ პოლიციას მიმართა, „საქართველოს სახალხო ბანკმა“ და მაღაზია „ავტოპლანეტას“ დირექტორმა ბერიძემ, მისი კუთვნილი ავტომანქანა „ლექსუსი“ მიითვისეს, რომლის ღირებულება 15 ათასი დოლარია.**

მოკვლევისას დადგინდა, რომ შარშან, 28 ივნისს, ი. მელიქიშვილმა გასაყიდად თავისი კუთვნილი ავტომანქანა „ლექსუსი“ მაღაზია „ავტოპლანეტაში“ მიიყვანა. შეთანხმების თანახმად, მაღაზიის დირექტორმა ბერიძემ ავტომანქანა დაიტოვა, ხოლო მისი ღირებულება, 15 ათასი დოლარი, 27 ოქტომბრამდე უნდა დაეფარა. დათქმულ დროს ი. მელიქიშვილმა მიაკითხა ბერიძეს, მაგრამ კუთვნილი თანხა ვერ მიიღო. ამის შემდეგ იგი კიდევ რამდენიმეჯერ ეწვია ბერიძეს, რის შემდეგ გაარკვია, რომ მისი ავტომანქანა „საქართველოს სახალხო ბანკში“ იყო დაგირავებული. თავად ბერიძე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ი. მელიქიშვილის კუთვნილი ავტომანქანა, მართლაც დააგირავა და ვინაიდან მას ბანკის 18330 ლარი მართებდა, ბანკმა ეს თანხა ავტომანქანის დაგირავების შემდეგ მიღებული თანხიდან გამოუქვითა. ფინანსურ პოლიციაში „საქართველოს სახალხო ბანკის“ საკრედიტო განყოფილების ოფიცერს გიორგი ბურდულს გაესაუბრნენ. მან განაცხადა, რომ მოამზადა აღნიშნული გირავნობის ხელშეკრულება, ხოლო ი. მელიქიშვილმა მას ბანკის შენობაში ბურდულის თანდასწრებით ხელი მოაწერა. ამის შემდგომ, ფინანსურმა პოლიციამ ამოიღო ხელშეკრულების დედანი და ექსპერტიზა ჩაუტარა, რომლის დასკვნის თანახმად, მასზე ხელმოწერა არ შეესაბამება ი.მელიქიშვილის ხელმოწერას. თავად ი. მელიქიშვილიც კატეგორიულად უარყოფს ხელშეკრულების გაფორმებაში მის რაიმე მონაწილეობას. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## ეს რა პურს გვაჭმევთ, თქვე დალოცვილებო!

**საქართველოს ბაზრის უდიდესი ნაწილი „ფათოღლუს“ პურის ფქვილით არის გაჯერებული, რომელიც როგორც 50 კილოგრამიან ტომრებში, ასევე ერთ-კილოგრამიან პაკეტებშია დაფასოებული.**

ფინანსური პოლიციის ანალიტიკურ-ოპერატიულ სამმართველოში „ფალსიფიკაციის“ მუხლით



სისხლის სამართლის საქმეა აღძრული როგორც თურქული, ასევე ყაზახური წარმოშობის „ფათოღლუს“ პურის ფქვილის ფალსიფიკაციის ფაქტებზე.

ფინანსურმა პოლიციამ „ფათოღლუს“ ფქვილის ყველაზე მსხვილი შემომტანის, ინდმეწარმე „**გოჩა ბურდულის**“ საწყობიდან ფქვილის საკონტროლო შესყიდვა მოახდინა, ნიმუშები კი კომპლექსური ექსპერტიზისათვის მოსკოვის მთავარ სანიტარიულ სამსახურს გადაუგზავნა. „ფათოღლუს“ ფქვილს კომპლექსური ექსპერტიზა ჩაუტარდა — ფიზიკო-ქიმიური, ორგანულეპტიკური და მავნებლებზე. მოსკოვის ექსპერტიზის დასკვნით, სამივე მაჩვენებელი დარღვეულია და როგორც უმაღლეს ასევე პირველ ხარისხიანად გაყიდული პურის ფქვილი, სინამდვილეში, მეორე ხარისხისაა. ცოტა მოგვიანებით, მოსკოვის ექსპერტიზის დასკვნა ქართულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა.

არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, „ფათოღლუს“ ფირმის პურის ფქვილს, უმაღლესი ხარისხით რომ გაიყიდოს, თეთრი ფერის მისაცემად ქლორს და კალიუმბრომატს ამატებენ.

## დანგრეულ სახლებზე „ხელს ითბობდნენ“

**მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობაში სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით გაფლანგვის ფაქტზე ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.**

ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, მთაწმინდა-კრწანისის გამგეობის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები კანონსაწინააღმდეგოდ ჩატარდა. ავარიული სახლების აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში სამმა ფირმამ გაიმარჯვა: შპს „დავითმა“, შპს „ამირანმა“, შპს „მშენებელი 89“-მ. ფინანსური პოლიციის დავალებით, „საქექსპერტიზის“ მიერ პირველ ეტაპზე შერჩევით იყო შემოწმებული შპს „დავითის“ მიერ გამგეობის დაკვეთით შესრულებული სამუშაოები.

ხელშეკრულებას თბილისში, გრიბოედოვის ქ. № 12-ში და ძმები ზუბალაშვილების ქ. № 36-ში აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე, გამგებლის მოადგილე კონსტანტინე დიხამინჯია აწერს ხელს, ხოლო სამუშაოს შესრულების აქტებზე მთაწმინდა-კრწანისის გამგეობის საქალაქო მეურნეობის სამსახურის მთავარი სპეციალისტის, დიღმელაშვილის ხელმოწერაა. ამავე საქალაქო მეურნეობის რაიონული სამსახურის უფროსი დიხამიძე სამუშაოს მიმდინარეობასთან დაკავშირებულ აქტებზე აწერდა ხელს.

ექსპერტიზამ კი დაადასტურა, რომ შესრულებული სამუშაოს მოცულობა ხელოვნურად არის გაზრდილი და, შესაბამისად, გაბერილი თანხებია გადახდილი. ამრიგად მხოლოდ ორი სახლის აღდგენა-გამაგრებაზე შესრულებულ სამუშაოებში სახელმწიფომ დაახლოებით 13 ათასი ლარით იზარალა.

გამოძიების პროცესში ტენდერში გამარჯვებული სხვა ფირმების მიერ შესრულებული სამუშაოც შემოწმდება. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**ოთარ ტურაბელიძე**

ნეტავი შვილთა მრავალთა...

# ამათი მომრევი მართლაც არავინაა

**ჩიშკარი გაეღოთ და ორღობიდან, თითქოს ჩვენ გველოდნენო, მანქანით ეზოში შევგრიალდით.**

**სატვირთო „ზილი“, კარგა ნაჯაფი და სად არ გინდა ნამყოფი, „ყავარჯენზე“ შეეყენებინათ, ახლა კიდევ „გული“ — ძრავი და სხვა მისთანანი ამოეღოთ და ბექან ხიზამბარელის მეზობლები — ვანუა მჭედელი, მეპურე ანზორა და ფანდურების გამთლელი დურმიშხანი კონსილიუმად შეყრილიყვნენ და ვითარცა გამოცდილი დასტაქრები თავს ხან უკმაყოფილოდ გააქნევდნენ, ხანაც ეჭვის თვალით „ზადნი მოსტს“ დაუწყებდნენ ჩხიკინს.**

— ხალხო, არაფერიც არ უნდა, — ჩვენს დანახვაზე დაიძახა მასპინელმა, — ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დამაბრუნებინეთ, აგრე იცის ამან. ერთხელ, ბარნაულის გზაზე ვირივით რომ შედგა, რა არ ვიღონე, ადგილიდან ფეხი ვერ მოვაცვლევინე. ამ ამბავს სხვა დროს გიამბობთ, ახლა, ხომ ხედავთ, სტუმრები მეწვივნენ.

კონსილიუმი ნელ-ნელა დაიშალა და ჩვენც ხიზამბარელების გარემოცვაში აღმოვჩნდით.

ამ ზაფხულს, ნოსტეში, სააკაძეობაზე, კაკლის ქვეშ სტუმრებისთვის მაგიდა რომ გაეშალათ, ბექან ხიზამბარელი იქ გავიცანი. ქალები ხინკალს ახვევდნენ და ბექანის მეუღლე, ნანი, ცეცხლზე შემომდგარ ქვაბთან ტრიალებდა.

— ეს ცოლ-ქმარი ცხრა შვილს ზრდისო, — მითხრეს და ხიზამბარელებსაც რაღას მოვშორდებოდი. როცა ვუთხარი, გაზეთიდან ვარ და თქვენი ოჯახის ახლო გაცნობა მწადია-მეთქი, ბექანმა — თქვენთვის სასურველ დროს მობრძანდით, მოხარული ვიქნებითო.

ნანი და ბექან ხიზამბარელები, ცხრა შვილის მშობლები, ჯან-ღონით სავსე, მოწიფულ ასაკში არიან. ოჯახის უფროსი 53 წლისაა, მეუღლე კი მასზე გაცილებით უმცროსია. ბექანს, რაც თავი ახსოვს, ხელში მანქანის საჭე უჭირავს, ნანის — ბავშვები.

გამორჩეული წელია, ბექანის გულმოდგინება დაჯილდოვდა — ბიჭი დაიბადა ოჯახში! დღეს მეათეკლასელი გიორგი 15 წლისაა — სოფლის ფალავანი, ავტომანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ზედმიწევნით მცოდნე და ნოსტეში პირველი მოჯირითე.

ამ ბარაქიანი ოჯახის საქმეების გაძღოლა ნებისმიერ დიასახლისს გაუჭირდებოდა, მაგრამ ნანის დამჯერი და შრომისმოყვარე თანაშემწეები ჰყავს — ქალიშვილები, გიორგი კი ყოველთვის მამის გვერდითაა — მანქანასთან, მინდორში, ცხვარში, ხილის ბაღსა თუ კარტოფილის ნათესში.

შრომის განაწილება ხიზამბარიანთ ოჯახში თანასწორობისა და კოლექტიურობის პრინციპებს ეფუძნება. თითოეულისგან მისი უნარის მიხედვით, — ხომ გახსოვთ ეს წესი? ნანის პაწია შვილიშვილი სოფიკო სულ ოთხი წლისაა, მაგრამ დახე, რა გულმოდგინედ დარაჯობს საფენებში გამოკრულ მარიამს — არ გადმობრუნდეს და ტახტიდან არ გადმოვარდესო.

ოჯახი ნატურალურ მეურნეობას მისდევს. დაახლოებით ორჰექტრიან ფართობზე მოჰყავთ ხილი, საბოსტნე ნაკვეთზე — კიტრი, პამიდორი, კარტოფილი, მწვანილეულობა, ბექანს არენდით აქვს აღებული ოთხი ჰექტარი ფართობი და იქ მოწეული ჭირნახული წლიდან წლამდე ჰყოფნით. ოჯახს ძროხებიც ჰყავს, ცხვარი, ღორი, ცხენიც (გიორგი სააკაძის სოფელია!).

ხიზამბარელები მშრომელი ხალხია, ღონეც ერჩით და ქადილის ძალაც შესწევთ. გაუჭირდებათ და — აგერ, მთასავით სიძეები, შვილები, ნაბოლარა გიორგიც საცაა დავაჟკაცდება, შვილიშვილებიც იზრდებიან. ჭეშმარიტად, ძალა ერთობაშია!

ვარცლს ხომ მოსვენება არ აქვს — ოჯახში თონეს დღეგამოშვებით ახურებენ, თუ რაიმე დღესასწაულია და ყველამ ერთად მოიყარა თავი — რატომ დღეში ორჯერ არა. წელიწადში 25 ტომარა ფქვილი სჭირდებათ, ოთხი ტომარა შაქარი (ქალიშვილებით სავსე ოჯახში ყველა კულინარი ან მურაბის ან კომპოტის დამზადების ოსტატია). ეზოში გაივლი და პოეტისა არ იყოს, „დგას სურნელება რძის და კარაქის“.



ხიზამბარელები ტრადიციის ხალხია. ამ ორი საუკუნის წინათ ასპინძიდან, სოფელ ხიზაბავრიდან წამოსულან და ქართლში ჩასახლებულან. ბექანი კარგად იცნობს თავის გვარს. მამამისს, ისაკა ხიზამბარელს, ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა, და, საერთოდ, ხიზამბარელებს ბევრი შვილის ყოლა უყვართ. ოჯახის კერპია მათი პირდაპირი წინაპარი დათა ხიზამბარელი, გამორჩეული მოჭიდავე-ფალავანი, ვისაც თავის დროზე აკაკიმ სტრიქონებიც კი უძღვნა. დიდედა ნატა ხიზამბარელი, ხუთი შვილის დედა, თავის დროზე საკოლმეურნეო მოძრაობის ორგანიზატორი იყო. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო და მამაკაცები მტერთან საბრძოლველად წავიდნენ, ნატა ხიზამბარელი თავად ჩაუდგა სათავეში ნოსტეს კოლმეურნეობას, თავისი ფაშატით ხან სად გამოჩნდებოდა, ხან — სად, მცონარების რისხვა და გაჭირვებულების შემწე და იმედი იყო. ამ ქალის წყალობით ფრონტზე წასულის ოჯახს ზამთარში შეშა არ აკლდა, ზაფხულში კიდევ თივა და ნამჯა.

ეს ის ნატა ხიზამბარელია, გაგანია ომის დროს წისქვილი რომ ააშენა და სოფლელებს შუქიც გამოუყვანა.

ბოლოსდაბოლოს, რა არის სიმდიდრე? ხშირად ის, რაც არ გვაქვს. ბედუინისთვის და ფალეხისთვის — ეს წყალია, ხეიბრისთვის — კეთილი აღნაგობა, უსინათლოსთვის — თვალის ჩინი, ეშმაკისთვის, სულმიყიდულისთვის — ოქრო და თვალ-მარგალიტი. ხიზამბარელები გაცილებით მეტ სიმდიდრეს ფლობენ, ცხრა შვილი გაუზარდეს ქვეყანას, ახლა იმათი შვილები? მეტი სიმდიდრე გინდა?

ნინო იყო პირველი, ხიზამბარელების ოჯახში დიდი სიხარული რომ შემოიტანა. დღეს იგი თავისი ქმარ-შვილით ნოსტეში ცხოვრობს. მას ნონა მოჰყვა, შემდეგ ვენერას დაბადების დღე აღნიშნეს. იგი თელიანშია გათხოვილი და სამი შვილი ჰყავს, ორ-ორი შვილი ჰყავთ (ჯერჯერობით!) იამზეს და მის მომდევნო ნათიას, მეექვსე ქალიშვილს ხიზამბარელებმა მაია დაარქვეს, მეშვიდეს — ელენე. ამ დღეებში 18 წელი შეუსრულდა ლელას, ისიც გათხოვილია და კასპში ცხოვრობს.

1990 წელი ხიზამბარელების ოჯახში ვინ არ შესვამდა ქვეყნის ერთგული ხიზამბარელების სადღეგრძელოს!

მასპინძლებს დავემშვიდობეთ და გზას დავადექით თუ არა, შამილ ჯანგიშერაშვილმა, სოფლის ახალგაზრდა გამგებელმა, გვითხრა: მე გამომყევით, არანაკლებ საინტერესო ოჯახს გაგაცნობთო.

თავქვე დავეშვით და გეზი ერთაწმინდისკენ ავიღეთ. იმ სიმაღლიდან ჯერ ისევ ჩანდა ზემო ხანდაკის სანახები და კალოუბნის სალოცავი, კიდევ უფრო ქვემოთ, ვაკეზე, კომბაინები შემოგვხვდა — თავთავიანებს იღებდნენ ნოსტელი არენდატორები, შემდეგ ისევ აღმართები დაიწყო და ერთაწმინდის იმ უბანში გავედით, თოთხაშვილები რომ სახლობენ.

გზისპირას ორი მოხუცი, ეტყობოდა, ცოლ-ქმარი იყო, თივას აბულულებდა. ბერიკაცმა მოგვისმინა, ფიწალი ნამჯის ბულულს მიაყუდა და თქვა: ჩემი სტუმრები ყოფილხართო.

ცოტა ხნის შემდეგ ძველებური სახლის აივანზე ვიდექით, სოფლის ხოდაბუნებს გავცქეროდით და ბუნების სიმშვენიერით ვტკბებოდით.

მინდვრები, ქართლის მინდვრები...

გაისად სამოცი წელი შესრულდება, რაც იოსებ თოთხაშვილი და მისი მეუღლე ეთერ უხერგუნაშვილი ერთ უღელში შეაბა ცხოვრებამ. მოდიან, შრომობენ, ეზო-კარს უვლიან, მიწას ამუშავებენ, შვილებს ზრდიან და აფრთიანებენ.

იოსები შრომაში რომ დღესაც გამორჩეულია, მთელმა ერთაწმინდამ იცის. თავის დროზე მწყემსიც იყო, მოჯამაგირეც, კოლექტივშიც ერთ-ერთი პირველი შევიდა, ომი დაიწყო და უკან არ დაუწყია ცქერა — აბა, ჯერ ვინ წავა, რომ მერე მეც მივყვეო.

ჩრდილოეთ კავკასიაში სტანიცა ან ხუტორი არ არის, იოსებ თოთხაშვილს ბრძოლებით რომ არ გაევლოს. მოზდოკი, თერგი, ნალჩიკი, ყუბანი, ანაპა, სევასტოპოლი, ნოვოროსიისკი, გზადაგზა დასახლებულ პუნქტებს ათავისუფლებდნენ და დასავლეთისკენ მიიწევდნენ...

— მთავრობის ჯილდოები ხომ გაქვთ?

— ჯილდოებიო?! — თავმომწონედ გაიღიმა ეთერიმ, — ერთი ჯამი ორდენ-მედლები ჩამოიტანა, ახლა სტალინის მადლობები?!

ქალი ადგა, მეორე ოთახში გავიდა და მალე თიხის ჯამით მეუღლის საბრძოლო ჯილდოები გამოიტანა. სულო და გულო! „სევასტოპოლის დაცვისთვის“, „კავკასიის დაცვისთვის“, „დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისთვის“, „საბრძოლო დამსახურებისთვის“, „მხედრული მამაცობისთვის“. ახლა ორდენები: წითელი ვარსკვლავისა და დიდი სამამულო ომის მეორე ხარისხისა. უმაღლესი მთავარსარდლის მადლობები ცალკე ხილაბანდში ჰქონდა გამოკრული.

ამასობაში ეთერმა სუფრაც გაშალა. ჯილდოები ჯამიდან ციმციმ ამოიღო და ლოგინზე დაალაგა, ჯამი სუფთა ტილოთი ამოწმინდა და მეუღლეს მიაწოდა.

იოსებმა ლომიაური ჯამში ჩაასხა და ფეხზე წამოდგა:

— ამ ჯამით ჯერ ჩემ ქალს გაუმარჯოს, თოთხაშვილების ოჯახის დედაბოძს, ახლა კიდევ შვილებს ჩამოგითვლით: ბადრი თავისი ქალიშვილით, უსუპი თავისი ოთხი შვილით, ამირანი — ქალ-ვაჟით, ტარიელი — ესეც ქალ-ვაჟით, ავთანდილი თავისი ორი ვაჟიშვილით. სად არის ის ბიჭი?

ამის თქმა იყო და ოთახში მზემოკიდებული, ვაჟკაცური იერსახის ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა.

— აი, ფრიდონიც, — წამოიძახა ქალბატონმა ეთერიმ და მოსულს სიყვარულით სავსე თვალები შეაგება. — მოუკვდეს დედა, რუსთავში სწავლას გადაყვა და დასაოჯახებელი დამირჩა, მაგრამ არა უშავს, ამ შემოდგომაზე დავაქორწინებ.

სუფრა გახურდა. დიასახლისმა ჯამი მოითხოვა. შეუვსეს და მიაწოდეს.

— ჩვენი ოჯახი თავისი შვილებით, რძლებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით, — სულ 33 ვართ. ახლა კიდევ ჩემი ფრიდონი მომავალში ერთ ოთხ სულს მაინც შეგვმატებს. ვინ არის ჩვენი მომრევი?

თოთხაშვილების მომრევი, მართლაც, არავინაა.

**გიორგი ხორგუაშვილი,**
**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ სპეც. კორ.**

ბაზარი

# „გლეხმა აქ რომ იაროს, ჩვენ რაღა ვქნათ?"

**შუა ზაფხულია, ცხელა. ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, ასფალტს ბუღი ასდისო. ვისაც შეეძლო, დასასვენებელ ადგილებს მიაშურა, თუმცა, ქალაქს სიხალვათე არ დასტყობია. თბილისში დარჩენილები იმედით შევყურებთ ზეცას, იქნებ გაწვიმდეს და ცოტათი შვება მაინც ვიგრძნოთო...**

**აგრარული ბაზრები სულ აფერადებულა ნაირ-ნაირი ბოსტნეულითა და ხილით. ფასი კი მაინც არ იკლებს, პირიქით, თითქმის ყველა პროდუქტზე, შარშანდელ პერიოდთან შედარებით, ფასების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა. ასეა დღეს, მაგრამ რა იქნება ხვალ, პასუხი არ ჩანს.**

ეკონომიკის ექსპერტები ფიქრობენ, რომ პროდუქტებზე ფასების მომატება კანონზომიერი მოვლენაა, თუმცა ვარაუდის დონეზე მაინც მიუთითებენ, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაცია, კერძოდ, სათანადო ცვლილებების შეტანა საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობაში დროულად რომ მომხდარიყო, სოციალური ფონი დიამეტრულად შეიცვლებოდა.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, ამიტომ ბაზრის სასურველ ფონს არც შემდგომში უნდა ველოდოთ, რაც, უპირველესად, ისევ სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას დააწვება მძიმე ტვირთად.

ხილის საყიდლად ჯერ ცენტრალურ სუპერმარკეტს მივაშურე — „დეზერტირების“ ბაზარს რომ ეძახიან. სოფლის მეურნეობის პროდუქტებს „ცეცხლი“ ეკიდა, ისე ძვირი იყო ყველაფერი. ერთი კია, იქვე დამაკვალიანეს: ქალბატონო, თუ იაფად გინდათ იყიდოთ, ჩვენსავით უთენია ბორჯომის ვაგზალზე გადით და მატარებლებს დახვდითო. დავუჯერე და მეორე დღეს, უთენია, მეც ბორჯომის ვაგზალზე გავედი, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, რაც მე იქ ვნახე, ყოველგვარ ფანტაზიას სცილდება!

მატარებელი გაჩერდა თუ არა, მგზავრები, დამხვდურები, მოვაჭრეები ერთმანეთში აირივნენ, იყო ერთი გნიასი და გადაძახილ-გადმოძახილი. მოვაჭრენი ხილის მეპატრონეებს ჩამოსვლის საშუალებასაც არ აძლევდნენ, იქვე ურიგდებოდნენ. როგორც შემდეგ დავადგინე, ზოგიერთი მოვაჭრე გზაშივე ადის მატარებელში და თბილისში უკვე „ხელდამშვენებული“ ჩამოდის.



როცა სიტუაცია ცოტათი დაწყნარდა, იქვე, ბაქანზე ჩაამწკრივეს ვედროები, ტომრები, ყუთები და დაიწყო ნამდვილი ვაჭრობა. ეს უკვე მესამე თუ მეოთხე ხელიდან იყიდებოდა ყველაფერი. მაგალითად, ვისგანაც ალუბალი ვიყიდე, მესამე „ხელი“ იყო.

**ქეთინო არახამია:** — დილის 4-5 საათზე უკვე აქ ვარ, ვცდილობ, ცოტა იაფად ვიყიდო, თითო კილოზე, სულ ბევრი, 50 თეთრი მრჩება, მეტი კი არა (ცოტაა?!).

**— თქვენ უშუალოდ გლეხისგან ყიდულობთ?**

— გლეხს აქ რა უნდა! მე ვისგანაც ვყიდულობ, ის თვითონ გადამყიდველია — გორში თუ ქარელში იძენს პროდუქტს და აქ ჩამოაქვს.

**— თქვენც იქ რომ იყიდოთ? უფრო მეტი არ დაგრჩებათ?**

— კი, დამრჩება, მაგრამ მანქანა არ მყავს და მგზავრობა გამიჭირდება, მთელი ღამე რომ ვიმუშაო, დღე როგორ გავყიდი?

**ისიდორე ჭანკვეტაძე.** იგი ბადრიჯანს, კარტოფილს, ხახვს, შედარებით იაფად ყიდდა. გამიკვირდა და მიზეზი ვკითხე.

— მე მეორე „ხელი“ ვარ, უშუალოდ ადგილზე ვიყიდე. პამიდორი მარნეულიდან ჩამომაქვს, გორიდან და ხაშურიდან კი ხილი მომაქვს. აქ ჩემი მეუღლე ყიდის, მალე მოვა და მე შემენაცვლება.

**— ადგილზე როგორ ყიდულობთ?**

— შედარებით იაფად. აბა, ისე რა აზრი ექნებოდა ჩვენს ასეთ წვალებას? იაფად კი ვყიდი, მაგრამ კილოობით არა, მთელ ყუთს თუ წაიღებთ, მაშინ ვაკლებ ფასს. ასეთ ვაჭრობას „ოპტავოი“ ჰქვია.

**— ე. ი. საბითუმო, არა?**

— კი, ასეა, მაგრამ ბაზარს ქარგონით ლაპარაკი უხდება. თქვენ რაღაც ისე მეკითხებით ყველაფერს, მოგზავნილი ხომ არა ხართ? ისე, კაცმა რომ თქვას, რა მაქვს გამოსარკვევი. დავდივარ, ვყიდულობ და ვყიდი.

ბოლოს გავუმხილე, ჟურნალისტი რომ ვიყავი და ბაზარზე ვწერ ხოლმე. დაინტერესდა, რომელი გაზეთიდან ხართო.

— რომ გითხრათ, „საქართველოს რესპუბლიკას“ სისტემატურად ვკითხულობ, ტყუილი გამოვა. როცა ხელში ჩამივარდება, დიახაც, რომ, ვკითხულობ. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, ჭიათურიდან ვარ, იქ ხომ იშვიათობაა თქვენი გაზეთი, აქაც, თბილისშიც არ იშოვება. ამას წინათ დამჭირდა, მეგობარი გარდაიცვალა, მითხრეს, განცხადება „საქართველოს რესპუბლიკაშია“ გამოქვეყნებული და ნახეო, მაგრამ გაზეთი ვერსად დავლანდე, რა უნდა იყოს ამის მიზეზი? კარგი გაზეთია და, ალბათ, მალე იყიდება...

გულწრფელობისთვის მადლობა გადავუხადე და ისევ „ჩემს“ საქმეს მივუბრუნდი.

**— ბაქნებზე რომ ვაჭრობთ, სადგურის ადმინისტრაცია არ ბრაზობს?**

— ბრაზობენ, როგორ არა, მაგრამ, ყურს ვინ უგდებს, — ორ-სამ ლარს მივცემთ და ჩუმდებიან, მაგათაც ხომ ჭამა უნდათ. ახალი მინისტრებივით, თვეში 2-3 ათასი ლარი ხომ არ ექნებათ?

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, იქნებ გლეხს ურჩევნია, თავისი მოწეული პროდუქტი თვითონ გაყიდოს. მან ხომ უკეთ იცის მისი ფასი და ყადრი?**

— შეიძლება ურჩევნია, მაგრამ ვერ ახერხებს, უმეტესობას მანქანა აღარ ჰყავს და თუ ჰყავს, ბენზინის სიძვირის გამო, გზაზე ბევრი ეხარჯებათ, თან სოფელშიც უამრავი საქმე აქვთ. მანქანას თუ დაიქირავებს, ბევრი არაფერი დარჩება, ამიტომ ურჩევნია, ადგილზე გაყიდოს, თუნდაც იაფად. გლეხმა ბაზარში რომ იაროს, ჩვენ რაღა ვქნათ, რატომ ჩვენზე არ ფიქრობთ, ქალბატონო, მე შენ გეტყვი, ფაბრიკა, ქარხანა, თუ სხვა რამ მუშაობს. შვილები მეზობლების ანაბარა დავტოვეთ მე და ჩემმა მეუღლემ...

ამასობაში ჩემს რესპონდენტს მუშტარი მოუვიდა — ორ ყუთ პამიდორს, ერთ ტომარა ბადრიჯანს და ხახვს ბითუმად ყიდულობს...

**ხედავთ, ხელისუფლებამ ვერა, მაგრამ ბაზარმა თვითონ დაარეგულირა ბევრი პროცესი.**

**ისე კი მართლა საინტერესოა, ბაზარი როდემდე იქნება ათასობით უმუშევარი ადამიანის „მარჩენალი“?**

**ნაზი იმნაიშვილი**

*სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასი (ლარებში) „ცენტრალურ სუპერმარკეტში“ 2005 წლის 3 აგვისტოსთვის*

| | |
|---|---|
| ხორცი საქონლის — | 5-6 |
| ხორცი ღორის — | 6-7 |
| ხორცი ცხვრის — | 4-5 |
| ყველი თუშური — | 13-15 |
| ყველი იმერული — | 4-4,50 |
| სულგუნი — | 6-7 |
| სოფლის ქათამი — | 8-12 |
| ფაბრიკის ქათამი — | 5-10 |
| სოფლის კვერცხი — | 0,20-0,22 |
| ფაბრიკის კვერცხი — | 0,18-0,20 |
| ნიგოზი — | 10-20 |
| კარტოფილი — | 0,40-0,50 |
| ჭარხალი — | 1-1,50 |
| სტაფილო — | 1,50-2 |
| კიტრი — | 0,20-1,50 |
| კომბოსტო — | 0,30-0,50 |
| პამიდორი — | 0,20-2 |
| საზამთრო — | 0,20-0,25 |
| ნესვი — | 0,80-1 |
| ძველი ვაშლი — | 2 |
| ახალი ვაშლი — | 0,80-1 |
| მსხალი — | 0,80-2 |
| ატამი — | 0,50-0,80 |
| ტყემალი — | 0,40-0,50 |
| ქლიავი — | 0,80-1,50 |

ინფორმაცია

## კოდორის ხეობაში გაეროს პატრული ჩავა?

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ცნობით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადასაჭრელად რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულებას ხელს შეუწყობს.**

**29 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭოს ოფიციალურ სხდომაზე ერთხმად მიიღეს რეზოლუცია 2006 წლის 31 იანვრამდე გაეროს მისიის მანდატის გაგრძელების შესახებ. დეპარტამენტში აცხადებენ, რომ რეზოლუციაში სავსებით სამართლანად დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი მხარეებს შორის ნდობის აღდგენის საკითხმა, რაც აუცილებელი ეტაპია.**

**„მნიშვნელოვანია, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ ორივე მხარეს მოუწოდა, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ მიზნობრივი ჯგუფების მუშაობაში, რომლებიც ჟენევაში პირველ თათბირზე შეიქმნა და რომლებიც 2003 წლის მარტში სოჭში სამუშაო ჯგუფებით შეივსო“, — აცხადებენ ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში.**

**გარდა ამისა, რუსეთის საგარეო უწყება კმაყოფილია, რომ უშიშროების საბჭო მიესალმა სოჭსა და თბილისს შორის სარკინიგზო მიმოსვლის განახლების საქმეში პოზიტიურ წინსვლასა და დევნილების დაბრუნების პროცესს, რომელსაც 2005 წელს სოჭის ფორმატის ფარგლებში მიაღწიეს.**

**„ნდობის ატმოსფეროს შესაქმნელად, ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოების საკითხებს. უშიშროების საბჭო იმედოვნებს, რომ უსაფრთხოების გარანტიებზე, ქართულ და აფხაზურ მხარეთა მონაწილეობით, შეხვედრა მალე გაიმართება. საბჭო, აგრეთვე, იმედოვნებს, რომ გალის რაიონში უშიშროების გაუმჯობესების თვალსაზრისით თანამშრომლობა შედგება და ქართული მხარე გარანტიებს გასცემს, რათა კოდორის ხეობის ზედა ნაწილში დსთ-ს სამშვიდობო ძალებისა და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ერთობლივმა პატრულმა ვითარების კონტროლი შეძლონ,“ — აცხადებენ რუსეთის საგარეო უწყებაში.**

## თურქული გემის ტვირთი აფხაზურ მხარეს გადაეცა

**აფხაზეთის აკვატორიაში დაკავებული თურქული გემის ტვირთი აფხაზურ მხარეს გადაეცა. ტვირთის შემადგენლობაში შედიოდა პურის ფქვილი, სხვა საკვები პროდუქტები, საყოფაცხოვრებო ნივთები და სამშენებლო მასალები.**

**თურქეთიდან სოხუმის პორტისკენ მიმავალი გემი ქართველმა მესაზღვრეებმა 3 ივლისს ბიჭვინთასთან დააკავეს. ამ ფაქტმა აფხაზური მხარის პროტესტი გამოიწვია, რის გამოც უსაფრთხოების საკითხებზე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები ორჯერ გადაიდო.**

**აფხაზეთში სამასი ათასი დოლარის ღირებულების ტვირთი აფხაზეთში გაეროს მისიის ოფისის შუამავლობით დაბრუნდა. ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯებიც გაეროს ოფისმა გაიღო. სოხუმში ტვირთი სხვა თურქული გემით გაგზავნეს, რადგან დაკავებული ხომალდი კონფისკაციას ექვემდებარება.**

## მოდის და მოდის კონტრაბანდა!



**ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშში დააკავეს ავტომანქანა „ვაზ“-2010, რომლის მძღოლს სენაკში მცხოვრებ, 34 წლის მალხაზ დამენიას გადაჰქონდა 1 320 ლარის ღირებულების 1 650 კოლოფი უაქციზო სიგარეტი. როგორც ამბობენ, ასეთი ტვირთი ძირითადად აფხაზეთიდან შემოდის.**

**საქმეს ფინანსური პოლიცია იძიებს.**

**მედიანიუსი**

## ეს რა კინოთეატრი გახსნეს გალში?

**გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ხელშეწყობით ქალაქ გალში ციფრულ ფორმატში დამზადებული ფილმების კინოთეატრი გაიხსნა.**

**გალის აფხაზურ ადმინისტრაციაში მიღებული ინფორმაციით, გალში კინოთეატრის გახსნა კერძო პირთა ინიციატივაა. ახალი კინოთეატრი ქალაქის ერთ-ერთ შენობაში გაიხსნა და 100-მდე მაყურებელს იტევს.**

**კინოთეატრის გახსნით გალის მოსახლეობას მსოფლიო კინემატოგრაფიის სიახლეების ციფრულ ფორმატში ნახვის საშუალება მიეცა.**

**გალის აფხაზურ ადმინისტრაციაში არ ასახელებენ იმ პიროვნების ვინაობას, ვისიც არის ეს ბიზნესი.**

**გალიდან მიღებული ინფორმაციით, კინოთეატრის თანამფლობელი რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენია.**

## არქეოლოგიური სენსაცია სოხუმში

**სოხუმის ციხესიმაგრეში არქეოლოგებმა ჩვენი წელთაღრიცხვის II-III საუკუნის ქალის თიხის სტატუეტი იპოვეს.**

**გათხრების ხელმძღვანელის ალიკ გაბლიას განცხადებით, სოხუმის ციხესიმაგრეში ნაპოვნი სტატუეტი, რომელიც გეტრას გამოსახულებით არის, არქეოლოგიური სენსაციაა. მისი აღმოჩენის ადგილზე წარმოებული გათხრებისას მხოლოდ თურქული მონეტები იქნა ნაპოვნი.**

**გაბლიას განმარტებით, სტატუეტის აღმოჩენის ადგილზე ძველი რომაული ციხესიმაგრე იყო აღმართული, რომლის ნარჩენები დღემდეა შემორჩენილი. იმ პერიოდში ძველბერძნულ დიოსკურიას სებასტოპოლისი ეწოდებოდა.**

**სოხუმის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე არქეოლოგები გათხრების წარმოებას განაგრძობენ.**

**ინტერპრესნიუსი**

მწარე რეალობა

# არ მინდა, სხვაგან დავიმარხო...

**ისედაც მძიმე ორშაბათი განსაკუთრებით პრობლემურია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში.**

**ყოველი კვირის პირველ დღეს, მინისტრს ეთერ ასტემიროვას დევნილთა მიღების დღე აქვს. ესენი კი ის ადამიანები არიან, რომელთაც, ალბათ, ყველაზე მოუგვარებელი სოციალური საკითხები აწუხებთ.**

**ახლა მეც ამ შეხვედრების დარბაზში ვიმყოფები. მისაღებიდან ხუთ-ხუთი კაცი ერთად შემოდის. ერთნაირი დაღვრემილი სახეები, ტკივილი აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, საკუთარ ოჯახზე, პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც მინისტრისგან მოითხოვენ. ძნელია, აუღელვებლად უსმინო მათ მონაყოლს, სულისშემძვრელია მათი ადამიანური აღსარება — აქ რკინის ნერვებია საჭირო...**

ეს შაოსანი, ახალგაზრდა ქალი სოხუმიდანაა, სამი შვილის დედა იამზე ლექავა. ორი თვის წინათ გარდაეცვალა მეუღლე. აქ თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. შვილები სტუდენტები არიან, უჭირს ქირის გადახდა. მინისტრს უფასო თავშესაფარს სთხოვს. სამინისტროს კი ბინები არა აქვს. — თბილისში, შეუძლებელია, რაიმეს დაგპირდეთ. მალე გავარემონტებთ ბორჯომში სანატორიუმის შენობას, სადაც შეგიძლიათ დაბინავდეთ, — სთავაზობს მინისტრი. ქალს კი თბილისში უნდა, რადგან შვილები აქ სწავლობენ.

მოვიფიქრებო, ამბობს და გადის.

სიმპათიური, ჭაღარათმიანი მამაკაცი საუბრობს მშვიდი ტონით. დევნილის მოწმობაც კი არა აქვს. არადა, თურმე, გაგრელია, თემურ ტყებუჩავა: — საქართველოში აქამდე რეგისტრირებული არ ვყოფილვარ. გაგრის დაცემის დღიდან ბელორუსიაში წავედი, ცოლ-შვილთან ერთად, აქამდე მინსკში ვცხოვრობდი, წითელი ჯვარი გვეხმარებოდა.

რატომ დაბრუნდა? — არ მინდა, იქ დავიმარხო. თითებზე ვითვლი აფხაზეთიდან გამოსვლის დღეებს და უფრო და უფრო იწელება შინ დაბრუნების იმედი. თავშესაფარს და სამსახურს ვითხოვ, თავი რომ გავიტანოთ, მეტს არაფერს, — ამბობს იგი.

ეთერ ასტემიროვა უხსნის, რომ პირველ რიგში, დევნილის სტატუსის მიღებაზე უნდა იზრუნოს. ის აკვალიანებს სამშობლოში დაბრუნებულ ქართველს, რომლის ჭრილობასაც, ალბათ, მხოლოდ ისევ თავისი ხალხი და მშობლიური, მაგრამ გაჭირვებული საქართველო თუ მოარჩენს...

ძალიან მძიმე საუბარი იმართება გალელ ბონდო კვარცხალიასთან. მისი განცხადება ერთ სქელტანიან ნაშრომს ჰგავს. „1986 წლიდან ჩემზე და ჩემი ოჯახის წევრებზე სასიკვდილო დასხივება ხორციელდება რადიონუკლეიდითა და „ცეზიუმ-137“-ით, — ამბობს იგი და ითხოვს თანხას მკურნალობისთვის. ხელთა აქვს ამონარიდები იმ გაზეთებიდან, სადაც მასზე დაიწერა.

მინისტრი მასაც აკვალიანებს. ჰპირდება დახმარებას, რაც შეუძლია.

ოჩამჩირელ ლუარა ბერულავას 8 წლის ასთმიანი გოგონა ჰყავს. ბავშვს წვეთოვანები უდგას. პენსიას იღებს. დედა ითხოვს დახმარებას და საგზურს მთაში. ეთერ ასტემიროვა ზამთარში ბაკურიანში გააგზავნის ბავშვს. ახლა კი 80 ლარით ეხმარება.

სამწუხაროდ, აქ თითოეულ გაჭირვებულ დევნილზე მაქსიმალური დახმარება 100 ლარია, მინიმალური — 50.

დაბა აგარიდან ჩამოსულთ, ყოფილი ზნაურის რაიონიდან დევნილებს ლალი ჯახველაძეს, ნაზო ზამრეკელაშვილს და ზალინა ხუბეჟოვას საყოფაცხოვრებო პრობლემებს უგვარებს მინისტრი. უსმენს წყალტუბოდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოსულ დევნილებს. ზოგი მათგანი ძალზე აგრესიულია, ყვირის. ასეთი ცხოვრებისგან ნერვებაშლილთ უფრო ლმობიერი, გამგებიანი მოპყრობა სჭირდებათ. მშვიდდებიან, მადლობელნი სტოვებენ დარბაზს.

მოდიან ონკოლოგიური ავადმყოფები, სხვა მძიმე დაავადებებით შეპყრობილნი. ძნელია, უნუგეშოდ გაუშვა ისინი.

— რაც თანხის გაცემა დავიწყეთ, მოთხოვნილებაც გაიზარდა. როგორ არ უნდა დავეხმარო ადამიანს, რომელსაც საავადმყოფოში უწევს ოჯახის წევრი, ან საიდან უნდა გადაიხადოს დევნილმა ოპერაციისთვის 750-800 ლარი? მას ასეთ შემთხვევაში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ან აფხაზეთის შესაბამის სტრუქტურებში ვაგზავნით, რადგან ჩვენ წელიწადში ერთხელ, ასეთ ადამიანებზე 100 ლარით დახმარების მეტი არ შეგვიძლია, — ამბობს ქალბატონი ეთერი.

უკვე დღის 4 საათია. გარეთ კიბეებზე კი ისევ თავის რიგს ელოდებიან ბუდემოშლილი დევნილები...

**ლია ჭილაძე**

№ 182. ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 2005 წელი.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უკრაინაში პუტინის შესახებ „ცისფერ" ფილმს გადაიღებენ

**ფილმის სამუშაო სახელწოდებაა „ტკბილი ვოვა და ცისფერი ვიტია". მისი ავტორების ჩანაფიქრით, ფილმმა უნდა ასახოს 2004 წელს უკრაინაში პრეზიდენტის არჩევნების წინ ვლადიმერ პუტინისა და ვიქტორ იანუკოვიჩის ფრიად ჩახლართული ურთიერთობა.**

როგორც ამ პროექტის ინიციატორებმა თქვეს, მათთვის შემოქმედებითი სტიმული გახდა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთში აპირებენ გადაიღონ მოკლემეტრაჟიანი ეროტიკული ფილმი იულია ტიმოშენკოს და მიხეილ სააკაშვილის „ურთიერთობის" შესახებ. ცნობილია, რომ ამ პროექტს აფინანსებს დეპუტატი რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისგან მიტროფანოვი.




რადგან რუსული „თრილერის" ავტორებმა გადაწყვიტეს სიუჟეტისთვის „საფუძვლად" დაედოთ მათთვის ხელსაყრელად ინტერპრეტირებული, მაგრამ მაინც ნამდვილი ფაქტები (ტიმოშენკოსა და სააკაშვილის შეხვედრა საქართველოში, ერთობლივი გასეირნება ვერტმფრენით), მათმა უკრაინელმა „ოპონენტებმაც" გადაწყვიტეს იგივე გზით ევლოთ.

– პუტინმა და იანუკოვიჩმა გაცილებით მეტი საბაბი მოგვცეს იმისთვის, რომ ჩვენებურად გაგვეკეთებინა ინტერპრეტაცია მათი ურთიერთობისთვის და ამისთვის მივეცა „რომანტიკული" მიმართულება, – განაცხადა ვალერიმ, რომელიც გაგვეცნო როგორც მომავალი ფილმის „პროდიუსერი, სცენარისტი და ა. შ.". – როგორც რუსეთში, ისე უკრაინაში უამრავი ადამიანისთვის დღემდე გაუგებარია მათი „მეგობრობის" შემდეგი მომენტები: რატომ მოხდა, რომ „ჩეკისტი" ჩავიდა ფსონს რეციდივისტზე, რატომ ულოცავდა პუტინი იანუკოვიჩს ვითომდა არჩევნებში მოპოვებულ გამარჯვებას, არჩევნებში დამარცხების შემდეგ რატომ ხვდებოდა იანუკოვიჩი ჩუმ-ჩუმად პუტინს და სხვა. და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს არც იანუკოვიჩის მიერ არჩეული „თეთრ-ცისფერი" სიმბოლიკა და არც ის სცენა, როცა იგი კრეშჩატიკზე აღმართულ ტრიბუნაზე მდგომი აწვდის პუტინს კანფეტს, ეს უკანასკნელი კი, უარით ისტუმრებს ვიქტორ ფიოდოროვიჩს.

გარდა ამისა, ვალერის თქმით, ფილმისთვის „მეტი დოკუმენტურობის" მიცემის ამოცანას შეამსუბუქებს როგორც იანუკოვიჩის ციხის წარსული, ისე რუსეთის ლიდერის ზოგიერთი სპეციფიკური ხუმრობაც – მაგალითად, მან თქვა, რომ მზად იყო წინდაცვეთა გაეკეთებინა ერთ-ერთი დასავლელი ჟურნალისტისთვის. „დამეთანხმეთ, ორივე ჩვენი გმირის ხასიათში იგრძნობა გარკვეული განწყობილება არატრადიციული ორგიენტაციისადმი", – დაასკვნა ჩვენმა თანამოსაუბრემ.

რა თქმა უნდა, ფილმში გმირების გვარები შეცვლილი იქნება, რათა არავის მიეცეს სასამართლოში სარჩელის შეტანის საბაბი. მაგრამ კინოგმირების გარეგნული მსგავსება თავიანთ პროტოტიპებთან, მაქსიმალურად რეალური უნდა იყოს.

ჯერჯერობით კი მიმდინარეობს „კასტინგი". იანუკოვიჩის ფაქტურა ისეთია, რომ როლის შემსრულებელს ადვილად შეარჩევს კაცი: „ბაზრის მტვირთავები და მოვაჭრეები – იქ ერთი მეორის გვერდით ხვდება ჩვენთვის საჭირო ტიპაჟი", – თქვა ვალერიმ. – უფრო რთულია მსახიობის გამონახვა პუტინის როლისთვის – ძალზე არასტანდარტული გარეგნობა აქვს რუსეთის ლიდერს.

ფილმის გამოსვლის, მისი ქრონომეტრაჟისა და გაქირავების საშუალებების შესახებ „ტკბილი ვოვას და ცისფერი ვიტიას" ავტორები ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. თამამად შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ფილმიდან „ანონსის" კადრებს უფასოდ გაავრცელებენ ინტერნეტით.

**„ОБКОМ" (ინტერნეტ-გამოცემა, უკრაინა), 2 აგვისტო.**

# ძალზე გაჭიანურებული გაცილება

(პირველი გვერდიდან)

რუსებმა უგულებელყვეს საქართველოს მხარის მოთხოვნა, შეეჩერებინათ მოძრაობა და განემარტათ, თუ საიდან გაჩნდა ეს აღურიცხავი მანქანები. მაგრამ, თქვა შემდეგ ნინიძემ, საზღვარზე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის წარმომადგენლებს ამის გამო დიდი პრობლემები შეექმნებოდათ: „ზედმეტ ტექნიკას ჩვენ არ გავატარებთ, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ არ გავარკვევთ, თუ საიდან გაჩნდა იგი".

კოლონის ასეთი მოულოდნელი შევსების შესახებ წამოჭრილ ყველა კითხვას პასუხი გასცა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ვლადიმერ ყუფარაძემ. როგორც მან თქვა, ეს სამი ავტომობილი საქართველოს ტერიტორიას არ დატოვებს. ისინი ტექნიკური დახმარების მანქანებია, რომლებიც მხოლოდ საზღვრამდე მიაცილებენ ავტოკოლონას და უკან გამობრუნდებიან, თუმცა, ყუფარაძეს არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ საიდან გაჩნდნენ ეს მანქანები. საზღვრის გადაკვეთისას რუს სამხედროებს არანაირი პრობლემები არ შექმნიათ.

როგორც პოლკოვნიკმა ყუფარაძემ თქვა, ბათუმი-მცხეთა-ზემო ლარსის მარშრუტით გაივლის ბათუმში დისლოცირებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზის დანარჩენი ბორბლიანი ტექნიკაც. სავარაუდოდ, საერთო ანგარიშით, ათი ავტოკოლონა ჩამოყალიბდება. რაც შეეხება მძიმე ტექნიკას – დაახლოებით 40 ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორები და ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები – მათ გაიტანენ ბათუმიდან ზღვით, რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის დიდი სადესანტო ხომალდებით, და ეს მოხდება არა უგვიანეს 1 სექტემბრისა. ბათუმის ყურეში რეიდზე უკვე დგას ერთი ასეთი ხომალდი, გვაცნობეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან, თუმცა, ეს ინფორმაცია უარყო ყუფარაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ბათუმის ნავსადგურის აკვატორიაში ჯერჯერობით შევიდა მხოლოდ ერთი გემი. იგი ზომავს სიღრმეს და ახორციელებს სხვაგვარ გამოკვლევებს, რომლებიც საჭიროა ნავსადგურში დიდი სადესანტო ხომალდების უსაფრთხო შესვლისთვის. მათ ჩამოსვლას კი ელოდებიან მოგვიანებით, აგვისტოს პირველ ნახევარში.

უფრო რთულად დგას ახალქალაქის 52-ე სამხედრო ბაზიდან შეიარაღების გატანის საქმე. რუსი სპეციალისტების მტკიცებით, ახალქალაქის რაიონში ოთხი ხიდი ავარიულ მდგომარეობაშია და ამ ხიდებით მძიმე ტექნიკის გაყვანა საკმაოდ რისკიანი იქნება. საქართველოს მხარემ შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც ამ დღეებში იკვლევს ხიდების ამორტიზაციის დონეს, და, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელებს საინჟინრო სამუშაოებს.

**იური სიმონიანი,**
**ანატოლი გორდიენკო,**
**„НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА", 2 აგვისტო.**

◉ ქუდბედიანები

# ხართ თუ არა იღბლიანი კაცი?

## მეცნიერები მიხვდნენ, თუ რატომ უღიმის გამუდმებით ბედი ზოგს, სხვებს კი თითქოს ვერც ამჩნევს

**ფსიქოლოგებმა მთელ მსოფლიოში ათასზე მეტ ქუდბედიან ადამიანს გამოჰკითხეს იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მივიდნენ წარმატებამდე. „იღბლის ფორმულაც" გამოიყვანეს, რომლის ზოგადი მათემატიკური სახე ასეთია: ი=მ+ჯ+თ. ი – იღბალია, ის სამ შესაკრებად დაიშლება: მ – მახასიათებლები პიროვნებისა, რომელთა რიცხვში შედის ფსიქოლოგიური „მოქნილობა", ადამიანებთან შეწყობის უნარი, ცხოვრებისეული პოზიცია; ჯ – ჯანმრთელობა, დაგროვილი ფული, მეგობრების არსებობა; თ – საკუთარი თავის პატივისცემა და იუმორის გრძნობა.**

– ფორმულა სწორად იჭერს ობიექტურ კანონზომიერებებს, – გვეთანხმება ფსიქოლოგი, პროფესორი გალინა ვოსკობოინიკოვა. – რა სჭირდება, მაგალითად, ქალს, რომ იღბლიანად იგრძნოს თავი? ოჯახი, სამუშაო, პატივისცემა და შეძლება, სულიერი სიმშვიდე. მამაკაცთათვის მნიშვნელოვანია კიდევ კარგი სექსი, სპორტში აქტიური ვარჯიშები და, რატომღაც, გრძელი შვებულება...

ცხოვრებაში თეთრი და შავი ზოლები რომ გვხვდება, ამინდის მიზეზიც კი შეიძლება იყოს. ჩვენთან ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ ზოგჯერ დღე-ღამის განმავლობაშიც გაუშვებს ხოლმე კაცი ყისმათის ჩავლების შესაძლებლობას: ეგრეთ წოდებული ცირკადული რიტმი უშლის. ადამიანის ორგანიზმში ამ ციკლს ემორჩილება სხეულის ტემპერატურის რხევები, ჰორმონების კონცენტრაციის ცვლილებები, შარდის გამოყოფა, კუნთური და გონებრივი აქტიურობის დავარდნები და აღმავლობები. მაგალითად, ოდნავ „შეხურებული", თქვენ არც კი ახდენთ რეაგირებას სამუშაოს მიმცემის სახარბიელო წინადადებაზე, რომლის წყალობითაც რამდენიმე წლის შემდეგ ეგებ მილიონერი გამხდარიყავით.

არის კიდევ ციკლებიც, რომლებიც დღე-ღამეში ერთჯერ მეტად მეორდება, – განაგრძობს პროფესორი, – ესაა, მაგალითად, როცა რული გეკიდება. უმეტესი ჩვენგანი ნასადილევს „ყვინთავს". არადა, ვაითუ ამ დროს ახლოს ბილ გეიტსმა გაიარა ან მერდოკმა, რომლებისთვისაც შეიძლებოდა სამუშაოს თხოვნა?.. უფრო ხშირად დაარღვიეთ დღის განრიგი, ენდეთ ინტუიციებს, ინსტინქტებს, შეცვალეთ ხოლმე ნაცნობების წრე და იღბლიანი გახდებით...

**ბედის წყალობის წესები, ანუ თუ გინდათ, რომ გაგიმართლოთ:**

- ***ყური ათხოვეთ საკუთარ ინტუიციას, ის იშვიათად ცდება.***
- ***შეებრძოლეთ რუტინას; შეეგებეთ ყოველივე ახალს;***
- ***ეცადეთ, რომ უფრო ხშირად იფიქროთ კარგზე და გაიხსენოთ რამე კარგი.***
- ***გჯეროდეთ, რომ ყოველი წარუმატებლობა, ყოველი შეფერხება მხოლოდ გაახლოებთ გამარჯვებასთან.***

# ეს იღბლიანნი!



არისტოტელ ონასისი, სახელგანთქმული მილიარდერი, ტელეფონის ტექნიკოსი იყო.



ედიტ პიაფი, XX საუკუნის დიდი მომღერალი, ცხოვრების გზას ქუჩის მაწანწალად შეუდგა.




რომან აბრამოვიჩი, ობლობაში გაზრდილი, ახლა 12 მილიარდი დოლარის ქონების პატრონია.



კოკო შანელი, ცნობილი სუნამოთა შემქმნელი, უპატრონო ბავშვთა თავშესაფრის აღზრდილია.

**გაზეთმა 1085 კაცს დაუსვა კითხვა:**

**გჯერათ იღბლისა?**

| | |
|---|---|
| დიახ | – 68 პროცენტი. |
| მე თვითონ ვარ საკუთარი ბედის გამგებელი, ყისმათის იმედზე არა ვარ | – 14 პროცენტი. |
| არ ვიცი | – 7 პროცენტი. |
| იმედგაცრუებული ვარ | – 6 პროცენტი. |
| არა | – 5 პროცენტი. |




# „დისქავერის" სასწრაფოდ სჭირდება შეკეთება

**ასეთი განცხადება გააკეთა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სააგენტოს (ნასა) ხელმძღვანელობამ.**

ოპერაციის დროს ხომალდს უნდა მოაშორონ ფილებს შორის ღრიჭოების შემვსების ფრაგმენტები, რომლებიც შემორჩენილია ხომალდის ფიუზელაჟის „მუცლის" ნაწილის თბოიზოლაციისთვის განკუთვნილ კერამიკულ ფილებს შორის. საქმე ეხება 2,8 და 2,2-სანტიმეტრიან ორ ფრაგმენტს.

ნასას ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ვიბრაცია ხომალდის გაშვების დროს.

ნასას სპეციალისტები შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ ამ ფრაგმენტებმა შეიძლება გამოიწვიონ შატლის გადახურება დედამიწის ატმოსფეროში მისი შემოსვლის დროს; 2003 წლის 1 თებერვალს სწორედ ამის გამო განადგურდა ხომალდი „კოლუმბია", რომლის ეკიპაჟის შვიდივე წევრი დაიღუპა.

ასეთი რემონტი წინათ ორბიტაზე არასდროს არ განხორციელებულა; შატლის ფიუზელაჟის საჭირო ადგილზე ასტრონავტს „მიიყვანს" საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ხელი-მანიპულატორი.

ეს სამუშაო შესრულდება ღია კოსმოსში მესამე გასვლის დროს, რომელიც დაგეგმილია „დისქავერის" ორბიტაზე ყოფნისას.

# კოფი ანანი ამერიკის წარმომადგენლისგან დათმობებს ელის



**როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, იგი არ ეწინააღმდეგება გაეროში შეერთებული შტატების წარმომადგენლის პოსტზე ჯონ ბოლტონის დანიშვნას, რომელიც ცნობილია თავისი მკაცრი კრიტიკული გამონათქვამებით ამ ორგანიზაციის მიმართ.**

ანანმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, უნდა გააქტიურდეს შეერთებული შტატების და გაეროს თანამშრომლობა.

როგორც ზოგიერთ ანალიტიკოსს მიაჩნია, ჯონ ბოლტონი ეცდება ხელი შეუწყოს გაეროში რეფორმების განხორციელებას შეერთებული შტატებისთვის ხელსაყრელ პირობებში.

მაგრამ გენერალურმა მდივანმა დასძინა, რომ ბოლტონი მზად უნდა იყოს კომპრომისისთვის და დაიცვას ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი – „ორმხრივ დათმობათა" პრინციპი.

„ბუნებრივია, როცა ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენელი მოქმედებს თავისი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ არც ერთ წარგზავნილს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მის გარდა არის კიდევ 190 კაცი, რომლებიც უნდა დაარწმუნო იმაში, რომ საჭიროა ასეთი ნაბიჯის გადადგმა", – თქვა კოფი ანანმა.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გაეროში შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენლად ჯონ ბოლტონი დანიშნა ორშაბათს ისე, რომ არ დალოდებია სენატში მისი კანდიდატურის მოწონებას. ბუშის ადმინისტრაცია ცდილობდა, რომ გაეროში შეერთებული შტატების წარმომადგენლის დანიშვნა მოესწრო გენერალური ასამბლეის სესიის გახსნამდე.

ჯონ ბოლტონი, რომელმაც თავის დროზე მკაცრი კრიტიკა გამოთქვა გაეროს მისამართით, ამ ორგანიზაციაში შეერთებული შტატების წარმომადგენლის პოსტს დაიკავებს 2007 წლის იანვრამდე.

ამერიკის შეერთებული შტატები, პრინციპში, მხარს უჭერს გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმას, მაგრამ მასში 10 ახალი წევრის შეყვანა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

ჯონ ბოლტონი, რომელიც ჯორჯ ბუშის პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის პოსტზე, ძირითადად, პასუხს აგებდა შეიარაღებაზე კონტროლისა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებზე.

# ნავთობი ძვირდება

**ნავთობის ფასები ახალ რეკორდს ამყარებს. „ნიმექსის" ბირჟაზე ერთი ბარელი მსუბუქი ამერიკული ნავთობის ფასმა გარკვეულ მომენტში 1,73 დოლარითაც კი მოიმატა და 62,30 დოლარის ნიშნულს მიაღწია, მაგრამ შემდეგ რამდენადმე დაეშვა და ბირჟის დახურვამდე 61,60-დოლარიან ნიშნულზე დაფიქსირდა. დიდ ბრიტანეთში ბრენტის ტიპის ბარელი ნავთობის ფასმა 1,02 დოლარით მოიმატა და 60,39 დოლარი შეადგინა.**

ინვესტორები ძალზე შეშფოთებულები არიან საუდის არაბეთში ხელისუფლების გადაცემის, ამერიკის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების ავარიული გამორთვის, აგრეთვე, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დაძაბულობის ესკალაციის გამო.

საუდის არაბეთის მეფე ფაჰდი, რომელიც ქვეყანას 1982 წლიდან მართავდა, ორშაბათს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ტახტი უნდა დაიკავოს მისმა ნახევარძმამ, ტახტის მემკვიდრე-უფლისწულმა აბდულამ, თუმცა არც იგი არის ახალგაზრდა და ტრეიდერები ძალზე შეშფოთებული არიან ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

პრინცმა აბდულამ უკვე განაცხადა, რომ ქვეყანაში შენარჩუნებული იქნება ნავთობის პოლიტიკა, რომელსაც სამეფო ახორციელებდა მრავალი წლის განმავლობაში; ეს პოლიტიკა გულისხმობს იმას, რომ ბაზრები არ განიცდიდნენ შავი ოქროს მწვავე უკმარისობას.

მაგრამ რა მოხდება პრინც აბდულას გარდაცვალების შემდეგ? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ანალიტიკოსებს არა აქვთ.



ამავე დროს, ბაზარს აშფოთებს ისიც, შეძლებს თუ ვერა ამერიკის ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა სტაბილურად მაღალი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ასეთ შეშფოთებას იწვევს მთელი რიგი პრობლემები, რომელსაც ეს დარგი გადააწყდა ბოლო ხანებში.

პარასკევს ნავთობის ფასები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვნად გაიზარდა: ჩრდილოეთის ზღვაში ამერიკელთა კუთვნილ ერთბაშად ორ ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში გაჩნდა ხანძარი.

ოპტიმიზმს ვერ ნერგავს სპეციალისტთა გაფრთხილებაც იმის თაობაზე, რომ ამერიკული ნავთობის მომწოდებელი ხაზები გადატვირთულია, რის შედეგადაც ქარხნებში აშკარად შეინიშნება ტექნოლოგიური გადაღლილობის ნიშნები.

გასულ კვირას ხანძარი მოხდა „ბრიტიშ პეტროლეუმის" კუთვნილ ნავთობის ქარხანაშიც, რომელიც ტეხას-სიტიში მდებარეობს. ამის შედეგად საწარმო დაიხურა რემონტისთვის. არადა, ეს შეერთებული შტატების ტერიტორიაზე სიმძლავრით მესამე ნავთობგადამმუშავებელი ქარხანაა. პრაქტიკულად, ამის პარალელურად გავრცელდა ხმები, რომ „ექსონიც" აპირებს ილინოისში მოქმედი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დახურვას, რომლის სიმძლავრეც დღეღამეში 235 ათას ბარელს შეადგენს.

პარალელურად მწვავდება ვნებათაღელვა ირანის ირგვლივაც, რომელიც ნავთობის მოპოვების მოცულობით მეორეა ოპეკის ნავთობის კარტელის წევრთა შორის: თეირანმა განაცხადა, რომ განაახლებს მუშაობას თავის ბირთვულ პროგრამაზე და ეს მოხდება იმის მიუხედავად, რომ მთელი მსოფლიო მოუწოდებს და აფრთხილებს ამ ქვეყანას, თავი შეიკავოს ასეთი სამუშაოების განხორციელებისგან.

# იაპონია შეშფოთებულია ჩინეთის არსენალების გამო

**იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ჩინეთმა საჯაროდ უნდა გამოაქვეყნოს უფრო სარწმუნო ინფორმაცია თავდაცვისთვის განკუთვნილი ხარჯების შესახებ, და გამოთქვა შეშფოთება ამ ქვეყნის სამხედრო და დიპლომატიური პოტენციალის ზრდის გამო.**

იაპონიის თავდაცვისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ მოხსენებაში ოფიციალური ტოკიო აღნიშნავს, რომ ჩინეთს არ მიიჩნევს როგორც საფრთხეს. ამავე დროს, იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლები არ მალავენ, რომ ჩინეთის სამხედრო პროგრამის ზოგიერთი ასპექტი მათში არაერთ კითხვას ბადებს.

უწინარეს ყოვლისა, იაპონიას სურს მიაღწიოს ჩინეთისგან მეტ გამჭვირვალეობას თავდაცვითი ბიუჯეტის საკითხებში. იაპონიის თავდაცვითი უწყების მონაცემებით, მიმდინარე წლისთვის პეკინს დაგეგმილი აქვს, რომ სამხედრო ხარჯები გაზარდოს 12,6 პროცენტით.



გარდა ამისა, იაპონიის შეიარაღებული ძალები ახლა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ჩინეთის ჯარების გადაადგილებას. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც იაპონიის ზღვაში შენიშნეს ჩინური ატომური წყალქვეშა ნავი.

„საჭიროა ამას განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ და გამოვიტანოთ აწონ-დაწონილი დასკვნები იმის თაობაზე, ხომ არ აღემატება ჩინეთის არმიის მოდერნიზაციის მოცულობა ეროვნული თავდაცვისთვის საჭირო დონეს", – ხაზგასმულია მოხსენებაში.

ამავე დროს, იაპონიის ეროვნული თავდაცვის სამმართველოს დირექტორმა იოსინორი ონომ განაცხადა, რომ იგი არ უყენებს პეკინს არანაირ ბრალდებას. „იაპონიას კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ჩინეთთან, რადგან, ჩვენ მეზობლები ვართ", – დასძინა მან.

◎ კვალი ნათელი

# ადამიანი მიდის, საქმე კი რჩება...



**ᲗᲣ სტატისტიკას დავუჯერებთ (უნდობლობისთვის კი საფუძველი ნამდვილად არა გვაქვს), საქართველო მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, სადაც სამოციანი წლების მიწურულს დამთავრდა რკინიგზის მაგისტრალის მთლიანი ელექტრიფიკაცია. იმხანად საკავშირო ტრესტ „ტრანსელექტრომონტაჟს“ ხელმძღვანელობდა შალვა ლოგუა. ვინაიდან მაშინ ცენტრის უნებართვოდ ერთი კენჭიც კი არსად გადაბრუნდებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს რკინიგზის ელექტრიფიკაციის დაჩქარებაში შალვა ლოგუამ უზარმაზარი წვლილი შეიტანა.**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ მისი გვარ-სახელი ძველი რკინიგზელის გუგული მაისურაძისაგან მოვისმინე. მან ქებადიდებით ცაში აიყვანა უფროსი კოლეგა – უნიჭიერესი სპეციალისტი და უპატიოსნესი ადამიანი იყოო.

შალვა ლოგუა თბილისში დაბადებულა. დაუმთავრებია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრომექანიკური ფაკულტეტი. 1929 წელს მექანიკოსად მუშაობდა თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ვერც მისი ოჯახი გადარჩენია ოცდაათიანი წლების რეპრესიებს: მამამისი, სარდიონ ლოგუა, 1937 წელს



დაუპატიმრებიათ. ეს ცნობა შალვა ლოგუას პირად საქმეში ამოვიკითხე. როცა რკინიგზის კადრების განყოფილების სამოცდახუთგვერდიან საქმეს ვეცნობოდი, გულწრფელად გამიკვირდა: რეპრესირებულის შვილმა როგორ შეძლო გზის გაკაფვა? ეტყობა, ნიჭმა მაინც თავისი გაიტანა, ან, შესაძლოა, ხელმძღვანელობამ გამოიჩინა ლმობიერება და ახალგაზრდა კაცი დასაღუპავად არ გასწირა...

1940 წელს შალვა ლოგუა რკინიგზის 301-ე მშენებლობის უფროსის მოადგილეა. მერე ერთმანეთს ცვლის ბრძანებები – „დაინიშნოს“, „გადააადგილდეს“, „გამოეცხადოს მადლობა“, „დაჯილდოვდეს“... 1943 წლის 31 მაისს იწერება სსრ კავშირის რკინიგზის სახალხო კომისარიატის ბრძანება შალვა ლოგუას ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციის განყოფილების უფროსად დანიშვნის შესახებ.

მერე მშენებლობის სამსახურის უფროსის მოადგილედ გადაუყვანიათ. როგორც ჩანს, ეს სამუშაო დიდად არ ეპიტნავებოდა. საქმეში არის შალვა ლოგუას განცხადება, სადაც წერს: „მშენებლობიდან გათავისუფლების თაობაზე არაერთხელ მოგმართეთ, მაგრამ ჩემი თხოვნა დღემდე დაუკმაყოფილებელია. როცა იქ დამნიშნეთ, ჩავთვალე, რომ საქმისთვის ასე იყო საჭირო. იმის შემდეგ კი, რაც სამშენებლო ორგანიზაციები გაერთიანდა, მოადგილედ ყოფნა მიუღებლად მიმაჩნია, ვინაიდან საამისო ცოდნა არა მაქვს – დავამთავრე ელექტრომექანიკური ფაკულტეტი და 1930 წლიდან ამ კუთხით ვმუშაობდი. ახლაც ამ სფეროში დაბრუნება მსურს, თუმცა ხელფასი მთელი 30 პროცენტით შემიმცირდება. ჩემი განცხადება კატეგორიულია და მშენებლობის უფროსის მოადგილედ აღარ ვიმუშავებ“, – ასე მთავრდება ეს განცხადება.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ ტონით მხოლოდ იმ კაცს შეუძლია უფროსობასთან საუბარი, ვისაც ანგარიშს უწევენ, ვინც ასეთი კატეგორიული მოთხოვნის უფლება მრავალწლიანი შრომით და პროფესიონალიზმით მოიპოვა. მაგრამ ხელმძღვანელობასაც აქვს თავისი ამბიცია და კონტრარგუმენტები. აი, იმ განცხადებას როგორი რეზოლუცია დაადო გზის უფროსმა გრიგოლ კიკნაძემ: „დაურთეთ ამხ. ლოგუას საქმეს. ეტყობა, გაყოყოჩდა“.

შალვა ლოგუას გვერდით წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს რკინიგზის ერთ-ერთი აღიარებული და დამსახურებული მუშაკი, მთავარი ბუღალტერი სერგო კილატოვი – „რკინის სერგო“, როგორც რკინიგზელები სიყვარულით ამბობენ ხოლმე. აი, რა მითხრა მან:

– შალვა ლოგუა არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ. არაჩვეულებრივი, როგორც ხელმძღვანელი და პროფესიონალი. დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, მაგრამ, ჩემი აზრით, რაღაცით ვერ შეეწყო გრიგოლ კიკნაძეს. სხვა ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს, 1950 წელს შაორის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსად გადაიყვანეს და 3000 მანეთი ხელფასი დაუნიშნეს! გარეგნულად ეს დაწინაურება იყო, სინამდვილეში – თავიდან მოშორება. ნიჭმა თავი მაინც არ დამალა – შაორიდან მოსკოვში, საკავშირო ტრესტის მმართველად გადაიყვანეს. გახსოვთ, სტალინის სიკვდილის შემდეგ რამდენი ქართველის თავი „დაგორდა“, რამდენს გამოუცხადეს უნდობლობა. აი, შალვა ლოგუას კი თითიც ვერ დააკარეს. დააკარეს კი არა, ჩინ-მედლებიც უხვად უბოძეს და 1962 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც მიანიჭეს!

– ამბობენ, ქალები უყვარდაო...

– ჰო, მეც გამიგონია, – იცინის ბატონი სერგო, – ელექტრიფიკაციის სამსახურის უფროსი მიხეილ თოიძე იტყოდა ხოლმე, მაგაზე პატიოსანი კაცი მეორე არ მეგულება – ოთხი ქალი უყვარდა და ოთხივე ცოლად დაისვაო.

– კაციც ისა ყოფილა!

როგორც კი საშუალება მიეცემოდა, შალვა მაშინვე საქართველოსკენ გამოსწევდა. დაივლიდა თბილისის ქუჩაბანდებს, სადაც მისმა ბავშვობამ და მოწიფულობის წლებმა გაიარა, შეხვდებოდა მეგობრებს და მერე ახალი ძალებით აღვსილი უბრუნდებოდა ჩრდილოეთს...

მკაცრმა რეალობამ არც ის დაინდო – მოუზომავმა და როყიოდ მიხლილმა სიტყვამ წელში გატეხა: ერთ დღეს გუგული მაისურაძეს სამსახურში შალვას ცოლის ნათესავი ეწვია, სასწრაფო საქმე მაქვს და მოსკოვში დამარეკინეო. გუგულიმ ნომერი აკრიფა და ყურმილი სტუმარს გადასცა.

– შალვა სარდიონოვიჩ, ცუდი ამბავი უნდა გამცნოთ, – დაიწყო სტუმარმა და ვიდრე გუგული მისი ნათქვამის აზრს ჩახვდებოდა, სწრაფად დააბოლოვა: – თქვენი ვაჟი, გურამი დაიღუპა...

შალვამ რაღაც ჰკითხა, მოსაუბრემ კვლავ დაუდასტურა:

– დიახ, მორიგი ლაშქრობის დროს გაიყინა.

გუგული ზამბარასავით გაიშალა – სკამიდან წამოხდა და სტუმარს უყვირა:

– ეგ რა ჩაიდინე! ასეთი საშინელება რატომ მიახალე! ჩემთვის გეთქვა, შევამზადებდი მაინც! შენ ახლა კაცი მოჰკალი! – სტუმარს ყურმილი ხელიდან გამოჰგლიჯა, მაგრამ აღარავინ უპასუხა...

შალვას ვაჟი – გურამ ლოგუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ ინსტიტუტში მუშაობდა. ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩენის ავტორი იყო და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. სამწუხაროდ, ნიჭის გაფურჩქვნა არ დასცალდა – შესანიშნავი მთამსვლელი ექსპედიციის დროს მთაში დაიღუპა...

შალვამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო შვილის დაკრძალვაზე ჩამოსვლა ვერ შეძლო. დიდხანს აღარ უცოცხლია – 1978 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვში...

**ელგუჯა ლეჲანიძე**

◎ მხარე

# „სათნოების“ მრავალწახნაგი

**ᲐᲗᲘ წლის წინათ დედოფლისწყაროს სტატისტიკის შენობის ეზოდან კომუნალური მეურნეობის დირექტორის ბიძინა პაპაშვილის განკარგულებით სამი მანქანა ნაგავი გაიტანეს, მალე ამ შენობის პირველ სართულზე ენერგიული და ცოდვა-მადლით აღსავსე ქალბატონების ნადია ალხანიშვილის, ქუქუნა პოპიაშვილის და ნექნა ძმანაშვილის ძალისხმევით სოციალურად დაუცველი მარტოხელა და უმწეო მოხუცებისათვის კათარზისის სათნოების სახლი დაარსდა. პირველად იგი 13 პენსიონერს ემსახურებოდა, მალე მათი რიცხვი 32-მდე გაიზარდა.**

პირველ წლებში სათნოების სახლი ოჯახური შემოწირულობებით არსებობდა, ერთი წლის შემდეგ კი სპონსორობა სოფელ არბოშიკის მკვიდრმა, ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრმა, ამ რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლაერტი ზუბადალაშვილმა იკისრა. სათნოების სახლის ბინადართ ათი წლის განმავლობაში სისტემატურად ეხმარებიან რაიონის ბიზნესმენები და ფერმერები: ილია პოპიაშვილი, ბექან გონაშვილი, ილია ნატროშვილი, ინდმეწარმეები ზეინალ მოღებაძე, ტარიელ ნატროშვილი, რაიონის ყოფილი გამგებლები თემურ ლომაშვილი, ვაჟა ქადაგიძე, ავთანდილ ლეკაშვილი. ამ კეთილი საქმიდან განზე არც რაიონის დღევანდელი გამგებელი სოსო ხაჩიაშვილი დგას. იგი ამ დღეებშიც ესტუმრა სათნოების სახლს და თითოეული ბინადარი, რომელთა რიცხვმა უკვე 67-ს მიაღწია, 10 კილოგრამი პურის ფქვილით, მაკარონით და შაქრის ფხვნილით დაასაჩუქრა, შემდეგ კი მათთან ერთად ისადილა. მოხუცები კმაყოფილები დარჩნენ რაიონის პირველი პირის ამ ვიზიტით.

2002 წლიდან სათნოების სახლ „კათარზისს“ გამოეყო და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაფუძნდა „სათნოების სახლი – სავანე“ (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე – ნადია ალხანიშვილი).

აქაური ბინადარნი ყოველდღიურად იკვებებიან ნოყიერი წვნიანით, მეორე თავი კერძით და ჩაროზით (ჩაი, კომპოტი, კისელი, ნამცხვარი, ფუნთუშა). მენიუში ბოსტნეულის სალათები და ხილის წვენებიც არის გათვალისწინებული. გემრიელ კერძებს ამზადებენ ამ სახლის თანამშრომლები – ქუქუნა პოპიაშვილი, ნექნა ძმანაშვილი, ამ სახლის „დიასახლისი“ ნადია ალხანიშვილი.

ამ ათი წლის მანძილზე სათნოების სახლმა „სავანემ“ რამდენიმე ობოლი ბავშვიც შეიფარა. ერთ-ერთი მათგანი, ბელა კობაიძე, უკვე დაოჯახებულია და ორი შვილიც ჰყავს. აქვე იზრდება ოთხი ობოლი და-ძმა ლიქოკელები. „სავანე“ მარტოხელა დედას მადონა ღვინიაშვილსა და მის შვილ გიორგიზეც ზრუნავს.

„სავანეს“ ბინადართ ხშირად იწვევენ კულტურულ ღონისძიებებზე, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სოფლის მეურნეობის პროფკავშირების რაიონულ საბჭოს, მათთვის სპეციალურად არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

კმაყოფილი „სავანეს“ ბინადარნი ერთმანეთს აზრის გამოთქმას არ აცდიდნენ. დიდი სამამულო ომის მონაწილე, მრავალი ორდენისა და საბრძოლო მედლის კავალერი **ფედია იურისონოვი:** – ასეთი მზრუნველი მომსახურე პერსონალი რომ არ ჰყავდეს „სავანეს“, ვერც ასეთი სპონსორები მოიძებნებოდა. ყველას დიდი მადლობა ჩემისთანა მოხუც ადამიანებზე ზრუნვისათვის.

90 წლის პენსიონერი **მაქრო შანშიაშვილი**: – სადილი ძალიან მომწონს, სრულიად უანგაროდ გვიმასპინძლდებიან.

კმაყოფილებას ვერ მალავენ სოფიო თანდილაშვილი, თამარ ჯაგაშვილი, ქეთევან მუქიჩენკო და სხვები.

შევყურებდი მადლიერ მოხუცებს და ვფიქრობდი, რომ სათნოების სახლისთვის შემთხვევით არ დაურქმევიათ „სავანე“. აქ მოხუცები სულიერ სიმშვიდესაც პოულობენ.

**ნანა ჭიჭინაძე.**
**დედოფლისწყარო.**

# იკარგება ყველაფერი, რაც გვიკეთებია...

**ᲐᲛ დღეებში დედოფლისწყაროს ეწვია საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი ვაჟა აზარაშვილი, რომელმაც თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი ცხოვრების გზა განვლო. თაობები გაიზარდა მის შემოქმედებაზე და ქართული სიმღერის კეთილხმოვანებას ეზიარა. ძნელია დავასახელოთ ცნობილი მომღერლები თუ ანსამბლები, რომელთა რეპერტუარშიც ვაჟა აზარაშვილის სიმღერები არ ჟღერდეს.**

ვაჟა აზარაშვილთან გულთბილ შეხვედრაში ალალ და გულმართალ ქიზიყელებთან დიალოგში გამოიკვეთა გულისტკივილი იმის გამო, რომ „იკარგება ყველაფერი, რაც დღემდე გვიკეთებია, რომ დღეს კლიპები დაუპირისპირდა ცოცხალ სიმღერას, კლასიკურ მუსიკას, ახალგაზრდობა შეეჩვია ყოველგვარ უცხოურს, სატელევიზიო არხებზე დატრიალებულ ერთი და იგივე კლიპებს, ხოლო ქართველ კომპოზიტორთა ჰანგები აღარც ახსენდებათ.

ვაჟა აზარაშვილის და მისი მეგობრის, ოპერის თეატრის ყოფილი სოლისტის გურამ დონაძის შემოქმედებითი ტურნე სწორედ ქართული სიმღერის და კლასიკური მუსიკის „ცოცხლად შესრულების“ პოპულარიზაციას ემსახურებოდა. მათ მოენატრათ ხალხში გასვლა და დედოფლისწყაროელებმაც სიყვარულით უპასუხეს სტუმრებს. სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში შესრულებულ თითოეულ ნაწარმოებს, რომელსაც თავად კომპოზიტორი ასრულებდა, ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებდა მსმენელი.

კომპოზიტორმა ისაუბრა ზოგიერთი სიმღერის შექმნის ისტორიაზე, – თუ როგორ ააჟღერა „დინამო“ წარმატებული საფეხბურთო მატჩის შემდეგ; „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“ – ავტომანქანით მოგზაურობისას; „სოხუმი კი გულში გვიხუტებს“ – მწერალ მამია ჩართოლანთან სტუმრობის დროს. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ცნობილი სიმღერის „პატარა გოგონა, პატარა მთაწმინდა“ პრემიერის შესახებ – ეს სიმღერა პირველად დედოფლისწყაროში, ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის „ფიროსმანის“ სოლისტმა მიშა ალადაშვილმა შეასრულა. ავტორმა დიდი სიმპათიის ნიშნად საესტრადო ანსამბლების კონკურსზე საგანგებოდ გადასცა ეს სიმღერა ახალგაზრდა ნიჭიერ მომღერალს. ასეთ საჩუქარს ყველა ხელოვანი ინატრებდა. ამჟამინდელ სტუმრობასაც არ ჩაუვლია უსაჩუქროდ – კომპოზიტორმა სამუსიკო სკოლას გადასცა თავისი საუკეთესო სიმღერების ნოტები.

ყველა თაობის საყვარელი კომპოზიტორი მოიხიბლა, როცა სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა სახელდახელოდ შეასრულეს მისი სიმღერები.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– ვარ 9 აპრილის მოწამლული, II ჯგუფის ინვალიდი. 70 წლის პენსიონერი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება, ვიმუშაო ჩემს საკუთარ მაღაზიაში და მომეცემა თუ არა კუთვნილი პენსია მუშაობის პერიოდში?**

**ვლადიმერ ბურნაძე.**

– ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ კანონმდებლობის შესაბამისად მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს, ჩერნობილის აეს-ის აღდგენითი სამუშაოების შესრულებისას დაინვალიდებულ პირებს, რეპრესირებულებსა და მაღალმთიან რეგიონში მომუშავე პედაგოგებს.

9 აპრილის მოწამლულები მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლებას, სამწუხაროდ, ვერ იპოვებენ.

**ირინე ღლონტი**

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

◎ ინფორმაცია

## რა ტვირთი შემოვა განუბაჟებლად?

**„საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები დამის 12 საათიდან ამოქმედდება.**

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ფანცულაიამ განაცხადა, კანონში შეტანილი ცვლილებები საქართველოში სხვადასხვა სახის ტვირთის განუბაჟებლად შემოტანას შეზღუდავს. „ფიზიკურ პირს დღე-ღამეში მხოლოდ ერთხელ ექნება უფლება განუბაჟებლად 200-ლარამდე ღირებულების 5 კგ. წონის კვების პროდუქტების იმპორტი განახორციელოს“, – განაცხადა ფანცულაიამ.

რაც შეეხება სხვა სახის საქონელს, ფანცულაიას განმარტებით, ფიზიკურ პირს უფლება მიეცემა დღე-ღამის განმავლობაში ერთხელ, 300-ლარამდე ღირებულების 50 კგ. საერთო წონის არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისთვის განკუთვნილი საქონელი შემოიტანოს.

ამასთან, დაბეგვრისაგან გათავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ დღე-ღამეში ერთხელ 2 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი.

უცხოეთში, 6 თვეზე მეტ ხანს მყოფი პირები საქართველოში შემოსვლისას განუბაჟებლად შემოიტანენ 1500 ლარამდე ღირებულების 250 კგ. საერთო წონის არაერთგვაროვან, პირადი სარგებლობისთვის განკუთვნილ საქონელს, ხოლო პირებს, რომლებიც საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოდიან, შესაძლებლობა ექნებათ, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი, მათ შორის, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალება განუბაჟებლად შემოიტანონ.

## ვის წაართვეს 2.000 ბოთლი სასმელი?

**ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განყოფილების თანამშრომლებმა ზუგდიდის სამხარეო სამმართველოს პოლიციის სპეცრაზმთან ერთად ზუგდიდის ცენტრალურ ბაზარში გუშინ დილით რეიდი ჩაატარა.**

რეიდის შედეგად ამოღებულია კუსტარულად დამზადებული აქციზური მარკები, აგრეთვე რუსულაქციზიანი სიგარეტები, რომელიც ზუგდიდის ტერიტორიაზე ძირითადად აფხაზეთიდან შემოდის. გარდა ამისა, ამოღებულია ყალბი აქციზურმარკიანი სპირტიანი და ალკოჰოლური სასმელები.

როგორც ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განყოფილების ხელმძღვანელმა კახა კაკაბაძემ განაცხადა, ასეთი რეიდები ხშირად ტარდება, თუმცა 2000 ბოთლი სპირტიანი სასმელის ამოღების ფაქტი პირველია. მისივე თქმით, აქამდე არ იყო აგრეთვე შემჩნეული ყალბი აქციზური მარკები ბაზარში, რომელიც ერთ-ერთ სამალავში აღმოაჩინეს.

სპეცრაზმის მოქმედების დროს მოვაჭრეებმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს.

კაკაბაძის განცხადებით, მსგავსი რეიდი მომავალშიც ჩატარდება, ხოლო იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალი ედებათ ყალბი აქციზური მარკების დამზადებასა და გასაღებაში, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

**ინტერპრესნიუსი**

## დუშეთის რაიონში მგლებმა სამი ადამიანი დაკბინეს

**ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ რაიონის სოფელ ებნისსა და გრემისხევში მგლებმა სამი ადამიანი დაკბინეს, მათგან 2 ბავშვია.**

სოფელ გრემისხევის მცხოვრები, 12 წლის გიორგი ბადაგაძე მძიმე მდგომარეობით ბავშვთა მე-2 რესპუბლიკურ საავადმყოფოს რეამინაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ვასილ მაღლაფერიძის ინიციატივით შეიქმნა საგანგებო შტაბი. იგი მობილიზებას გაუკეთებს მონადირეთა ჯგუფებს, რათა მსგავსი შემთხვევები გამოირიცხოს.

როგორც მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ შადიმან შამანაძემ განაცხადა, მგლების მომრავლება მთელ საქართველოში შეინიშნება. ამის მიზეზი ამ მტაცებლის აღრიცხვიანობის სისტემის მოშლაა.

**მედიანიუსი**

◎ გვწერენ

# ჯამბულ პაპავას ქორწილში ეპატიჟებიან

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ იქნა, შვებით ამოისუნთქეს ჩხოროწყუელებმა – საშველი დაადგა და სენაკთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა მთლიანად მოასფალტდა. ადრე ავტობუსს ოცდათხუთმეტიოდე კილომეტრის გასავლელად რამდენიმე საათი სჭირდებოდა, ახლა ერთი საათიც საკმარისია. ასფალტი უკვე გასცდა ჩემს სოფელს – ხაბუმეს, ახლა მეგზევეები წალენჯიხის მონაკვეთზე მუშაობენ.**

ამ დღეებში სასწრაფო საქმეზე დედაქალაქში მომიხდა გამომგზავრება. თან ვწუხდი, ამ გაგანია სიცხეს როგორ გადავიტან-მეთქი. შიში ამაო გამოდგა – არც სიცხე მიგრძვნია და არც დაღლილობა. ყოველივე ამას ვუმადლით ფირმა „ნიკას“, რომელსაც ჯამბულ პაპავა თავკაცობს. ფირმამ რამდენიმე გერმანული ავტობუსი შემოიყვანა. ავტობუსს აქვს ყველა ატრიბუტი, რაც ნორმალური მომსახურებისთვის არის აუცილებელი. ჩვენ, მაგალითად, ჩხოროწყუდან დილის ათის ნახევარზე გამოვემგზავრეთ და ოთხის ნახევარზე უკვე თბილისში ვიყავით. ფართო და ნათელ სალონში სასიამოვნო სიგრილე იყო – მუშაობდა კონდიციონერი. მგზავრებს რომ არ მოეწყინათ, „იუმორინა-2005“-ის ვიდეოჩანაწერიც უჩვენეს, თენგიზ არჩვაძისა და ლალი ბადურაშვილის მონაწილეობით – ქართული კინოფილმიც და მშვენიერი სიმღერებიც მოასმენინეს.

გზაში პატარა ინციდენტიც მოხდა: რიკოთში ჩასულ ერთ-ერთ მგზავრს ჩანთა შეეშალა და კარგად რომ გავიმანძილეთ, მძღოლს მობილურით ამის შემდეგღა აცნობა. ჯამბულ პაპავამ მოგვიბოდიშა და ავტობუსი მიაბრუნა. შეშფოთებულ მგზავრს თავისი ჩანთა დაუბრუნა და იქით დააწყნარა, ხდება ხოლმეო.

ჯამბულ პაპავა, მართალია, ფირმის თავკაცია, მაგრამ კვირაში ერთხელ თვითონაც მიუჯდება ხოლმე საჭეს. ხომ მშვენივრად მოგვემსახურა, ნახევარი საათით შეგვასვენა კიდეც. მეც და სხვა მგზავრებიც კმაყოფილები ვართ, რომ, ბოლოსდაბოლოს, ადამიანურ მოპყრობას ვეღირსეთ.

ჩხოროწყუელ მძღოლებს სხვა მხრივაც ვემადლიერებით: სტუდენტ შვილებს სწორედ მათი დახმარებით ვაწვდით ხოლმე სურსათ-სანოვაგეს. ახლაც უამრავი ახალგაზრდა დახვდა ავტობუსს. „ცოლს რომ მოვიყვან, ქორწილში უსათუოდ დაგპატიჟებ, ჯამბულ ბატონო“, – ღიმილით უთხრა ერთმა ჭაბუკმა მძღოლს. ამით, მე მგონი, ყველა თანატოლის მადლიერება გამოხატა. „ჩვენი სტუდენტი შვილები ამათი გამოკვებილია“, – გადმომილაპარაკა თანამგზავრმა ქალმა.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ თქვენც და თქვენს თანამოსაქმეებსაც, ბატონო ჯამბულ! მაშინ ჩვენ, მგზავრებიც გულდამშვიდებული ვიქნებით.

**ლელა ესართია,**
**პედაგოგი.**
**ჩხოროწყუ.**

◎ თქვენ სად ისვენებთ?

# ოძისი და ცივწყარო უნიკალური საკურორტო სოფლებია

**ᲔᲰ, გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ აგვისტოს ამ პაპანაქებაში დედაქალაქში კაცს რა გააჩერებდა. რას იზამ, უფულობა და უსახსრობა ამაზე უარესისთვისაც გაგაძლებინებს.**

თუმცა იმასაც ვიტყვი – აუცილებელი არ არის საყოველთაოდ ცნობილ კურორტზე დაისვენო. თუ კარგად მიიხედ-მოიხედავ, ჩვენს ღვთითკურთხეულ ქვეყანაში იმდენი ლამაზი, ბუნების ხელით ნაქარგი ადგილია, რომ გემრიელადაც დაგასვენებს და არც ბევრს დაგახარჯვინებს.

ამის გამოცდილება უკვე ბევრმა შეიძინა. ამას წინათ რედაქციაში ახლობელი ადამიანი – მამუკა ხუციშვილი მეწვია. იგი ცნობილი მხატვრის ჯემალ ხუციშვილის ძმისწულია. მართალია, დიდსა და სარფიან საქმეში არ არის ჩაბმული, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავი გააქვს, თანაც ხატავს კიდეც და ერთგვარი შემოსავალი აქედანაც აქვს.

**– წელს დასვენებას არ აპირებ?** – ვკითხე მამუკას დამშვიდობებისას.

– როგორ არა, ბოლო წლებში სულ ოძისში დავდივარ, იშვიათი საკურორტო ადგილია, ძალიან კმაყოფილი ვარ.

**– რაღაც ასეთი კურორტი არ გამიგია?**

– ჰო, ბევრმა არ იცის, მაგრამ ვისაც იქ ერთხელ მაინც დაუსვენია, მეორედ სხვაგან წასვლას აღარ მოისურვებს.

**– მთაშია თუ ბარში ეგ შენი კურორტი?**

– მთაც არის და ბარიც, ჰაერსა და წყალს ხომ ნუღარ იტყვი, განუმეორებელია. დახატულიც მაქვს, გაჩვენებ.

**– ბინად ვისთან ხარ ხოლმე?**

– ჩემს მეგობარ პროფესორთან – ბეგლარ გოგალაძესთან, იქაურია, ბინაში ფულს არ მახდევინებს და იოლად გამოვდივარ.

**– ბატონ ბეგლარს მეც კარგად ვიცნობ, ჩვენი გაზეთის მეგობარია, ხშირად სტატიებსაც აქვეყნებს.**

– უფრო კარგი, ერთად დავისვენოთ, – მთავაზობს მამუკა.

დასვენებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მშობლიური სოფლის თაობაზე ბეგლარ გოგალაძეს ვესაუბრე და დიდად კმაყოფილიც დავრჩი.

– სოფელი ოძისი, – მითხრა მან,– სურამის მეზობლად მდებარეობს. მოგეხსენებათ, ერთ პერიოდში სურამს მოსკოვი საკავშირო დანიშნულების კურორტად გამოცხადებას უპირებდა, მაგრამ გასული საუკუნის 80-იანი წლების კატაკლიზმებმა ამ იდეას ფრთები საბოლოოდ შეაკვეცა. იმ დროისათვის საქართველოში სულ ოთხი საკავშირო მნიშვნელობის კურორტი არსებობდა – ბორჯომი, წყალტუბო, გაგრა და ბიჭვინთა. მეხუთე სურამი უნდა გამხდარიყო.

როგორც ცნობილია, სურამის კლიმატს განსაკუთრებული სასიკეთო ღირებულება აქვს ადამიანის სასუნთქი ორგანოების დაავადების, არითმიული მოვლენების, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის და, რაც მთავარია, პერიფერიული ნერვიული სისტემის თანმხლებ დაავადებათა სამკურნალოდ. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სურამის ასეთი კლიმატი შეუდარებელ შედეგებს იძლევა ბავშვთა მკურნალობისას.

მე როგორც იმ კუთხის შვილი, – ამბობს პროფესორი ბეგლარ გოგალაძე, – დავინტერესდი, უფრო დაწვრილებით გავეცნობოდი სურამის საკურორტო პარამეტრებს და ისინი შემედარებინა ზოგიერთი მიმდებარე სოფლის შესაბამის მონაცემებთან. ჩემი ინტერესების სფერო განსაკუთრებით სურამის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გამყოფი ქედის კალთაზე განლაგებულ სოფლებს ეხებოდა, სადაც უნიკალური ჰაერი და მორაკრაკე, გამაჯანსაღებელი წყაროს წყლებია. საინტერესოა, რომ სოფლების ოძისისა და ცივწყაროს წყაროებიდან აღებული წყლის ნიმუშები, ყოველგვარი წინასწარი დამუშავების გარეშე, 8-10 წლის მანძილზე ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში ისე ინახება, რომ მისი სასაქონლო ღირებულება თითქმის არ იცვლება. ეს ფაქტი მართლაც უნიკალური და ანგარიშგასაწევია, მაგრამ დღემდე, ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.



სოფელი ოძისი. მამუკა ხუციშვილის ნახატი

მარტო ეს არ არის. დასახელებული სოფლების საშუალო წლიური ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა, მზის მცხუნვარება, სავენტილაციო გარემო (ჰაერის ქროლვადობა), ატმოსფერული წნევა, ტენიანობა და სხვა მონაცემები სურამისაზე ბევრად უკეთესია. აქ ჟანგბადის კონცენტრაცია თითქმის ერთი პროცენტით, ხოლო მსუბუქი აეროიონებისა ორჯერ აღემატება სურამისას, რაც ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აეროინებს დღეს მედიცინა ორგანიზმის ცხოველმყოფელობის და ნერვიული სისტემის გაკაჟების შეუდარებელ საშუალებად მიიჩნევს.

**– ბატონო ბეგლარ,** – ვეუბნები, **– სასიამოვნო მოსასმენია, რასაც თქვენ ჰყვებით, მაგრამ ამას სურამის ანტირეკლამად ხომ არ ჩაგვითვლიან?**

– რას ბრძანებთ, ეს გულში ოდნავადაც არ გამივლია. სურამის კლიმატი რომ განსაკუთრებული და გამორჩეულია, ამას მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ ნათქვამია „მჯობნის მჯობნი“ არ დაილევაო და სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ საზოგადოებისთვის გამეცნო ხაშურის რაიონის ამ ორი პატარა უჩინარი სოფლის კლიმატური მონაცემები. ისინი სურამიდან სულ რაღაც ორ ნაბიჯზე იმყოფებიან და ტოლს არ უდებენ აღიარებულ სურამის კურორტს. მათ სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ხაშურიდან რიკოთის გვირაბამდე სურამის გავლით მოძრავი ტრანსპორტი ყოველდღიურად 80-90 მილიონამდე კუბურ მეტრ ჰაერს აბინძურებს, ოძისი და ცივწყარო კი ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთაა.

**– ხალხი თუ აკითხავს დასასვენებლად?**

– ზაფხულობით კი. უამრავი ნაცნობ-მეგობარი აკითხავს ამ პერიოდში სოფლებს და ნასიამოვნებიც რჩება. ვინც ერთხელ მაინც გაუსინჯა გემო აქაურ კლიმატსა და წყალს, ის მას აღარასოდეს მიატოვებს, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს ამ სოფლების საკურორტო მონაცემების ბოლომდე ათვისებას. ხელისუფლება თუ ჩვენსკენაც მოიხედავს, აქ ბევრის გაკეთება შეიძლება.

**მართლაც რა იქნება, თუ საქართველოს მთავრობა, აგრეთვე ბიზნესმენები, რომლებსაც ფულთან ერთად მამულიშვილობაც არ აკლიათ, გამოიჩენენ ყურადღებას და ამ სოფლებს, ვიდრე მათ ვინმე გადამთიელი დაადგამდეს თვალს, ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სამსახურში ჩააყენებენ. თანაც ეს სოფლები სადღაც გადაკარგულში კი არა, აგერ, ყურისძირშია. ისინი თითქოს გვემუდარებიან: მოგვხედეთ, დაგვინახეთ, შეგვიცანით და გამოგვიყენეთ!**

**ოთარ ხუციშვილი**

№ 182. ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 2005 წელი.

◎ აკრძალული ზონა

# ასე განსწავლულ მოზარდს როგორღა დაიჭერ?..

**ქართულ პოლიციაში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც განყოფილებაში მიყვანილი ეჭვმიტანილის ნაცვლად ახსნა-განმარტება თავად თანამშრომელს დაუწერია, დაკავებულისთვის გაუცნობლად სხვადასხვა დოკუმენტზე ხელი მოუწერინებიათ, რაც შემდგომ-**



**ში საქმის გართულებას იწვევდა. დაკავებულები თავიანთ უფლება-მოვალეობებს არ იცნობდნენ და პოლიციელთა, ხშირად, კანონსაწინააღმდეგო მოთხოვნებსაც კი დაუყოვნებლივ ასრულებდნენ. მდგომარეობა მკვეთრად არც დღეს შეცვლილა. თუმცა მისასალმებელია, რომ იუსტიციის სამინისტრომ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამაზე ზრუნვა სერიოზულად დაიწყეს.**

ვინაიდან ყველაზე დიდ გაურკვევლობაში ხშირად არასრულწლოვანებივარდებიან, სწორედ ამიტომ პირველი ტრენინგი სამართლის სფეროში 16-დან 24 წლამდე ახალგაზრდებს ჩაუტარდათ. თითოეულ მათგანს შეფარდებული აქვს არასაპატიმრო სასჯელი და პრობაციის დეპარტამენტის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

ათდღიან ტრენინგში 26 ახალგაზრდა მონაწილეობდა. განიხილეს ადამიანის უფლებები, სამოქალაქო სამართალი, ბავშვის ინტერესის დაცვა საოჯახო ურთიერთობებში, სისხლის სამართალი და სხვა. ასწავლეს განცხადების, ხელშეკრულების, ორგანიზაციის წესდების წერა. ტრენინგის მონაწილეებმა ჩაატარეს სისხლის სამართლის იმიტირებული პროცესი, სადაც მოზარდები თავად იყვნენ პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები. მოამზადეს საბრალდებო დასკვნა, დაცვის სიტყვა, ექსპერტის დასკვნა, მოწმეთა ჩვენებები და სასამართლო განაჩენი. ჩამოთვლილი უნარ-ჩვევები 16 წლის ლაშა მუშკუდიანმაც კარგად შეისწავლა, არ გამორიცხავს, რომ მომავალში მისგან კარგი იურისტი დადგეს. ამ ეტაპზე კი ათდღიანი სასწავლო კურსის დამადასტურებელ სერტიფიკატს დასჯერდა, რომელიც 21 მსჯავრდებულს გადაეცა, 5 – პასიურობის გამო მშრალზე დარჩა.

ახალგაზრდა პრობაციონერებისთვის სწავლება ევროკომისიისა და ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის" დაფინანსებით, იუსტიციის სამინისტროს პრობაციის დეპარტამენტისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა.

21 წლის დავით ძანგირაშვილს ძარცვის გამო პირობითი სასჯელი 5 წელი მიუსაჯეს. სასჯელის ნახევარი ვადა უკვე გასულია. იგი კვირაში ორჯერ პრობაციის დეპარტამენტში მიდის და ქალაქიდან გაუსვლელობას ხელმოწერით აფიქსირებს. თუმცა მალე შესაძლოა სასჯელი მთლიანად მოეხსნას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პრობაციის სამსახურს რეკომენდაციით მიმართა, რომ იმ 14 ახალგაზრდას, რომელსაც სასჯელის ნახევარი მოხდილი აქვს, ნასამართლეობა მოუხსნან. პრობაციის დეპარტამენტის უფროსის ალექსანდრე არაყიშვილის თქმით, ამგვარ შეღავათს საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს და ახლო მომავალში სასამართლოში შესაბამისი წარდგინებით შევლენ. ამ შემთხვევაში კი დიდი მნიშვნელობა მიენიჭება პრობაციონერთა ქცევას სასჯელის მოხდის პერიოდში.

სერტიფიკატების გადაცემისას იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა თქვა, რომ ამგვარი ტრენინგი საქართველოში პირველია. იგი მიზნად ისახავდა არა მარტო პრაქტიკული სამართლის გაცნობას, არამედ ახალგაზრდა პრობაციონერთა ღრმად გათვითცნობიერებას.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ ევროპის ჩემპიონატი

# სომხეთი აქილევსის ქუსლად გვექცა



**სპორტის ნებისმიერ სახეობაში ქართველ და სომეხ ათლეტთა პაექრობა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ამ მხრივ, არც ჭადრაკია გამონაკლისი. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ვაჟებს სომეხი დიდოსტატები ნებისმიერ დროს სადაც უნდათ და როგორ სურთ ისე ამარცხებენ.**

ასე მოხდა გუშინწინ გეტებორგშიც, სადაც ევროპის მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა გუნდური ჩემპიონატი მიმდინარეობს. მესამე ტურში ჩვენები, სწორედ, სომხებს შეხვდნენ. ზურაბ აზმაიფარაშვილი ვლადიმირ აკოფიანს დაუზავდა, სმბატ ლპუტიანი და მიხეილ მჭედლიშვილიც ყაიმზე შეთანხმდნენ, სამაგიეროდ, ლევონ არონიანმა და რაფაელ ვაჰანიანმა, შესაბამისად, ბაადურ ჯობავა და ლევან ფანცულაია დაამარცხეს. საბოლოო ანგარიშია 3:1 ჩვენი მეზობლების სასარგებლოდ.



კიდევ კარგი, რომ ქალებმა გამოგვიკეთეს ხასიათი. მესამე ტურში ისინი უკრაინის ძლიერ გუნდს შეხვდნენ. II-IV დაფებზე მაია ლომინეიშვილმა და კატერინა ლაჰნომ, ნანა ძაგნიძემ და ანა უშენინამ, ქეთევან არახამიამ და ტატიანა ვასილევიჩმა ქულები გაიყვეს. ყველაფერი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძისა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულ ნატალია ჟუკოვას ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. ქართველმა დიდოსტატმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ლიდერის თვისებები და მარცხი აგემა ძლიერ მეტოქეს, რითაც გამარჯვების ქულა მოუტანა (2,5:1,5) თავის გუნდს.

სამი ტურის შემდეგ ქალებში 6-6 ქულით რუმინელები და რუსები ლიდერობენ. თითო ქულით მათ ქართველები და პოლონელები ჩამორჩებიან. ვაჟებში უდანაკარგოდ ფრანგები და გერმანელები მეწინავეობენ. საგულისხმოა, რომ მე-3 ტურში ფრანგებმა რუსებს აჯობეს 2,5:1,5. შვეიცარია, ისრაელი, ჰოლანდია, სომხეთი, რუმინეთი და აზერბაიჯანი 5-5 ქულით III-VIII ადგილებს იყოფენ.

გუშინ გაიმართა IV ტურის შეხვედრები.

**ლექსო ცინცაძე**

◎ კალათბურთი

# კიდევ ერთი ბარიერი გადალახეს



**საქართველოს კადეტ კალათბურთელთა (16 წლამდე) ნაკრები (ლაშა ცექვავა, ლევან შენგელია, ალეკო ძიძიგური, ბექა წივწივაძე, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი, ტატო ჩაჩიბაია, ლაშა დევიძე, დავით მაისურაძე, ნიკა წერეთელი, გიგი ცერცვაძე, მწვრთნელი – გელა წულაძე) ბულგარეთში ევროპის პირველობის B ჯგუფში გამოდის და A ჯგუფში გადასასვლელად იბრძვის. ჩვენმა ბიჭებმა პირველ ტურში მასპინძლებს – ბულგარელებს მოუგეს დამაჯერებლად (82:56), შემდეგ უნგრელებიც დაამარცხეს დიდი ანგარიშით – 77:54. მესამე ტურში გუშინ შვედებს შეხვდნენ. თუმცა, ამ მატჩის შედეგის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებმა პირველი ბარიერი გადალახა და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა.**

◎ ბეისბოლი

# საგზურამდე ხელის გაწვდენაღა დარჩა



**პოლონეთის ქალაქ მეიჟსკა გორკაში გრძელდება ჭაბუკ ბეისბოლისტთა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპი. შეჯიბრებაში 6 გუნდი მონაწილეობს: საქართველო (მწვრთნელი – ნუგზარ კაპანაძე), პოლონეთი, გერმანია, ჰოლანდია, იტალია და ავსტრია.**

შესანიშნავად ასპარეზობენ ჩვენი ბიჭები, რომლებმაც ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს. გაუწყებთ სამივე ტურის შედეგებს: I **ტური.** საქართველო-ჰოლანდია 13:6, გერმანია – ავსტრია 10:1, პოლონეთი – იტალია 13:3. II **ტური.** საქართველო – გერმანია 20:13, პოლონეთი – ჰოლანდია 19:4, ავსტრია – იტალია 13:1. III **ტური.** საქართველო – ავსტრია 4:2, ჰოლანდია – იტალია 13:10, გერმანია – პოლონეთი 5:2.

სამი ტურის შემდეგ საქართველო 6 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. მას 2-2 ქულით გერმანია და პოლონეთი ჩამორჩება. ჰოლანდიას და ავსტრიას 2 ქულა (თითოეულს) აქვს, იტალიელებმა კი ყველა მატჩი წააგეს. ამ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენებს პირველ ადგილზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

შეჯიბრების დებულების მიხედვით, დასკვნით ეტაპზე პირველ-მეორე ადგილოსნები ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. გამარჯვებული 14-20 აგვისტოს ქალაქ ბონორში (აშშ) მსოფლიო პირველობაზე გამოვა.

**გიორგი გაგუა**

◎ ინფორმაცია

## მასალკინმა შეიძლება აჭარის დეპუტატობაც დაკარგოს

**3 აგვისტოს აჭარის უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატები განიხილავენ კანონში „აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სტატუსის შესახებ" ცვლილებების პროექტს. ამ პროექტის მიხედვით, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება კენჭისყრა, თუ არჩევნებამდე, წინასწარ მოიხსნის სადეპუტატო უფლებამოსილებას.**

**ამ პროექტმა რესპუბლიკური პარტიის აღშფოთება გამოიწვია, რადგან ბათუმის საარჩევნო ოლქში აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციის მაჟორიტარობის სავარაუდო კანდიდატი გიორგი მასალკინი იმავდროულად აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრია.**

**„აჭარის უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა „ნაციონალურ მოძრაობას" ჰყავს და ამიტომაც, რეალურია იმის საფრთხე, რომ ამ ცვლილებების მიზანი გიორგი მასალკინის არჩევნებიდან ჩამოშორებაა, რადგან ის გამარჯვების ყველაზე რეალური კანდიდატია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მმართველ პარტიას ხელისუფლების უზურპაცია სურს", – განუცხადა მედიანიუსს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.**

## ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა იყიდება

**შპს „ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა" გასაყიდად გამოიტანეს. ობიექტის საწყისი ფასი 7,7 მლნ. დოლარია.**

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, განცხადების წარდგენამდე ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად პოტენციურმა მყიდველმა სამინისტროს პრივატიზაციის დეპარტამენტში 770 ათასი დოლარი უნდა შეიტანოს. სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა 2005 წლის 30 აგვისტოს იწურება. აუქციონი კი 31 აგვისტოს გაიმართება. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზაციის დეპარტამენტის ცნობით, საწარმოს საწესდებო კაპიტალი 13 774 250 ლარია.**

**სახელმწიფოს წილი საწესდებო კაპიტალში 100 პროცენტია. „ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის" დებიტორული დავალიანება შეადგენს 309 837 ლარს, კრედიტორული დავალიანება 1 633152 ლარია.**

**მედიანიუსი**

## ქუთაისში ნავთობმზიდს ხანძარი გაუჩნდა

**გუშინ, დაახლოებით 18 საათზე, ქუთაისში ნავთობმზიდს ხანძარი გაუჩნდა. ავტომანქანა, რომლის ავზში 4 ტონა ბენზინი იყო, ცეცხლი წაეკიდა. შემთხვევა გუგუნავას ქუჩაზე დასახლებულ პუნქტში მოხდა. მძღოლმა ავტომანქანიდან გადმოხტომა მოასწრო. ნავთობმზიდი კი მთლიანად დაიწვა. შემთხვევის ადგილზე სახანძრო ავტომანქანები იმყოფებიან.**

## ფოთში მოსახლეობა ენერგობლოკადას აქციით აპროტესტებს

**ფოთში, რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლებმა აქცია გამართეს. მოსახლეობის განცხადებით, ენერგოკომპანიის წარმომადგენლებმა გაურკვეველი მიზეზებით ის ელექტროსადენი ჩაჭრეს, რომლითაც მათი ტრანსფორმატორი ელექტროენერგიით მარაგდებოდა.**

**რუხაძის ქუჩის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ისინი უკვე ოთხი დღეა ენერგობლოკადაში არიან. აქციის მონაწილეთა განცხადებით, მათი კორპუსები გამრიცხველიანებულია და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს სისტემატურად იხდიან.**

## ამდენი რეფერენდუმი სად გაგონილა?

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია დღეს საინიციატივო ჯგუფის სარჩელს განიხილავს, რომლითაც რამდენიმე მოქალაქე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს.**

**საინიციატივო ჯგუფის წევრები გულიკო დვალი, კახა ნიქაბაძე, ალექსანდრე ფარჯანიძე და გიორგი ყორღანაშვილი რეფერენდუმის ჩატარებას შემდეგ საკითხზე მოითხოვენ – „თანახმა ხართ, თუ არა, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გატარდეს საყოველთაო დასაქმება სახელფასო მინიმუმზე არანაკლები ანაზღაურებით?".**

**გარდა ამისა, საინიციატივო ჯგუფი რეფერენდუმის ჩატარებას საქართველოს პარლამენტის წევრების რაოდენობის 61-მდე შემცირების მიზნით მოითხოვს.**

**ინტერპრესნიუსი**


# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. ქ. ბოლნისის** გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ქ. ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკში ასაწყობი ატრაქციონის კომპლექსის შესყიდვის შესახებ.

შესასყიდი ობიექტის აღწერილობა

ა) შესასყიდი ობიექტი უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში და შეესაბამებოდეს სტანდარტებს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, 2005 წლის 18 აგვისტოდან 22 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის ქ. № 106 (ქ. ბოლნისის გამგეობის II სართული), სატენდერო კომისიის აპარატში.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

**4.1 იურიდიული პირისთვის:**

ა. ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (სასამართლო);

ბ. ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს).

**4.2 ფიზიკური პირისთვის:**

ა. ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (სასამართლო);

ბ. ცნობას, რომ იგი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (შსს)

**4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისთვის:**

ა. ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (სასამართლო).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის ქ. № 106, II სართული, ქ. ბოლნისის გამგეობა.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადებია 2005 წლის 30 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის ქ. № 106, II სართული სატენდერო კომისიის აპარატში. ტელ. 899 43-87-56.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: გ. ახვლედიანი.


**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალფორდ ენტერპრაისი", რომელიც დაფუძნებულია 2004 წლის 21 ივნისს, განიცდის ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, დაგვირეკოთ 899 75-58-15.**

◎ ფეხბურთი

# ყაზახებმა შემადგენლობა დაასახელეს

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებს ყაზახეთის ეროვნული გუნდი დაუპირისპირდება 17 აგვისტოს. ამ შეხვედრისთვის მეტოქე მონდომებით ემზადება და ამ შესარჩევ ციკლში პირველი ქულების აღებას სწორედ ქართველებთან გეგმავს.**

ყაზახებმა 1 აგვისტოს თავიანთი გუნდის სავარაუდო შემადგენლობა დაასახელეს: **მეკარეები** – იური ნოვიკოვი და დავით ლორია; **მცველები:** ალექსანდრ ფამილცევი, იგორ ავდეევი, სამატ სმაკოვი, რენატ დუბინსკი, ფარხადბეკ ირისმეტოვი, ალექსანდრ კუჩმა, მაქსიმ ზუევი, **ნახევარმცველები** – ანდრეი კარპოვიჩი, მაქსიმ ნიზოვცევი, ნურბილ ჟუმასკალიევი, ანტონ ჩიჩულინი, მაქსატ ბაიჟანოვი, სერგეი ლარინი, მაქსიმ აზოვსკი, ნიკიტა ხოხლოვი, ალექსეი შაკინი; **თავდამსხმელები** – ოლეგ ლიტვინენკო, დენის როდიონოვი, ალექსანდრ კროხმალი, დანიარ კენჟეხანოვი, **მთავარი მწვრთნელი** – სერგეი ტიმოფეევი.

**დღეისთვის II შესარჩევ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:** 9 მატჩის შემდეგ გათამაშების ცხრილს 23 ქულით უკრაინა ლიდერობს. მერე მოდიან – თურქეთი (9) – 16 ქულა, საბერძნეთი (9) – 15, დანია (8) – 12, ალბანეთი (9) – 9, საქართველო (7) – 5, ყაზახეთი (7) – 0 ქულა.

17 აგვისტოს ყაზახეთი-საქართველოს შეხვედრა 18 საათზე დაიწყება. მომდევნო ტურში 3 სექტემბერს ითამაშებენ: ალბანეთი-ყაზახეთი, საქართველო-უკრაინა, თურქეთი-დანია.

◎ სპორტულ ორბიტაზე



## ღმერთმა გაუზარდოთ!

**როგორც ლოს-ანჟელესიდან იტყობინებიან, სამგზის მსოფლიო აბსოლუტური ჩემპიონი, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რუსეთელი ტანმოვარჯიშე სვეტლანა ხორკინა დედა გახდა. ჟურნალი International Gymnast წერს, მან ლოს-ანჟელესის ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში მოიმშობიარა. ხორკინას ბიჭი შეეძინა. ბედნიერმა მშობლებმა მას ვლადისლავი დაარქვეს.**

მშობიარობას ესწრებოდა ბავშვის მამა, ქართველი მსახიობი **ლევან უჩანეიშვილი.**

ღმერთმა გაუზარდოთ!

## მძლეოსნები ათენში იასპარეზებენ

**ათენმა მოიპოვა მძლეოსნობაში 2006 წლის მსოფლიო თასის გათამაშების მასპინძლობის უფლება – ეს გადაწყვეტილება ორშაბათს ერთხმად მიიღო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ. მძლეოსანთა ეს დიდი ასპარეზობა 2006 წლის 16-17 სექტემბერს გაიმართება.**



მძლეოსნობაში მსოფლიო თასის გათამაშება ოთხწელიწადში ერთხელ იმართება. წინა შეჯიბრებებს 2002 წელს მადრიდი მასპინძლობდა.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კონსტანტინოს კარამულისმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზადაა 2006 წლის მსოფლიო თასის გათამაშების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. „მე დარწმუნებული ვარ, რომ საბერძნეთი კვლავ გაამართლებს მსოფლიო მძლეოსანთა საზოგადოებრიობის დიდ მოლოდინს", – თქვა პრემიერ-მინისტრმა.

## ტრაგედია ფეხბურთის მოედანზე

**რუსეთში, კემეროვის ოლქის ქალაქ ბელოვოს მახლობლად, დაბა ინსკოის გარეუბანში მეგობრები ფეხბურთის სათამაშოდ შეიკრიბნენ. უცებ ფეხბურთის მინდორს ავტომანქანა მიადგა, საიდანაც სამმა უცნობმა მოთამაშეებს ცეცხლი გაუხსნა. სასიკვდილოდ დაიჭრა ორი – 21 და 27 წლის ახალგაზრდა, ისინი საავადმყოფოში გარდაიცვალნენ.**



ოლქის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში შეიქმნა ოპერატიულ-საგამოძიებო ბრიგადა. ფიქრობენ, რომ ეს დანაშაული ხულიგნური განზრახვით შეიძლება ჩაედინათ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ადგილობრივ განყოფილებაში ოპერატიულ აღრიცხვაზე აყვანილ პირებს. გამოძიების დროს დააკავეს ჯგუფი, რომელიც ეჭვმიტანილია 20-ზე მეტ ყაჩაღურ თავდასხმაში. სამი მათგანი დაპატიმრებულია.

## უგზო-უკვლოდ დაიკარგა

**უკვე მთელი კვირაა, რაც მოსკოვში, მოსფილმის ქუჩაზე თავის სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ჰოკეის კლუბის „ხიმიკის" ლეგენდარული მწვრთნელი, 85 წლის ნიკოლოზ ეპშტეინი. ბოლო წელიწადნახევარი ის დაავადებული იყო ალცჰეიმერის ავადმყოფობით (მეხსიერების დროებითი დაკარგვა). გამორიცხული არ არის, რომ ის სახლს ვეღარ აგნებს.**

**ცნობისთვის:** ნიკოლოზ ეპშტეინი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელია, ის 20 წლის მანძილზე სათავეში ედგა ვოსკრესენსკის „ხიმიკს".

როგორც მისმა შვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მამამისი ერთხელ ადრეც გაიქცა სახლიდან, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა. ბოლო ხანებში მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ჰოკეის გარდა. ვეტერანთა ვარჯიშზეც კი დადიოდა.

აპრილის შემდეგ უფრო აგრესიული გახდა, ხან ტამბოვში, ხან კი სადღაც წასვლით იმუქრებოდა.

## ჰოლივუდის მსახიობის სპორტული ვნებანი

**ჰოლივუდის ახალი თაობის ვარსკვლავებიდან ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ნატალი პორტმანემ გაამჟღავნა თავისი სილამაზის საიდუმლოებანი. რაც მთავარია, ის რეგულარულად დაკავებულია სპორტით. მან ბევრი სახეობა შეიცვალა. მაგრამ ყველაზე მეტად უყვარს ციგურები და... ამერიკული ფეხბურთი.**

ძნელი წარმოსადგენია, თუ ამ უმშვენიერესი ტანისა და პატარა სიმაღლის (მხოლოდ და მხოლოდ 160 სანტიმეტრი) ადამიანი როგორ მიარღვევს დაკუნთული მეტოქეების თუ თანაგუნდელების ალყას. იქნებ, მის სილამაზეს უთმობენ გზას?

ნატალის „ვარსკვლავი" 1994 წელს ამობრწყინდა, როდესაც მან პატარა გოგონას – მუნჯი მკვლელის დობილის – როლი ითამაშა ფილმში „ლეონი". მან სახელი გაითქვა ფილმში „ვარსკვლავთა ომი" სამ ეპიზოდში მონაწილეობითაც.



◎ ჭადრაკი ოთხშაბათობით

# განუმეორებელი



**ბრძენთა თამაშის ისტორიაში II მსოფლიო ჩემპიონმა (1894-1921), საჭადრაკო თეორეტიკოსმა და ლიტერატორმა, ფილოსოფიის და მათემატიკის დოქტორმა ემანუილ ლასკერმა (1868 ბერლინეკი-პოლონეთი) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო საჭადრაკო ხელოვნებაში. მის შემოქმედებაში ორგანულად არის შერწყმული ლოგიკა, დახვეწილი ტექნიკა, შესანიშნავი ტაქტიკა და მოწინააღმდეგის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა.**

მთელი რიგი სამატჩო და სატურნირო წარმატებების შემდეგ ლასკერმა მსოფლიო პირველობის მატჩი (1894) დამაჯერებლად მოუგო (12:7) სტეინიცს. თამაშის მაღალი კლასი გამოავლინა მან პეტერბურგისა (1895-96) და ნიურნბერგის (1896) საერთაშორისო ტურნირებზე (I ადგილები), ასევე მსოფლიო პირველობის მატჩებში (1907-10) ფ. მარშალთან – 11,5:3,5, ზ. ტარაშთან – 10,5:5,5, დ. იანოვსკისთან (ორგზის) – 8:2 და 9,5:1,5.

გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარების გამო ე. ლასკერი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა (1935-37), შემდეგ მეუღლის ნათესავებთან გაემგზავრა ამერიკაში, სადაც იგი გარდაიცვალა (1941, ნიუ-იორკი).

ე. ლასკერმა XX საუკუნის უძლიერეს მოჭადრაკეთა გარემოცვაში თითქმის 30 წელი სახელოვნად ატარა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი. „საჭადრაკო ხელოვნების იდეები უაზროა ლასკერის შემოქმედების გარეშე", – ამბობდა ალექსანდრ ალიოხინი.

**თამაზ შენგელია**

ე. ლასკერი
**1890 წ.**



**მეფე (a6) იძულებით გადაადგილდება a2 უჯრაზე.**

**ტაქტიკური დარტყმა (ეf2) და თეთრები იგებენ.**

**1. მფb8 ეb2 2. მფa8 ეc2 3. ეf6 მფa5 4. მფb7 ეb2 5. მფa7 ეc2 6. ეf5 მფa4 7. მფb7 ეb2 8. მფa6 ეc2 9. ეf4 მფa3 10. მფb6 (მუქარაა 11. ეf2) 10.... ეb2 11. მფa5 ეc2 12. ეf3 მფa2 13. ეf2! მოგება.**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მარცხნიდან: ნუგზარ კუპატაძე, ოთარ ტურაბელიძე, ოთარ რამიშვილი და მამუკა ვაშაკიძე სტუმრად „ქალთა გაზეთის“ რედაქციაში. გასული საუკუნის 90-იანი წლები.

ფოტო მოგვაწოდა ვახტანგ კუპატაძემ.

## გვემრავლოს!

### სულ ტყუპ-ტყუპები მოდიან



დილით ტელეფონის ზარი მუდამ გვამცნობს ხოლმე იმ ოჯახების სიხარულს, სადაც ჩვილი დაიბადა. გვირეკავენ იქიდანაც, სადაც სიცოცხლის მოლოდინში სამედიცინო პერსონალი მუდამ ფხიზლადაა, ასეა თბილისის ექსპერიმენტულ სამშობიარო სახლში (მდებარეობს „300 არაგველის“ მეტროსთან). ივლისის თვეში ამ სამშობიარო სახლმა 76 ახალგაზრდა ოჯახი გაახარა, — დაიბადა 37 გოგონა და 39 ბიჭი.

— მათ შორის სამი ტყუპია. თბილისელებს ვიოლეტა ბუაძეს გოგონა და ბიჭი შეეძინა, ნათია მახარაშვილს ბიჭები. სომხეთის ქალაქ ალავერდიდან ჩამოყვანილ მარინა სარქისიანსაც ბიჭები ეყოლა. აგვისტოს თვის პირველი დღის, პირველი მერცხალი მაკა გოროზიანი — კუჭაიძის გოლიათი ბიჭი იყო. იგი მაკას მეორე შვილია, — გვაცნობა ამ სამშობიარო სახლიდან უფროსმა მედდამ ნანა ციცხვაიამ.

მოვიდნენ, ტყუპებიც გვინდა და გოლიათებიც!

ნათელა ფაილოძე.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



დაბოღმილი და ჯიბეგამოფხეკილი ვასილ ივანიჩი ბრაზისგან საკუთარ, გაუბედურებულ ერთოთახიან ბინის კედლებს ასკდება. მერე ცოლს მივარდება.

— არა, გულახდილად მითხარი, ას მანეთად მიღალატებდი სხვა კაცთან?

— ღმერთო ჩემო, როგორ შეგიძლია, ასე მომექცე, განა შენთვის ოდესმე უნდობლობის საბაბი მომიცია?

— არა, ალალად მითხარი, არც ათას მანეთად მიღალატებდი?

— ძვირფასო, — შეყოყმანდა ცოლი, — თვითონაც იცი, როგორ გვიჭირს, ალბათ შენც გამიგებდი და მაპატიებდი...

— საკმარისია, — ყვირის ვასილ ივანიჩი და ახლა ქალიშვილს მივარდება. — თუ დანებდებოდი აფრიკელს 50 დოლარადო, — ეკითხება.

— მამა, — ცრემლებად იღვრება გოგო, — როგორ შეგიძლია შენ, მამაჩემს, ასე იფიქრო ჩემზე?

— კარგი, — კვლავ ყვირის ივანიჩი, — ას, ორას დოლარადაც არ გააკეთებდი ამას?

— მაშინ, მაშინ... შენ და დედაჩემი ისე ცოტას გამოიმუშავებთ, რომ, ალბათ... შენ გამიგებდი და მაპატიებდი...

— ღმერთო ჩემო, — სკამზე მოწყვეტით დაეხეთქება და თავს ხელებში ჩარგავს ვასილ ივანიჩი. სახლში ორი ასეთი პოტენციურ მეძავი გყავდეს და ცხოვრება მაინც გიჭირდეს?!

* * *

**საქართველოს** ფეხბურთელთა ნაკრები ჯოჯოხეთშიც ვერ მოხვდება. იგი ჯოჯოხეთის ძელს ახვედრებს.

* * *

— **ქალიშვილო,** თქვენთვის შემთხვევით ყურზე დათვს ხომ არ დაუბიჯებია?

— სხვათა შორის, შესანიშნავი სმენა მაქვს.

— რა შუაშია სმენა, თქვენს ყურებს შეხედეთ...

## რეპლიკა

# ერთი კოვზი კუპრი,

### ანუ, მართლაც, პირზე მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა!

**დამთავრდა იურმალას ფესტივალი — ახალგაზრდული სიმღერის, მუსიკისა და ნიჭიერების დღესასწაული. მისმა მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ავტორიტეტულ ჟიურის მათი საშემსრულებლო ხელოვნების მიუკერძოებელი შეფასებისთვის, თავის მხრივ, ჟიურიმ ასევე მადლობა მოახსენა მასპინძლებს ღონისძიების დიდებულად ჩატარებისთვის.**

**მონაწილენი წავიდ-წამოვიდნენ და თან გაიყოლიეს იქ მიღებული შთაბეჭდილებების, სინანულისა და სიხარულის, მომავალში კვლავ ერთად შეხვედრის სურვილები და განცდები.**

**მაგრამ ყველამ არა.**

თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაფრინდა და ტრაპიდან ფეხი ჩამოდგა თუ არა, ნინი შერმადინთან შესახვედრად მისულ სახეგაბრწყინებულ ხალხს — ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს თუ ახლობლებს მომღერლის პროდიუსერმა ყველას ცივი წყალი გადაასხა: სიმღერის დღესასწაულზე კი არა, მგლების ხროვაში ვიყავითო.

როგორია?

ნინი შერმადინი იურმალას ფესტივალის მეგობრულ ატმოსფეროზე საუბრობს, დაუვიწყარ სანახაობას უწოდებს, სადაც ყოველ მონაწილეს (მეტადრე ქართველებს!) სითბოთი და სიყვარულით თავს დაჰკანკალებდნენ და ლაპარაკიც კი უხერხულია რაიმე ნიშნით ვინმეს დაჩაგვრაზეო, — და ამ დროს, თურმე, მგლების ხროვაში ყოფილან.

განა ცოტაა ერთი ციცქნა ქვეყნისთვის ევროპული მასშტაბის ფესტივალზე მეხუთე ადგილი? განა მართებული და „ობიექტური“ იქნებოდა — თავად ნინის ვკითხოთ! — ყველა ჯილდო რომ მარტო მას მოეხვეტა და თბილისში წამოეღო?! განა რუსეთის ესტრადის მეგავარსკვლავის ლაიმა ვაიკულეს პრიზი ნინი შერმადინს რომ ერგო, ცოტაა ამ 17 წლის გოგონას შემოქმედების შეფასებისთვის? — და ამ დროს, თურმე, მგლების ხროვაში ყოფილან.

სწორედ ასეთი დაუფიქრებელი განცხადებებია, ზიანს რომ აყენებს საქართველოს. მერე, თუ გინდა, სხვადასხვა შეჯიბრება-ფესტივალებიდან სულ ოქროს მედლები და მთავარი პრიზები ჩამოიტანე, ეს საქმეს ვერ შველის, — ერთმა კოვზმა კუპრმა თავისი საქმე გააკეთა.

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ“ მიმომხილველი.



## თითქმის ნატურიდან

# მწერალი

გუშინ ვერაზე, ზედ პრესის სახლთან, ნაცნობ მწერალს გადავეყარე. ნერვიულობისგან სახე მოღმეჭოდა.

**— რა დაგემართა?** — ვკითხე შეშფოთებულმა.

— ძლივს გადავრჩი, გამომეკიდნენ, — ამოილუღლუღა.

**— ვინა, კაცო, ყაჩაღები?**

— არა, ანტისოროსისტები.

**— შენგან რა უნდოდათ?**

— ვერ დავადგინე. მე სოროსის ოფისში ვაპირებდი შესვლას, ისინი კიდევ სოროსს აგინებდნენ — წაეთრიე საქართველოდან, შე ასეთო და ისეთოო. იყო ერთი ღრიალ-გნიასი.

**— ეტყობა, სოროსი ეგონე.**

— არა, ავუხსენი, მწერალი ვარ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს — შენ თუ ეროვნული მწერალი ხარ, სოროსთან რას მიძვრებიო.

— როგორ, კაცო, — გავიკვირვე, — ჩვენი ეროვნული მთავრობა მაგასთან ჩახუტებულია და მე რატომ უნდა დავადგე უმძრახად-მეთქი.

ამან სულ გადარია ის ხალხი — იქ მთავრობის... და აქ კიდევ შენიო. ერთმა გინებასთან ერთად მუშტიც მომაკერა. ძლივს გამოვასწარი.

**— ახია შენზე,** — ვუთხარი, **— სოროსის ფონდში რა გინდოდა, რისთვის მიხვედი?**

— აბა რისთვის მივიდოდი? — სამათხოვროდ. შარშან მთავრობა რაღაც 20 ლარს გადმოგვიგდებდა ხოლმე და ახლა ეგეც შეგვიწყვიტეს. რა დაგიმალო, მშიერი ვარ. ხანდახან ისეთ ხასიათზე ვდგები, მეც დიდი სიამოვნებით შევაგინებდი ხელისუფლებას, მაგრამ თავს ვიკავებ.

**— სწორადაც იქცევი, — მოვუწონე, — ინტელიგენტ კაცს გინება, მით უფრო მთავრობისა, არ ეკადრება. რომ იცოდე, სოროსთანაც სიფრთხილეა საჭირო.**

— ფრთხილადაც მივდიოდი. მაგათ ატეხეს ყვირილი, თორემ ჩემ სტუმრობას ვერავინაც ვერ გაიგებდა.

**— როგორ ფიქრობ, შენს გასაჭირს რომ გაიგებდნენ, მაშინვე დოლარების ფუთას მოგიგდებდნენ?**

— ვიცი და ამიტომაც საკუთარი პროგრამით მივდიოდი.

**— თუ საიდუმლო არ არის, რა გიწერია მაგ პროგრამაში?**

— ახალი მოთხრობების ნუსხას ვთავაზობდი.

**— არ გამოვა**, — ვუთხარი მოჭრილად.

— რა არ გამოვა?

**— მოთხრობები.**

— შენ არხეინად იყავი, პირველად ხომ არ ვწერ?

**— პირველად რომ არ წერ, სწორედ მაგიტომ გეუბნები. მაგათ სულ სხვანაირი მოთხრობები უნდათ.**



— მაინც როგორი?

**— აი, ისეთი... სიურეალისტური. მოთხრობის გმირს არც სამშობლო უნდა ჰქონდეს, არც ეროვნება და არც სარწმუნოება.**

— მასეთებს ახალგაზრდები წერენ, რამდენიმე თქვენს გაზეთშიც წავიკითხე.

**— მაგიტომ გეუბნები, შენ მასეთ მოთხრობებს ვერ დაწერ.**

— დაწერას თავი გაანებე, კაცო, ვკითხულობ და ვერაფერს ვუგებ.

**— შენც ნუ წაიკითხავ, ბოლოს და ბოლოს მწერალი ხარ, მკითხველი ხომ არა.**

— ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ მწერალი კაცი მთლად უწერუკითხავად ხომ არ გავჩერდები?

**— ჰოდა იკითხე და იყავი!**

— კარგი ერთი, მკითხველის ასე აბუჩად აგდება როგორ შეიძლება. თქვე კაი ხალხო, სხვა თუ არაფერი, მასეთ მოთხრობებს მოკლე შინაარსი მაინც დაურთეთ.

**— რანაირად?**

— ამნაირად. ახლაც მახსოვს, ჩემი ბავშვობისას, კინოაფიშაზე აწერდნენ — „სუ ომია“. არაფერი დაშავდება, თქვენც რომ მიაწეროთ“: „სუ სექსია“ ან „სუ გინებაა“. სულ გაუგებრობას, იმას მაინც მივხვდები, მოთხრობაში რაზეა ლაპარაკი.

ამასთან დაკავშირებით, მწერალს სხვა რამეც გაახსენდა. ამას წინათ, თქვა მან, ქალაქის ერთ დიდ სამკითხველოში ერთი დიდად პატივცემული პროზაიკოსის ახალი რომანის განხილვა მოაწყვეს. კი მოაწყვეს, მაგრამ დიდად უხერხული სიტუაცია შეიქმნა.

**— რის გამო?**

— ისევ და ისევ უსახსრობის გამო. წარმოგიდგენიათ, დამსწრეთაგან რომანი წაკითხული არავის ჰქონდა?!

**— მერე, რა ქენით?**

— ავტორს ვთხოვეთ და რომანის მოკლე შინაარსს მოგვიყვა.

**— გამომსვლელებიც იყვნენ?**

— მაშ როგორ. ერთმა ავტორს კრიტიკული შენიშვნებიც კი მისცა. ამაზე, ბუნებრივია, მწერალმა იწყინა: თქვე დალოცვილებო, წიგნი არ წაგიკითხავთ და რა უფლებით მაკრიტიკებთო.

ამაზე ორივემ გულიანად ვიცინეთ. მწერალმა მომენტი ნახა და დამშვიდობებისას შემომაპარა:

— ერთ-ორ მოთხრობას ხომ არ გამომიქვეყნებდით?

**— გვლუპავ, ძმაო,** — ვუთხარი, — **ამ პაპანაქებაში ორიოდ მკითხველიღა შემოგვრჩა და ეგენიც გინდა დაგვიფრთხო?!**

**ოთარ ხუციშვილი.**

## დანაშაული

### ფრთხილად, მატყუარები დაძრწიან!

**სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია მოსახლეობას აფრთხილებს, ბრმად ნუ ენდობიან კერძო პირებს, რომლებიც მათ არალიცენზირებული დაწესებულებების მიერ დამზადებულ სადეზინფექციო საშუალებებს სთავაზობენ.**

ინსპექციის ხელმძღვანელმა დავით მესხიშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია ჩაატარა. მისი თქმით, სანიტარიული ინსპექციის სახელით თაღლითები მოსახლეობას გაურკვეველი წარმომავლობის სადეზინფექციო ფხვნილებს სთავაზობენ. „ეს ნივთიერებები არ წარმოადგენს სადეზინფექციო საშუალებებს და შესაძლოა, სერიოზული საფრთხე შეუქმნან ადამიანის ჯანმრთელობას“, — აცხადებს მესხიშვილი.

მისივე თქმით, მსგავსი ფაქტების გამოვლენის მიზნით სამსახური აქტიური სამუშაოების ჩატარებას გეგმავს.

### მარნეულში ნარკოვაჭარი დააკავეს

**სამართალდამცველებმა მარნეულის რაიონში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამსაღებელი დააკავეს.**

მარნეულის მკვიდრ ჩამრან ვალეხ ოღლი მამედოვს პირადი ჩხრეკისას სამას გრამამდე (287,5გრ) ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ აღმოაჩნდა. მამედოვი წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. მიმდინარეობს გამოძიება.

**ინტერპრესნიუსი**

## ხსოვნა

### ეთერ ქლენტი



ძნელია, დაიჯერო და შეეგუო ფაქტს, რომ ჩვენს რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი, სათნო და კეთილი გულის ქალბატონი ეთერ ქლენტი, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზითა და ხიბლით. ცოტა ხნის წინ იგი ჩვენს შორის დადიოდა სიცოცხლით სავსე, ენერგიული და მუდამ საქმიანი. ქალბატონი ეთერის სიკეთით სავსე გული ვეღარ უწილადებს სითბოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებს.

მძიმე ბავშვობა ჰქონდა ქალბატონ ეთერის. მამა, ნიკიფორე ქლენტი, რომელიც იყო რკინიგზის სამმართველოს უფროსი, დახვრიტეს 1937 წელს. ხოლო დედა სასწაულად გადაურჩა დაპატიმრებას. მან გაჭირვებაში აღზარდა ოთხი შვილი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ეთერ ქლენტმა სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე და პარალელურად ეუფლებოდა ხელოვნებათმცოდნეობას. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა სხვადასხვა კათედრაზე.

1968 წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა მუზეუმი, რომლის უცვლელი ხელმძღვანელიც სიცოცხლის ბოლომდე იყო ქალბატონი ეთერი. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით მუზეუმში ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა სახის გამოფენები, შეხვედრები.

ეთერ ქლენტი არჩეული იყო ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსა და პროფკომიტეტის წევრად. იგი განსაკუთრებით აქტიურად მოღვაწეობდა უნივერსიტეტის ქალთა ასოციაციაში, სადაც ხელმძღვანელობდა სოციალურ-ეკონომიკურ სექტორს. ბოლო წლებში იგი მთელ თავის ენერგიას ახმარდა სოციალურად გაჭირვებულ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ყოფას და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებს, განსაკუთრებით ძეგვსა და ასპინძაში.

გაუნელებელია ასეთი ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლით გამოწვეული სევდა. მაგრამ ეთერ ქლენტს დავიწყება არ უწერია. მისი სული მუდამ იტარიალებს როგორც ოჯახში, ისე თანამშრომლებში.

გაცილებთ უკანასკნელ გზაზე და ნუგეშად გვრჩება იმედი, იმედი სულის უკვდავებისა.

ქალბატონი ეთერის ნათელი და იმედიანი სახე დიდხანს დარჩება მისი მეგობრების მეხსიერებაში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი; გაერთიანებული პროფკომი; ქალთა ასოციაცია.**



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის, აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარის,

ოთარ სიმონის ძე დარახველიძის

გარდაცვალებას, და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს 1999-2003 წლის მოწვევის პარლამენტის ფრაქცია „მაჟორიტარები საქართველოს რეგიონები“ გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მერაბ სამადაშვილს მამის

ბორის სამადაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

სს „საქწყალპროექტის“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოთარ სიჭინავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

## ლარის კურსი

### 3 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2232 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8175 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2222 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0636 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3879 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4064 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6174 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 3 აგვისტო | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 33° | 21° |
| ბათუმი | 31° | 22° |
| სოხუმი | 33° | 22° |
| ქუთაისი | 35° | 22° |
| თელავი | 33° | 20° |

## დღის კალენდარი 3 აგვისტოსთვის

☼ ამოდის 04.55, ჩადის 19.16
) ამოდის 02.44, ჩადის 18.47

წლის 215-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 150 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

**ხსენება წინასწარმეტყველ ეზეკიელისა; ღირს მამათა სვიმეონ ქრისტესათვის სალოსისა და მისი თანამმარხველი იოანესი.**

### დაიბადნენ:

1801 — **ჯოზეფ პეკსტონი,** ინგლისელი არქიტექტორი, რომელმაც ლონდონში ააგო „ბროლის სასახლე“. გარდაიცვალა 1865 წელს.

1935 — **გიორგი შონინი,** რუსი კოსმონავტი, მფრინავი. 1969 წლის ოქტომბერში ვ. კუბასოვთან ერთად გაფრინდა კოსმოსში ხომალდ „სოიუზ 6“-ით.

1932 — **თენგიზ არჩვაძე,** საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1930 — **თენგიზ მაისურაძე,** მსახიობი.

1935 — **ზაზა ალექსიძე,** ისტორიკოსი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

### გარდაიცვალნენ:

1784 — **ჯოვანი ბატისტა მარტინი,** იტალიელი მუსიკოსი, კომპოზიტორი. ავტორია პირველი „მუსიკის ისტორიისა“.

1779 — **ჰენრი კობელი,** ჰოლანდიელი მხატვარი.

1924 — **ჯოზეფ ჰონრადი,** ინგლისელი მწერალი.

1948 — **ალბერტ ჰოლარდი,** ინგლისელი ისტორიკოსი.

### მოვლენები:

**456 წელი** — კონსტანტინეპოლის სამეფო კარს ეგრისის დამოუკიდებლობისთვის აუჯანყდა გუბაზ მეფე.

**1492 წელი** — ქრისტეფორე კოლუმბი 90 კაცისგან შემდგარ ჯგუფთან ერთად სამი გემით („სანტა-მარია“, „პინტა“, „ნინია“) გავიდა ესპანეთის ნავსადგურ პალოსიდან და გადალახა ატლანტის ოკეანე.

**1492 წელი** — ესპანეთიდან განდევნეს ებრაელები.

**1596 წელი** — გერმანელმა ასტრონომმა დავიდ ფაბლიციუსმა აღმოაჩინა პირველი ცვალებადი ვარსკვლავი „ვეშაპისა“.

**1678 წელი** — რობერტ ლასალემ ამერიკაში პირველი ხომალდი ააგო.

**1778 წელი** — იტალიაში, ქალაქ მილანში ოპერა „ლა-სკალა“ გაიხსნა.

**1795 წელი** — დაარსდა პარიზის კონსერვატორია.

**1849 წელი** — აღმოაჩინეს იაპონიის და ოხოტის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე.

**1914 წელი** — პირველმა ხომალდმა პანამის არხში გაიარა.

**1923 წელი** — ამერიკის ოცდამეათე პრეზიდენტი გახდა ჰერბერტ კლარკ ჰუვერი.

**1943 წელი** — დაიწყო პარტიზანული „რელსების ომი“.

**1949 წელი** — აშშ-ში საერთაშორისო კალათბურთის ასოციაცია „NBA“ დაარსდა.

**1957 წელი** — გაუშვეს პირველი საბჭოთა საკონტინენტთაშორისო რაკეტა 8-7 ს. კოროლიოვის ხელმძღვანელობით.

**1960 წელი** — ნიგერია საფრანგეთისაგან დამოუკიდებელი გახდა.

**1988 წელი** — გაათავისუფლეს მატიას რუსტინი, რომელმაც თავისი შვეულმფრენი წითელ მოედანზე დასვა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

**იამაიკა** — დამოუკიდებლობის დღე
**ეკვატორული გვინეა** — არმიის დღე
**ნიგერია** — დამოუკიდებლობის დღე
**არიზონა მიჩიგანი** — ამერიკული ოჯახის დღე
**ბაჰამის კუნძულები თურქეთი** — ემანსიპაციის დღე
**კოლორადო** — კოლორადოს დღე.

**მედია-ნიუსი.**

გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ შოთა და გულიკო დავითაშვილებს

იამზე მაზმიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გულიკო და შოთა დავითაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დის და ცოლის დის

იამზე მაზმიშვილის

გარდაცვალებას

პანაშვიდი 2, 3 VIII, 16 სთ-ზე. დაკრძალვა 4 VIII, 14 სთ-ზე. მისამართი: გლდანის მასივი, II მ/რ, მე-40 კორპუსი, II სად, მე-7 სართ. ბინა 41.

---

შვილები მირზა, გოგი ქორქაშვილები, ძმა დავით სვანიძე, რძლები თამრიკო ცაგარეიშვილი, ქეთევან იოსელიანი, შვილიშვილები გიორგი, ქეთინო, სალომე, მიშიკო ქორქაშვილები, ძმისწულები, მაზლიშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან დომენტის ასული სვანიძე-ქორქაშვილისა

პანაშვიდი 4, 5 VIII, 17 სთ, დაკრძალვა 6 VIII, 15 სთ-ზე, სოფ. ყუმისთავი, წყალტუბოს რაიონი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK